





საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში



მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG)


საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში

თბილისი, 2015 წ.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს ანალიტიკური ცენტრის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოს“ (WEG) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტის ერთობლივ საჯარო სემინარებზე წაკითხული მოხსენებების საფუძველზე მომზადებული სტატიების კრებულს. ენერგეტიკული პოლიტიკის და მდგრადი განვითარების სემინარების ციკლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ენერგეტიკის არსებული მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების ანალიზი ევროპასთან ასოცირების და მდგრადი განვითარების კონტექსტში.

სემინარები განხორციელდა კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის - დიალოგი პროგრესისათვის - ფარგლებში. წიგნში ასევე შევიდა ღია საზოგადოება საქართველოს მიერ დაფინანსებული კვლევების შედეგები.

კრებულზე მუშაობდნენ: შემდგენელი მურმან მარგველაშვილი, რედაქტორები: არჩილ მაღალაშვილი, თუთანა კვარაცხელია, ლევან უშხვანი, გიორგი მუხიგულიშვილი.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

ავტორების მიერ წიგნში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის პოზიციას, შესაბამისად, ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
აბრევიატურები	6
მისასალმებელი სიტყვა	7
ენერგეტიკული გაერთიანება და ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია	11
საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ენერგეტიკულ სექტორში	12
გაზით უზრუნველყოფის პრობემები საქართველოში	19
ელექტროენერგიის და გაზის ფასების გამჭვირვალობა საქართველოში	23
ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმირება.....	30
ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნები გაზისა და ნავთობის სექტორებში.....	38
ენერგოეფექტურობის რეგულაციები შენობებში - ევროგაერთიანებაში მომქმედი დირექტივები	48
გარემოსდაცვითი მოთხოვნები საქართველო - ენერგეტიკულ გაერთიანებაში	52
უკრაინა - ენერგეტიკული გაერთიანება და ევროკავშირი.მოლოდინები და შედეგები.	56
ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნები ელექტროენერგეტიკის სექტორში...	60
ენერგეტიკული უსაფრთხოება და სტრატეგიული სატრანზიტო პროექტები	63
სტრატეგიული სატრანზიტო პროექტები გაზის სექტორში	65
TCP – უნიკალური შესაძლებლობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა და რეფორმებისათვის	69
საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების ღონისძიებები	73
ენერგიის განახლებადი წყაროები	94
განახლებადი ენერგია და მისი როლი ენერგეტიკის სექტორში.....	95
განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები და მსოფლიო გამოცდილება.....	97
ენერგიის განახლებადი წყაროები-ევროკავშირის დირექტივა და საქართველოს პოლიტიკა	104
ენერგოეფექტურობა.....	108
ენერგოეფექტურობა და მისი მნიშვნელობა.....	108
ენერგოეფექტურობა - ევროპული დირექტივები და საქართველოს კანონმდებლობა.....	111
ენერგიის მოხმარების თავისებურებები და ენერგეტიკული დაგეგმვა საქართველოში	120
შინამეურნეობათა მიერ ენერგიის მოხმარების კვლევა საქართველოში	120
ტყეების მართვის და შემოთ მოსახლეობის მომარაგების პრობლემები და მათი გადაჭრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მექანიზმები.....	123

MARKAL გრძელვადიანი დაგეგმვის მოდელი და მისი შესაძლებლობები	128
ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირება - მეთოდები და შედეგები.....	134

წინასიტყვაობა

მურმან მარგველაშვილი
*მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG),
ილიაუნი - ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი*

ენერგეტიკული პოლიტიკის და მდგრადი განვითარების კვლევები საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. არ არის დაგროვილი საკმარისი ანალიტიკური მასალა, კვლევისა და პროფესიული თუ საჯარო განხილვების გამოცდილება, რაც შესაძლებელს გახდიდა, ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული გადაწყვეტილებები მეტად დაეყრდნოს სამეცნიერო-ანალიტიკურ საფუძვლებს, მდგრადი განვითარების სისტემურ და გრძელვადიან ხედვებს და საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნას ამ პოლიტიკის მაღალი ხარისხი და განხორციელების მხარდამჭერი გარემო. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ბოლო წლებში იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ქვეყანას სხვადასხვა დარგში, მათ შორის, ენერგეტიკაში, სისტემური რეფორმების გატარების მხრივ.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსების მცდელობას. მასში თავმოყრილი მასალა ძირითადად ეყრდნობა ენერგეტიკის და მდგრადი განვითარების საკითხებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ანალიტიკურ ცენტრთან „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ ერთად 2014-2015 წლებში ჩატარებული სემინარების ციკლს, რომელიც 20 თებერვალს ენერგეტიკული გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების დღეს, თავისი გამოსვლით გახსნა ევროკომისარმა ენერგეტიკაში - ბ-მა გიუნტერ ეტინგერმა. მეტი სისრულისათვის, კრებულში ასევე შევიტანეთ ღია საზოგადოება საქართველოს დაფინანსებით, „მწვანე ალტერნატივასთან“ ერთობლივი პროექტი ფარგლებში მომზადებული სტატიები.

კრებულში განხილულია როგორც ენერგეტიკული სექტორის აქტუალური პრობლემები, ასევე დარგის მართვის მთელი რიგი თეორიული საკითხები. მისი ძირითადი თემა კი არის ევროპულ ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ენერგეტიკული სექტორის დაახლოება და ამ მიზნით ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება.

იმედი გვაქვს, რომ კრებულში თავმოყრილი მასალა სასარგებლო იქნება, როგორც დაინტერესებული მკითხველისათვის შემდგომი კვლევისათვის, ასევე გამოდგება სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის ენერგეტიკის მართვის პრაქტიკული გადაწყვეტილებების შეფასების საფუძვლად.

აბრევიატურები

ACER - მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტო.

AGRI - აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი

BTC - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

EC- (ევროპის) ენერგეტიკული გაერთიანება – გარდა ევროდირექტივების დასახელებისა

EIB - ევროპის საინვესტიციო ბანკი

ENTSO-E - ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი

ENTSO-G - ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი

FIP - გარანტირებული დანამატი

FIT - გარანტირებული ტარიფი

IAEA - ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო

IEA - ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო

IESD - ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი

NSGP - ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი

OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

SAIDI- ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა

SAIFI - ერთ მომხმარებელზე გამორთვების საშუალო სიხშირე

SCP – სამხრეთ კავკასიური მილსადენი ბაქო თბილისი-ერზრუმი

TCP - ტრანსკასპიური მილსადენი

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

WEG - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

WS - თეთრი ნაკადი

მისასალმებელი სიტყვა

გიუნტერ ეტინგერი

ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში (2014წ.)

20.2.2014წ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალბატონებო და ბატონებო!

მოხარული ვარ, რომ დღეს ვიმყოფები აქ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვხსნი ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სემინარების ციკლს.

ეს არის ჩემი პირველი ვიზიტი საქართველოში და კულმინაცია იმ შთაბეჭდილებებისა, რაც ამ ქვეყნის შესახებ მქონდა. ვგულისხმობ არა მარტო თქვენს შესანიშნავ სამზარეულოს და ღვინოს, ასევე თქვენს სტუმართმოყვარეობას და მეგობრულობას.

დღეს მე შევხვდი მთავრობის წევრებს და ბიზნესის წარმომადგენლებს. განსაკუთრებული პატივია ჩემთვის აქ შეკრებილი სამოქალაქო საზოგადოების წინაშე წარდგომა. ამიტომ, დღეს მე წავიკითხავ არა უბრალოდ მოხსენებას, არამედ ასევე მსურს მოვისმინო თქვენი შთაბეჭდილებები და მოლოდინები. ამიტომ, ნება მიბოძეთ, ჩემი სათქმელი მოკლედ მოგახსენოთ.

თქვენ, 1991 წლიდან მოყოლებული, დამოუკიდებლობის დიდი გზა განვლეთ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირთან დაახლოების კუთხით. ეს ნაბიჯები ქმნის ქვაკუთხედს რომელიც საფუძვლად ედება ახალ ეტაპს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობაში. სამწლიანი პროცესის შემდეგ, გასულ წოემბერს მოხდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ინიცირება. ჩვენ ველით, რომ ზაფხულში ამ ხელშეკრულებებს ხელი მოეწერება.

ეს შეთანხმებები ყველაზე სრულყოფილია ევროკავშირის აქამდე არსებულ შეთანხმებებს შორის და მნიშვნელოვან სარგებელს პირდება საქართველოს. პირველ რიგში, იმპორტის ამბიციური ლიბერალიზაცია შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ჰქონდეს უკეთესი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, რაც არის ყველაზე დიდი ბაზარი მსოფლიოში. დადგენილია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაზრდის

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობას 12%-ით ექსპორტის ხარჯზე და 7.5%-ით იმპორტის ხარჯზე. ამ პროცესის განვრცობას ხელს შეუწყობს პოლიტიკის რეფორმები და მარეგულირებელი სტანდარტების დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც განაპირობებს ღია, სტაბილური და პროგნოზირებადი პოლიტიკის შემუშავების გარემოს შექმნას. თავის მხრივ ეს მოვლენები გაზრდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში, მეტი საწარმოს შექმნას და ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. შიდა წესების გაუმჯობესება დადებითად აისახება მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და მათი უფლებების დაცვაზე.

შეფასებულია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რეფორმების დასრულების შემთხვევაში, გაზრდის საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს 4.3 %-ით (292 მილიონი ევრო ეროვნული შემოსავალი)

მაგრამ ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ ვაჭრობაზე. ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანებზე! 2012 წლიდან საქართველოს და ევროკავშირის შორის მიმდინარეობდა დიალოგი ვიზის ლიბერალიზაციის შესახებ. საქართველოს და ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმება არის ერთერთი პირველი შეთანხმება, რომელიც დაიდო ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. ასოცირების შეთანხმება ასევე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ღირებულებების თანხვედრაზე, ისეთი ღირებულებებისა, როგორიცაა: დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, კარგი მმართველობა და მდგრადი განვითარება.

სხვა თუ არაფერი, ეს შეთანხმებები იქნება ერთგვარი პლაცდარმი შემდგომი სოციო-ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობისთვის და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების გაზრდისათვის.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საქართველო შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი გარე ზეწოლის ქვეშ ამ შეთანხმებების შესრულების დროს. ჩვენ, ევროკავშირმა, ვიცით ეს ყველაფერი და ვაფასებთ და პატივს ვცემთ საქართველოს არჩევანს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ევროკავშირი თქვენს გვერდით დგას, განსაკუთრებით ამ შეთანხმებების ხელმოწერის პროცესში.

გარდა ამისა, ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე ამბიციურ რეფორმებს როგორც ფინანსურად, ისე ევროკავშირის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით. 2011-2013 წლებში ევროპის

სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში, საქართველომ მიიღო 230 მლნ ევრო, უფრო დიდი დახმარება გამოიყოფა თავისუფალი ვაჭრობის შეთახმების განხორციელების პროცესში.

ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა არის გადამწყვეტი ჩვენი საერთო პარტნიორობისთვის. დღეს, საქართველოს მთავრობამ და ევროკავშირმა დაიწყეს მოლაპარაკებები საქართველოს გაწევრიანებაზე ენერგეტიკულ გაერთიანებაში. ჩვენ ველით, რომ ეს მოლაპარაკებები დასრულდეს ამავე წლის სექტემბერში.

რა სარგებელს მიიღებს საქართველო ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით?

ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ნაწილის გავრცელებით ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარეზე, ენერგეტიკული გაერთიანება ქმნის სათანადო პირობებს თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული სექტორის ჩამოყალიბებისთვის. ეს, თავის მხრივ იზიდავს ინვესტიციებს ენერგიის წარმოებასა და ქსელების განვითარებაში. ხელს უწყობს ენერგეტიკულ ვაჭრობას, და ზრდის როგორც მდგრადობას, ასევე უსაფრთხო მიწოდებას ენერგეტიკის სფეროში.

მდებარეობს რა სამხრეთ კავკასიის შეუავსებელში, საქართველო თამაშობს გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს ნახშირწყალბადების ტრანზიტში ევროკავშირის მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, საქართველო არის მთავარი სატრანზიტო ქვეყანა სამხრეთის გაზის კორიდორისთვის - მთავარი პროექტი, რომელიც აწვდის ბუნებრივ გაზს კასპიის ზღვიდან ევროკავშირის და თურქეთის ენერგეტიკულ ბაზრებს. შაჰ დენიზის II კონსორციუმის გასული წლის დეკემბერში მიღებული ინვესტირების საბოლოო გადაწყვეტილება წარმოადგენს საეტაპო გადაწყვეტილება სამხრეთის გაზის კორიდორისთვის, რაც არის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორი როგორც ევროკავშირისთვის, ასევე, საქართველოსთვის.

სამხრეთის გაზის კორიდორის რეალიზება იქნება ძლიერი წამახალისებელი ფაქტორი ენერგეტიკის სფეროში ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ორმხრივი სარგებლიანობის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ პროექტს აქვს უზარმაზარი გამოუკვლეველი პოტენციალი რომელიც შეიძლება რეალიზებულ-იქნას. ევროკავშირს არ აქვს მოლოდინი, რომ სამხრეთის გაზის კორიდორი მოახდენს გაზის ტრანსპორტირებას მხოლოდ. ჩვენ ველით, რომ საშუალოვადიან

პერსპექტივაში ამ დერეფნმა შეიძლება უზრუნველყოს ევროკავშირის მოთხოვნის 10%. დანარჩენი სიმძლავრის აკუმულირება მოხდება აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ერაყის ბაზრებიდან, პოტენციურად ასევე, ირანიდან.

ამ პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა ჩვენი ორმხრივი ინტერესის საგანია, რამეთუ უზრუნველყოფს კომერციული მოგების გაზრდას, გააძლიერებს ენერგოუსაფრთხოებას ევროპაში და რეგიონში და შექმნის ჭეშმარიტად "მომგებიან" ურთიერთობას ჩვენი საერთო კომერციული ინტერესების საფუძველზე.

ქალბატონებო და ბატონებო,

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოს გადაწყვეტილებას დაუახლოვდეს ევროკავშირს, არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ იმ საერთო ღირებულებების გამოც, რაც გვაქვს. ეს გადაწყვეტილება უკვე აღიარებულია და მალე შესაბამის შედეგებს უნდა ველოდოთ. თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. 2014 წელი იქნება მნიშვნელოვანი წელი ამ მიმართულებით. რამდენიმე ამბიციური შეთანხმების შესრულება არ იქნება შესაძლებელი ნათელი ხედვის არსებობის და თანმიმდევრული ნაბიჯების გარეშე.

ევროკავშირი მზად არის დაეხმაროს და ხელი შეუწყოს საქართველოს ამ ისტორიული მოგზაურობაში.

დიდი მადლობა.



ენერგეტიკული გაერთიანება და ენერგეტიკული
კანონმდებლობის ჰარმონიზაცია



საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ენერგეტიკულ სექტორში

მურმან მარგველაშვილი

ESI/WEG

15 ივლისი, 2014

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას რითაც შეიქმნა მხარეთა მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩო. ეს ჩარჩო ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მექანიზმებს, უფრო კონკრეტულად კი - საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში (კარი VI), რაც ითვალისწინებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის ძებნა-ძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა., შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების შესაძლებლობას.

ასოცირების შეთანხმების ენერგეტიკული მუხლები

ასოცირების შეთანხმების ენერგეტიკულ ნაწილში თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- ენერგეტიკული სტრატეგიები და პოლიტიკა;
- კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, რომელშიც ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად მესამე მხარეს ექნება არადისკრიმინაციული დაშვება ქსელებსა და მომხმარებლებთან, მათ შორის, საჭიროებისამებრ, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება;
- თანამშრომლობა რეგიონულ ენერგეტიკულ საკითხებზე და საქართველოს შესაძლო მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან, სადაც საქართველოს ჯერჯერობით დამკვირვებლის სტატუსი აქვს;

- მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნა ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფისკალური და სხვა პირობების გათვალისწინებით;
- საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა მოხდეს ენერგორესურსების, მიმწოდებლების და ტრანსპორტირების მარშრუტების დივერსიფიცირება ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მისაღები ფორმით;
- ენერგომომარაგების უსაფრთხოების განმტკიცება, ბაზრის ინტეგრაციის ზრდა და ეტაპობრივი რეგულაციური დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრეს პრინციპებთან.
- ენერგიით ვაჭრობის, ტრანზიტისა და ტრანსპორტირების, ფასების პოლიტიკის, გრძელვდიანი სტაბილობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაძლიერება, მათ შორის, ორმხრივად მომგებიან და არადისკრიმინაციულ საფუძველზე, საერთაშორისო წესების, მათ შორის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების მიხედვით, ენერგორესურსების გადაცემის ხარჯებზე დაფუძნებულ სისტემის ჩამოყალიბება;
- ენერგიის დაზოგვის და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით;
- განახლებადი ენერგიის განვითარება და ხელშეწყობა, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება ჰიდრო რესურსებზე, და ამ სფეროში ორმხრივი და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ენერგიის წარმოებაში, ტრანსპორტირებაში, მიწოდებასა და მისი გამოყენების პროცესში ტექნოლოგიების განვითარებისა და დახვეწის მიზნით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენერგოეფექტურ და გარემოს დამზოგ ტექნოლოგიებს; და
- ბირთვული უსაფრთხოებისა და რადიაციული დაცვის სფეროში თანამშრომლობა: ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან.

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და

საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებსა და კონკრეტულ მიმართულებებში:

ელექტროენერგეტიკა

- 2009 წლის 13 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/72/EC ელექტროენერგიის შიდა ბაზრებისათვის საერთო წესების შესახებ.
- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია N 714/2009 (EC) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ.
- 2006 წლის 18 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2005/89/EC ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.
- 2008 წლის 22 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2008/92/EC გაერთიანების პროცედურების შესახებ სამრეწველო მომხმარებლისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.

ბუნებრივი აირი

- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/73/EC ბუნებრივი აირის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ.
- 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) N 715/2009, ბუნებრივი აირის გადაცემის ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, 2010 წლის 10 ნოემბრის ევროკომისიის გადაწყვეტილების 2010/685/UE საფუძველზე მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
- 2008 წლის 22 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2008/92/EC გაერთიანების პროცედურების შესახებ სამრეწველო მომხმარებლისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.
- ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია N994/2010 ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

განახლებადი ენერგია

- 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/28/EC განახლებადი ენერგო წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ.

ნავთობი

- 2009 წლის 14 სექტემბრის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/119/EC, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შექმნან ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგები.

ენერგოეფექტურობა

- 2006 წლის 5 აპრილის დირექტივა 2006/32/EC ენერგიის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობისა და ენერგო მომსახურებების შესახებ.
- 2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2010/31/EU შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ.
- 2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2010/30/EU ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სხვა სტანდარტული ინფორმაციის მითითებით, ენერგომომხმარებელი ნაწარმის მიერ ენერგიისა და სხვა წყაროების მოხმარების ინდიკაციის შესახებ.


ამასთან, საქართველოს მიერ ამ დირექტივების დებულებები უნდა შესრულდეს საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანებაში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი საგანია საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის ნორმებთან. ენერგეტიკის სექტორში ასოცირების შეთანხმების ამ პირობის განხორციელების მთავარ მექანიზმად განიხილება საქართველოს გაწევრიანება ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება არის საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა 2005 წლის ოქტომბერში ევროკავშირსა და 9 მოკავშირე ქვეყანას შორის და ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში. 2007 წლიდან საქართველო ენერგეტიკულ გაერთიანებაში დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა, 2013 წელს კი შეიტანა განაცხადი სრულ წევრობაზე, რის შემდგომაც მიმდინარეობს შესაბამისი მოლაპარაკებები.

სურ:1 ენერგეტიკული გაერთიანების რუკა



ენერგეტიკული გაერთიანების მიზნებია:

- სტაბილური მარეგულირებელი და საბაზრო გარემოს შექმნა;
- ინვესტიციების მოზიდვა გაზის, ელექტროენერგიის წარმოებისა და გადაცემის სექტორში;
- მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება;
- კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების განვითარება და გაფართოება. უფრო კონკრეტულად კი: ა) მოკლევადიან პერიოდში - ღია და

გამჭვირვალე ეროვნული ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყალიბება, რაც ეროვნულ დონეზე განხორციელდება, ბ) უფრო მასშტაბური (რეგიონული დონის) და საშუალოვადიანი მიზნები არის ინტეგრირებული რეგიონული ბაზრების და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარება ხოლო გრძელვადიანი მიზანია - გ) ევროკავშირის შიდა ენერგეტიკულ ბაზრებთან სრული ინტეგრაცია.

რატომ არის მნიშვნელოვანი ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება?

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ უკვე აიღო ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტის განხორციელების ვალდებულება. მოლაპარაკება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების (EEC) წევრობის ფორმატში განსაზღვრავს მხოლოდ ვადებსა და განხორციელების პირობებს. თუ EC მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა, ასოცირების შეთანხმების თანახმად, მაინც უნდა მოხდეს იმავე დირექტივების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობაში, თუმცა, შესაძლოა, უფრო ხისტი ვადებით და პირობებით. ამდენად, არსებული უფრო ხელსაყრელი ფორმატის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია.

მოლაპარაკებების ენერგეტიკული გაერთიანების ფორმატში წარმოებას აქვს ბევრი დადებითი მხარე და მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის, კერძოდ:

- EC წევრობით გამყარებული ევროპული სტანდარტის კანონმდებლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება ქმნის გამჭვირვალე, სტაბილურ საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოს, რაც ქვეყანაში კვალიფიციური სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვისა და ინვესტიციის მოცულობების გაზრდის, ასევე სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებისა და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა პოლიტიკური ასოცირების მნიშვნელოვანი ნაბიჯია და აჩვენებს პოლიტიკური არჩევანის სიმწიფეს, რამაც შედეგად უნდა გამოიღოს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესი - ევროპული და ევროატლანტიკური პოლიტიკური მხარდაჭერის უფრო მაღალი ხარისხი.
- EC წევრობა, ასევე გულისხმობს ევროპული კანონმდებლობის დანერგვაში ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიღებას. ენერგეტიკულ

გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგად საქართველოს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) უფრო შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტებით,

- EC წევრობა მოითხოვს, განახლებადი ენერგიის წყაროების და ენერგოეფექტურობის განვითარებას, გარემოსდაცვისა და კონკურენციის პირობების დაცვას და ა.შ., რაც, თავის მხრივ, ქვეყნის და საზოგადოების ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ განვითარებას ნიშნავს და რისი გადადებაც გაუმართლებელია. ერთობლივი პროექტების განხორციელებით იხსნება საქართველოს განახლებადი ენერგიის პოტენციალის განვითარების შესაძლებლობა.

ამდენად, ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირებას, განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის დანერგვას და „მწვანე ენერგეტიკაზე“ გადასვლას; ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ევროპული და სხვა ინვესტიციების მოზიდვას ქართულ ენერგო სექტორში. გრძელვადიან პირობებში, საქართველოს ასევე ექნება შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების მხარეების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც ასევე შეიძლება მოითხოვდეს სერიუზული ინვესტიციების განხორციელებას ინფრასტრუქტურაში.

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანება თანხედრაში მოდის აშშ-ის ენერგეტიკულ პოლიტიკასთან ევროპის კონტინენტზე და აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პრინციპებთან. ასევე, ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა შეესაბამება ნატოს ენერგოუსაფრთხოების ინტერესებს. საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგად, ევროკავშირი ვალდებული იქნება, სათანადო რეაგირება მოახდინოს რუსეთის ქმედებებზე ოკუპირებულ რეგიონებში. საყურადღებოა, რომ 2013 წელს EC წევრობაზე უარის თქმის სანაცვლოდ რუსეთი მოლდოვას გაზის ფასის მესამედით შემცირებას და ეკონომიკურ დახმარებას სთავაზობდა, რაზეც მოლდოვამ უარი განაცხადა და გაწევრიანდა ამ გაერთიანებაში, რაც კიდევ ერთხელ მაჩვენებელია ამ ნაბიჯის მაღალ პოლიტიკური მნიშვნელობი

გაზით უზრუნველყოფის პირობები საქართველოში

ტმდ, პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილი
29 მაისი, 2015

საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. როგორც ცნობილია, 2014 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას, დაწყებულია საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში (EC) გაწევრიანების პროცესიც, რისი ერთერთი მთავარი და სავალდებულო პრიორიტეტია ენერგეტიკული კანონმდებლობისა და ტექნიკური რეგლამენტების ჰარმონიზაცია, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ევროგაერთიანების ბაზრის მსგავსი კონკურენტუნარიანი ბაზარი საქართველოშიც.

EC-ში გაერთიანებით მიღებული სარგებელი დაკავშირებულია საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან, გამჭვირვალე და ლიბერალური ბაზრის ჩამოყალიბებასთან, ევროპული ტექნიკური რეგლამენტების დანერგვასთან და ა.შ. რაც თავისთავად მაღალი ხარისხისა და ევროპულ ენერგეტიკულ სტრუქტურებთან თავსებადობის უცილობელი პირობაა, თუმცა ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, ამ პროცესთან უშუალო კავშირში მყოფი ზოგიერთი პრობლემის გათვალისწინების გარეშე, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგის მომტანი გახდეს. ქვემოთ მოცემულია EC-ში გაერთიანებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემური საკითხის მოკლე ანალიზი.

საქართველო ენერგეტიკული რესურსების მიწოდების თვალსაზრისით ტიპიურ „კუნძულს“ წარმოადგენს ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მიმართებით. მას არ გააჩნია საერთო საზღვარი თანამეგობრობასთან, ხოლო არსებული ინფრასტრუქტურა, ამჟამად და მომავალში დაგეგმილი პროექტების განხორციელების შემთხვევაშიც, გაზის ნაკადების მხოლოდ ერთი მიმართულებით გატარებაზე არის გათვალისწინებული, რაც გამორიცხავს იმ სარგებლის მიღების შესაძლებლობას, რაც ერთიანი ქსელითა და ინტერკონექტორებით დაკავშირებულ თანამეგობრობის სხვა წევრებს გააჩნიათ.

რუსეთთან, რომელსაც საქართველოსგან ყველაზე დიდი სასაზღვრო ზოლო გამოყოფს, დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია, რადგან ამ ქვეყანას

სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებული აქვს ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 20% და ფაქტობრივად ეკონომიკური ბლოკადის პირობებს უქმნის საქართველოს. რუსული „გაზპრომი“, ქვეყნიდან გაზის ექსპორტიორი სახელმწიფო მონოპოლია, როგორც ცნობილია, გაზს მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებს. კერძოდ, სომხეთისათვის, რომელიც გაზს რუსეთიდან საქართველოს გავლით იღებს, დაწესებულია საბაზრო ფასებზე თითქმის ორჯერ დაბალი ფასები, რითაც პრივილეგირებული მდგომარეობა ექმნება სომხეთში წარმოებულ სამრეწველო პროდუქციას, მათ შორის თბოელექტროსადგურებში გენერირებულ ელექტროენერგიას, ცემენტს და ა.შ.. ამან შეიძლება მძიმე დარტყმის ქვეშ დააყენოს საქართველოს ეკონომიკა რომელსაც შეიძლება დემპინგური ფასებით მოეწოდოს იაფი ელექტროენერგია, ქიმიური და ცემენტის საწარმოების პროდუქტი თუ საქართველო რუსეთის გაზზე იქნება დამოკიდებული (როგორც 2000-2006 წლებში).

„გაზპრომი“ მიერ გაზის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების მკაფიო მაგალითია 2006 წლის ზამთარი, როცა რუსეთის ტერიტორიაზე მაგისტრალური მილსადენის 2 დამოუკიდებელი შტოს ერთდროული დივერსიული დაზიანების შემდეგ, საქართველოს თითქმის 2 კვირის განმავლობაში შეუწყდა გაზის მოწოდება. ხოლო, როცა აზერბაიჯანის დახმარებით შესაძლებელი გახდა ალტერნატიული მარშრუტით, აზერბაიჯანის გაზის სატრანსპორტო სისტემით რუსული გაზის მიწოდების სქემის ამოქმედება, „გაზპრომმა“ გაზის მიწოდება ამ ქვეყანასაც შეუწყვიტა.

საყურადღებოა, აგრეთვე, სომხეთში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები, როცა ამ ქვეყნის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის მიერ ლობირებულ ევრო-აზიურ საბაჟო კავშირში გაერთიანების შესახებ. გადაწყვეტილების ძირითადი მაინიცირებელ ფაქტორად საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ რეგიონში „გაზპრომი“-ის გაზის პოლიტიკა იქნა აღიარებული.

შედეგად, რუსეთი, როგორც გაზის პოტენციური მომწოდებელი, საქართველოსთვის მიუღებელია ამჟამად და გონივრულად თვალსაწიერ პერსპექტივაშიც, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით.

დღეისათვის, და პროგნოზის თანახმად მომავალშიც, ქვეყნის ჯამური მოთხოვნის დაახლოებით 90% და სოციალურად მგრძნობიარე მომხმარებლების მოთხოვნის 100% აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზით

არის უზრუნველყოფილი. ამასთან, მოწოდების ძირითად ნაწილს აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია SOCAR უზრუნველყოფს. SOCAR-ის შვილობილი, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი კომპანიები ფლობენ საქართველოს გაზგამანაწილებელი ქსელის ძირითად ნაწილსაც (თბილისის გარდა პრაქტიკულად ყველა რეგიონში) და დომინირებენ საცალო მიწოდებაშიც. SOCAR-ის მფლობელობაშია აგრეთვე ყველა მაგისტრალური მილსადენი, რომლითაც საქართველოს აზერბაიჯანიდან სახელმწიფო კომპანიების კუთვნილი გაზი მიეწოდება. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ქვეყნის ენერგეტიკული ბაზრის მონოპოლიზირებისათვის უცხო ქვეყნის მთავრობის მიერ კონტროლირებადი კომპანიის მიერ.

დღეისათვის ბაზრის სოციალური სექტორის მოთხოვნის გარანტირებულ უზრუნველყოფაში და SOCAR-ის მონოპოლიის პრევენციისთვის ადგილობრივ ბაზარზე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს შაჰ-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმთან არსებული ე.წ. „ოფციური გაზისა“ და „დამატებითი გაზის“ კონტრაქტებით SCP მილსადენით მოწოდებული გაზი.

„ოფციური გაზის“ კონტრაქტი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე SCP მილსადენით გატარებული გაზის მოცულობის პროპორციულ ერთადერთ გადასახადს, რომლითაც ჩანაცვლებულია ყველა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადი (გარდა დასაქმებული პერსონალის სოციალური გადასახადისა). ამასთან ერთად, საქართველოს დატოვებული აქვს შესაძლებლობა მიღებული გადასახადის საფასურად, შეიძინოს გატარებული გაზის 5%-მდე მოცულობა, ხელშეკრულებით დადგენილი ფასით.

„დამატებითი გაზის“ ხელშეკრულება ითვალისწინებს 500 მლნ მ³-მდე გაზის მოწოდებას SCP მილსადენით 2026 წლამდე, კონტრაქტით გათვალისწინებული ფასით, რომელიც ყოველწლიურად იზრდება დადგენილი ესკალაციის კოეფიციენტის შესაბამისად¹.

აღსანიშნავია, რომ „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის კონტრაქტები ხელმოწერილია ბაზრის მაშინდელი კონიუნქტურის გათვალისწინებითა და მხარეებისათვის ორმხრივ სასარგებლო პირობებით. კერძოდ, საქართველოს მხარემ, პრაქტიკულად უარი განაცხადა კანონმდებლობით გათვალისწინებულ

¹ დაინტერესებული მკითხველს ხელშეკრულების პირობების გაცნობა შეუძლია ბმულზე: http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/SHA_eng_HGA_Host_Government_Agreement_Georgia__English_.pdf

გადასახადებზე, რომელთა ჯამური შეფასებითი სიდიდე მილსადენის მშენებლობისა და ექსლუატაციის პერიოდში ასეულ მილიონობით დოლარს უტოლდება, რათა უზრუნველყო ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, ბაზრის დემონოპოლიზაცია და სოციალურად სენსიტიური მომხმარებლების გარანტირებული მომარაგება ხელმისაწვდომი სათბობით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მშენებლობა დასრულებულია 2006 წელს (2004 წლის შემდეგ) და როგორც “ახალი ინფრასტრუქტურა”, შესაბამისი არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით, შეიძლება დაექვემდებაროს დეროგაციას.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ:

1. საქართველოს გაზის ბაზარი სრულად იზოლირებულია თანამეგობრობის ქსელიდან და ტიპიურ „კუნძულს“ წარმოადგენს ენერგეტიკული თვალსაზრისით;
 2. მოქმედი „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის კონტრაქტები საერთაშორისო კონსორციუმთან, უზრუნველყოფენ:
 - სოციალურად მგრძნობიარე მომხმარებლის გარანტირებულ მომარაგებას ხელმისაწვდომი სათბობი რესურსით;
 - ბაზრის მონოპოლიზაციის პრევენციას ან გაზის პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენების შესაძლებლობის აღმოფხვრას, სხვა ქვეყნების მთავრობების კონტროლირებადი კომპანიების (SOCAR ან Gazprom) მიერ;
 - ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, რის სანაცვლოდაც საქართველომ შეგნებულად თქვა უარი კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაუკომპენსირებელ ფინანსურ შემოსავლებზე, ისტორიულ ჭრილში და პერსპექტივაშიც, არა მარტო SCP გაზსადენის, არამედ პარალელურად მიმდინარე BTC ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებული კონტრაქტებიდანაც;
 - ეკონომიკური დამოუკიდებლობის ისეთ დონეს, რომელიც ქვეყანას საშუალებას მისცემს გააგრძელოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში პოლიტიკური ინტეგრაციის არჩეული კურსი;
- საქართველოს უნდა მიენიჭოს SCP მილსადენთან დაკავშირებულ ასპექტებში დეროგაციის უფლება აღნიშნული კონტრაქტების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ კი არსებითი ცვლილება არ მოხდება ქვეყნის გარემომცველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში.

დასკვნა

ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრობა და შესაბამისი სავალდებულო პროცედურების დაცვა და კანონმდებლობის იმპლემენტაცია, ხელსაყრელ პირობებს აყალიბებენ საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებში წარმატებული ინტეგრაციისათვის, რადგან უზრუნველყოფენ: კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას, ინვესტიციების მოზიდვას ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ქვეყნის სტაბილური და უწყვეტი მომარაგებისათვის ენერგეტიკული რესურსებით, ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებას და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას.

ამასთან ერთად, საქართველო, ამ ეტაპზე, ვერ ისარგებლებს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაერთიანებით მისაღები ზოგიერთი პრივილეგიით, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული და ტექნიკური იზოლაციით თანამეგობრობის ერთიანი ბაზრისაგან. ამიტომ ქვეყანას უნდა მიეცეს დეროგაციის უფლება მის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან და სოციალურად ნაკლებად დაცული მოსახლეობის ხელმისაწვდომი ენერგეტიკური რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დებულებისგან, კერძოდ ქვეყანამ უნდა მიიღოს დროებითი გადახვევის (derogation) უფლება მოქმედ სატრანზიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგიერთი შეღავათის შესანარჩუნებლად, აგრეთვე ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესის გახანგრძლივებისათვის, როგორც მინიმუმ 2021 წლამდე.

ელექტროენერგიის და გაზის ფასების გამჭვირვალობა საქართველოში

იაგო ჭიაბრიშვილი, WEG

29 მაისი, 2015

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის 2008/92/EC დირექტივის მოთხოვნები: აღნიშნული დირექტივა მიზნად ისახავს საბოლოო მომხმარებლებისათვის დაწესებული გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ენერგიაზე ფასების ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული ერთიანი ევროპული პროცედურის შექმნის გზით.

ეს პროცედურა საშუალებას აძლევს მომხმარებელს ფლობდეს საკმარის ინფორმაციას, რომ გააკეთოს თავისუფალი არჩევანი ენერგიის მიმწოდებლებსა და ენერგიის წყაროებს შორის. ენერგიაზე ფასების გამჭვირვალობა

უზრუნველყოფს შიდა ბაზარზე ჯანსაღ კონკურენციას და მის გამართულ ფუნქციონირებას.

2008/92/EC დირექტივამ ჩაანაცვლა ანალოგიური სახელწოდების 1990 წლის 29 ივნისის 90/377/EEC დირექტივა, რომელშიც განვლილი წლების განმავლობაში რამდენჯერმე იქნა შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მოქმედი დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპის ენერგოგაერთიანების წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საწარმოებმა, რომლებიც სამრეწველო საბოლოო მომხმარებლებს აწვდიან გაზსა და ელექტროენერგიას, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურს (ევროსტატი) მიაწოდონ შემდეგი ინფორმაცია:

- სამრეწველო (საბოლოო) მომხმარებლებისათვის გაზისა და ელექტროენერგიის მიყიდვის ფასები და პირობები;
- გამოყენებული საფასო სისტემები;
- მომხმარებელთა კატეგორიზაცია მოხმარების ტიპების მიხედვით².

იმ ქვეყნებში, სადაც ენერგიის სამრეწველო გაყიდვებს ახორციელებს ერთზე მეტი კომპანია, ინფორმაცია გადაცემული უნდა იქნას სტატისტიკის დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. წარმოდგენილი ფასები მოკვლეული უნდა იყოს სამრეწველო საბოლოო მომხმარებლების სტანდარტული კატეგორიების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია დირექტივის I და II დანართებით, ენერგიის წლიური მოხმარების დიაპაზონის საფუძველზე³.

ფასებზე ინფორმაცია შეიკრიბება წელიწადში ორჯერ (იანვარში და ივლისში) და ასახავს საშუალო ფასებს, რომელსაც იხდიდნენ სამრეწველო საბოლოო მომხმარებლები წინა 6 თვის განმავლობაში. ფასები გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში ერთ გიგაჯოულზე (გაზისათვის) და ერთ კილოვატსაათზე (ელექტროენერგიისათვის). ფასები უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადს, გარდა მიერთების საწყისი საფასურისა, გამოხატულს ეროვნულ ვალუტაში. წარმოდგენილი უნდა იყოს ფასების სამი დონე:

- ფასები გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე;
- ფასები დღგ-სა და სხვა ანაზღაურებადი გადასახადების გარეშე;

² საბოლოო სამრეწველო მომხმარებლები შეიძლება მოიცავდეს სხვა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს

³ - 2008/92/EC დირექტივის დანართების პუნქტები ANNEX I Gas prices (j),(n), ANNEX II Electricity prices (j),(o).

- ფასები ყველა გადასახადის, მოსაკრებელის და დღგ-ს გათვალისწინებით.

გაზის და ელექტროენერგიის ფასებზე ინფორმაციის შეგროვება ადგილებზე უნდა მოხდეს დირექტივის I და II დანართებში აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მონაცემები ორი თვის ვადაში უნდა გაეგზავნოს ევროსტატს და წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს. ამ მონაცემების საფუძველზე, ევროსტატი, ყოველი წლის მაისში და ნოემბერში, შესაბამისი ფორმით გამოაქვეყნებს წევრ ქვეყნებში სამრეწველო მომხმარებლებისათვის გაზისა და ელექტროენერგიის ფასებს და გამოყენებულ ფასთა სისტემებს. წელიწადში ერთხელ ევროკომისია ამ დირექტივის ფუნქციონირების შესახებ შემაჯამებელ ანგარიშს წარუდგენს ევროპის პარლამენტს, ევროპის საბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალური კომიტეტს.

გარდა ზემოაღნიშნულისა:

- ორ წელიწადში ერთხელ ევროსტატს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემების მოგროვების სისტემის შესახებ;
- წელიწადში ერთხელ იანვრის ანგარიშგებასთან ერთად ევროსტატს უნდა გადაეგზავნოს ინფორმაცია ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სამომხმარებლო ფასებზე;
- წელიწადში ერთხელ იანვრის ანგარიშგებასთან ერთად ევროსტატს ასევე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ტარიფებსა და გაანგარიშების მეთოდზე, აგრეთვე გაყიდვებიდან გადასახდელების შესახებ;
- წელიწადში ერთხელ ევროსტატს უნდა გადაეგზავნოს ინფორმაცია ელექტროენერგიის ფასების ძირითადი კომპონენტების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ სამრეწველო ობიექტის მიერ მოხმარებული ენერგიის ფასი გავლენას ახდენს მის კონკურენტუნარიანობაზე და კონფიდენციალურ ინფორმაციათა კატეგორიას განეკუთვნება, ევროსტატის მიერ ფასებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში გამოყენებული სტანდარტების სისტემა უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის საჭირო ხარისხს. კერძოდ, ევროსტატის მიერ არ იქნება გამჟღავნებული ის მონაცემები, რომლებიც კომერციულად კონფიდენციალურს მიეკუთვნებიან. ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ევროსტატის ოფიციალური პირებისათვის და გამოყენებული იქნება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის, შეჯამებული სახით, ინდივიდუალური კომერციული ტრანზაქციების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გარეშე.

ევროსტატის მიერ შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე, შიდა ენერგობაზარზე მდგომარეობის მიხედვით, ევროკომისია, საქიროების შემთხვევაში მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო მოქმედების ან წინადადების შეთავაზების შესახებ.

არსებული გარემო

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე მოქმედებს სამი სადისტრიბუციო კომპანია - სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, რომელთა მომხმარებლებისთვის, მათ შორის სამრეწველო საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები დადგენილია დამოუკიდებელი მარეგულირებლის⁴ (სემეკ-ი) მიერ. ამ უკანასკნელის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით, საცალო მომხმარებელს უფლება აქვს ელექტროენერგია შეისყიდოს როგორც განაწილების ლიცენზიანტისგან, ისე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისგან სათანადო წესის დაცვით გაფორმებული ელექტრო-ენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. დღეისათვის ასეთი ჰესების რაოდენობა, ესკო-ს ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, 47-ს აღწევს. ინფორმაციის კონფიდენციალურობის გამო, არ მოხერხდა ზუსტი ინფორმაციის მოპოვება მცირე ელექტროსადგურებსა და საცალო მომხმარებლებს შორის პირდაპირ ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ ტარიფებზე, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ხელშეკრულებების რაოდენობა, სხვადასხვა მიზეზების გამო, დიდი არაა. ახლო მომავალში, ელექტროენერგიის ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაციის პირობებში, პირდაპირი ხელშეკრულებების რაოდენობა სავარაუდოდ გაიზრდება და მოხდება ტარიფების დერეგულირება. აქედან გამომდინარე, 2008/92/EC დირექტივის შესრულების პროცესში სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ საქსტატში⁵ წარდგენილი მონაცემების სიზუსტეს. დღეისათვის, ინფორმაცია პირდაპირი ხელშეკრულებებით გაყიდული ელექტროენერგიის შესახებ ყოველთვიურად თავს იყრის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო)⁶, რომელიც მას იყენებს თავისი, როგორც ელექტროენერგიის ბაზრის დამაბალანსებლის, ფუნქციების შესასრულებლად. დასადგენია ამ ორგანიზაციის მონაწილეობის შესაძლებლობა სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების პროცესში, თუნდაც მონაცემების შედარების მიზნით.

⁴საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - <http://gnerc.org>

⁵საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

⁶<http://esco.ge/>

ბუნებრივი გაზის სექტორში ენერგიის მიწოდებას ახორციელებს გაცილებით მეტი - 37 კომპანია, თუმცა მათი დიდი ნაწილი გაერთიანებულია სოკარ გაზის სოკარ გაზ ჯორჯიას მფლობელობაში, რომელიც ბაზრის 35% ფლობს⁷. „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა იურიდიული პირებისათვის (კომერციული სექტორი) დერეგულირებულია, ანუ არ ექვემდებარება სემეკის მხრიდან რეგულირებას. ბუნებრივია, რომ აღნიშნული იწვევს სამრეწველო მომხმარებლებისათვის შესასყიდი ფასების მრავალფეროვნებას და გამანაწილებელი კომპანიის მხრივ ინდივიდუალური მიდგომების შესაძლებლობას. ვინაიდან გაზის სექტორში, ელექტროენერგეტიკულსგან განსხვავებით, არ ფუნქციონირებს კომერციული ოპერატორი და არ არის პირდაპირი ხელშეკრულებების კონტროლის ეფექტური სისტემა, ფასების მონაცემების შეგროვება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. ამ პროცესში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს რაიმე ფორმით სემეკის ჩართულობა, რომელიც გაზის მიმწოდებლებისაგან ღებულობს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს. თუ ამ ანგარიშების ფორმებში მოხდება საჭირო დამატებები საბოლოო მოხმარების ფასების ნაწილში 2008/92/EC დირექტივის მოთხოვნებთან ადაპტირების თვალსაზრისით, სემეკს არ გაუჭირდება შეუსაბამოების აღმოჩენა გაზის გამანაწილებელი კომპანიების მიერ სტატისტიკის სამსახურისადმი წარდგენილ მასალაში. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონის შესაბამისად „კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი ფასები და ტარიფები მომხმარებელს იცავს მონოპოლიური ფასებისაგან“ (მუხლი 43.1.ა) აღნიშნულ მოთხოვნას ეწინააღმდეგება მონოპოლისტური მიმწოდებლის (სოკარ-გაზის) არსებობა, რომელიც ამავე დროს რეგულირებას არ არის დაქვემდებარებული. შესაბამისად აღნიშნული სახის კონტროლი სემეკის ფუნქციაში უნდა შედიოდეს.

ძირითადი პრობლემები და გამოწვევები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე მცირეა იმ სამრეწველო საბოლოო მომხმარებლების რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ დერეგულირებული ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის პირდაპირი შესყიდვის უფლებით. აღნიშნულს გაჩნია რიგი სუბიექტური მიზეზებისა (ხარვეზები

⁷საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 2014 წლის ანგარიში. გვ.74

საკანონმდებლო, მარეგულირებელ და მართვის დონეზე), რომელთა ანალიზი სცილდება ამ სტატიის ამოცანებს. თუ აღნიშნულს დავუმატებთ მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიყიდვაში კონკურენციის პრაქტიკულად არ არსებობას (სამი მძლავრი ტერიტორიული გამანაწილებელი კომპანია დამოუკიდებელი საცალო მიმწოდებელი კომპანიების ნაცვლად), ნათელი გახდება, რომ ევროსტატისათვის 2008/92/EC დირექტივით მოთხოვნილი მასალის მიწოდება საქართველოსათვის ამ ეტაპზე სიმბოლური მნიშვნელობის უფრო იქნება, ვიდრე პრაქტიკული ღირებულების.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბოლო პერიოდში ელექტროენერგიის ბაზარზე შემცირდა პირდაპირი მომხმარებლების (რომელთა წლიური მოხმარება 7 მლნ კილოვატსაათს აღემატება) რიცხვი. თუ 2006-2010 წლებში ფუნქციონირებდა ათი პირდაპირი მომხმარებელი, დღეის მდგომარეობით დარჩენილია მხოლოდ ხუთი. დანარჩენები ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიებიდან შეისყიდიან პირდაპირ. საქართველოში ორი ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული კომპანია – „თელასი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“ - ფლობს საკუთარ გენერაციის ობიექტებს, გამანაწილებელ ქსელს და თვითონ აწარმოებენ მიწოდების საქმიანობასაც. ანუ პრაქტიკულად ბაზრის გახსნილობა მხოლოდ სიმბოლურია.

ანალოგიური და შესაძლოა უარესი მდგომარეობაა გაზის სისტემაში, სადაც პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი ასევე შეზღუდულია. ძირითადი გამანაწილებელი კომპანიები - შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, სს „საქორგაზი“ (ძირითადად სოკარის მფლობელობაში გაერთიანებული ყოფილი „იტერას“ გამანაწილებელი კომპანიები) და შპს „ყაზტრანსგაზი“ რჩებიან ბუნებრივი გაზის უმსხვილეს გამანაწილებელ-მიმწოდებლებად, ხოლო მცირე გამანაწილებელი და მიმწოდებელი კომპანიები სრულად არიან დამოკიდებული მათზე. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №114 ბრძანებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“, როგორც ეს პირველი მუხლის (ზოგადი დებულებები) მე-2 პუნქტშია აღნიშნული, აწესრიგებს ბუნებრივი გაზის მიმწოდებელს, ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიანტებსა და პირდაპირ მომხმარებელს შორის ურთიერთობებს. თუმცა ამავე მუხლის მე-4 პუნქტი აზუსტებს, რომ „ურთიერთობები რეგულირდება ამ წესებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თანასწორუფლებიანობის და თავისუფალი ნების გამოვლენის პრინციპების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც მიმწოდებელს ან/და ლიცენზიანტს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე“, რაც თავისთავად არათანასწორუფლებიანობის აღიარებაა.

მეორეს მხრივ, სემეკ-ის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“ არეგულირებს ბუნებრივი გაზის მიმწოდებელსა და განაწილების ლიცენზიანტს შორის ურთიერთობებს (მუხლი 30). ის ასევე ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობაზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფას ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების დაუბრკოლებლად დაშვების გზით (თავი IV მუხლი 26). მაგრამ რეალურად გაზის საშუალო და წვრილ მიმწოდებლებს, რომლებიც გაზს ყიდულობენ ზემოთხსენებული მსხვილი გამანაწილებელი კომპანიებისაგან, არ შეუძლიათ კონკურენციის გაწევა ამ უკანასკნელთა შვილობილ საწარმოებთან.

რა უნდა გაკეთდეს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის

2008/92/EC დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ (ენერგეტიკის სამინისტრო) უნდა შეიმუშაოს და მოქმედებაში მოიყვანოს ევროსტატში წარსადგენი მონაცემების შედგენის სისტემა და შექმნას იურიდიული ბაზა საქართველოს საკანონმდებლო აქტებში (კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ) დირექტივის მოთხოვნების ასახვისათვის.

გაზისა და ელექტროენერგიის გამყიდველი (მიმწოდებელი) კომპანიებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს 2008/92/EC დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად მონაცემების მომზადება და წარდგენა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) და სემეკ-ში. გარდა ამისა საქსტატმა უნდა შეიმუშაოს გაზისა და ელექტროენერგიის გამყიდველ კომპანიებთან თანამშრომლობის ფორმა და სტანდარტები. შეიმუშაოს სამრეწველო საბოლოო მომხმარებლებზე გაზისა და ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიების შესაბამისი ანგარიშგების მეთოდიკა.

საქსტატმა და სემეკმა მონაწილეობა მიიღონ 2008/92/EC დირექტივით გათვალისწინებულ ფასების სტატისტიკასთან დაკავშირებულ საერთაშორისო თანამშრომლობაში.

საქართველოში ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის საცალო ბაზრების ნორმალური განვითარებისათვის ფასების ზუსტი სტატისტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო იყოს საკანონმდებლო

დონეზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გათვალისწინება არასწორი სტატისტიკური მონაცემების წარდგენისათვის.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ და სემეკმა უნდა უზრუნველყონ საბაზრო წესების ცვლილება, რაც აღმოფხვრის მონოპოლიურ მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობას და აღმოფხვრის ამ სფეროში არსებულ გაუმჭვირვალე გარემოს.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმირება

ნინო მაღრაძე, WEG

29 მაისი, 2015

წინამდებარე თავში განხილულია 2009/72/EC დირექტივა 2009 წლის 13 ივლისი ელექტროენერგიის შიდა ბაზარზე არსებული საერთო წესების შესახებ და რეგულაცია 714/2009 ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისათვის ქსელზე დაშვების პირობების შესახებ, რომელთა დანერგვა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოსთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს⁸.

ელექტროენერგიის ე.წ. მესამე დირექტივების პაკეტი ადგენს ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების საერთო წესებს, ასევე უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვას ევროპულ გაერთიანებაში ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრების გაუმჯობესებითა და ინტეგრაციით. ეს დირექტივა აწესებს:

- ელექტროენერგიის სექტორის ორგანიზებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ წესებს,
- თავისუფალ წვდომას ბაზართან,
- კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება სატენდერო მოთხოვნებს,
- ლიცენზიების მინიჭების უფლებას და
- სისტემათა ფუნქციონირების წესებს.

ასევე, დირექტივა განმარტავს კონკურენციის მოთხოვნებს, ადგენს საჯარო მომსახურების ვალდებულებებს და ელექტროენერგიის მომხმარებელთა უფლებებს.

⁸ Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the network for cross-border exchanges in electricity;

ქვემოთ მოყვანილია დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნები და საქართველოში არსებული ვითარების აღწერა თითოეულ საკითხთან მიმართებაში:

ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა უნდა განხორციელდეს ავტორიზაციის გზით, რომელიც უნდა იყოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პროცესი. ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში ქვეყნდება სატენდერო პროცედურის დეტალები განაცხადის მიღების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 6 თვით ადრე. ტენდერის პირობები დეტალურად უნდა შეიცავდეს პროცედურებს და ხელშეკრულების მოთხოვნებს.

საქართველოში ახალი ობიექტების მშენებლობის ხელშეწყობისათვის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც რეგულირდება ელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის პროცედურები. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო აცხადებს ინტერესთა გამოხატვას რომელიმე კონკრეტულ პროექტზე ან ინვესტორის ინიციატივით ხდება რომელიმე პროექტის გამოტანა. ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს შორის იდება მემორანდუმი, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. ინტერესთა გამოხატვის შედეგად გამარჯვებული პირის მიერ ელექტროსადგურის მშენებლობის, ოპერირების და ფლობის აუცილებელი პირობაა ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, მემორანდუმით შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში, ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების 20% რეალიზაცია ქვეყნის შიგნით⁹.

თითოეული პროექტისათვის მემორანდუმის პირობები განსხვავებულია, და არ რეგულირდება არცერთი საკანონმდებლო დოკუმენტით. მაგალითისათვის მოვიყვანთ ელექტროენერგიის ქვეყნის შიგნით რეალიზაციის ფასის საკითხს. დაუდგენელია, თუ რის საფუძველზე ხდება სარეალიზაციო ფასის შეთავაზება. ამრიგად, ამჟამად არსებული ინტერესთა გამოხატვა ბოლომდე ვერ წარმოადგენს კონკურენტულ და გამჭვირვალე პროცედურას, იგი საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

⁹ ეს პირობაც შეიძლება შეიცვალოს კონკრეტულ შემთხვევებში.

გადაცემის სისტემის განმხოლოების (unbundling) სამი ძირითადი არჩევანი: ქონებრივი განმხოლოების, დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ან დამოუკიდებელი გადაცემის ოპერატორის ჩამოყალიბება.

საქართველოში გადაცემის სისტემის ოპერატორის ჩამოყალიბება მოხდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (სსე) ბაზაზე. ქვეყანაში ამჟამად, კიდევ ორი გადამცემი კომპანია ფუნქციონირებს (სს „საქრუსენერგო“ და შპს „ენერგოტრანსი“), რომლებიც ფლობენ მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს. გასულ წელს ცვლილება იქნა შეტანილი კანონში, რომლის მიხედვითაც გადაცემის სისტემის ოპერატორი განიმარტა, როგორც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი, რომელსაც გადაცემის ლიცენზიატებთან გაფორმებული აქვს სათანადო ხელშეკრულება მათი ქსელის ოპირების და დაგეგმვის უფლებამოსილებით. აღნიშნული კი შეესაბამება დირექტირებით მოცემული მფლობელობითი განმხოლოების მოდელს¹⁰.

დირექტივის ერთ-ერთი მოთხოვნა გადაცემის სისტემის ოპერატორის მიმართ არის **ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შემუშავება** და დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ სსე-მ უკვე დაასრულა მუშაობა ათწლიან განვითარების გეგმაზე, რომელსაც აპრილის თვეში უკვე წარუდგენს მარეგულირებელ კომისიას¹¹.

ქსელზე არადისკრიმინაციული დაშვება, რაც გულისხმობს ყველა მესამე მხარისთვის ქსელზე დაშვებას ყოველგვარი შეზღუდვებისა და დისკრიმინაციის გარეშე, ასევე მოიცავს ელექტროენერგიის უსაფრთხო, ხარისხიან მიწოდებას და გარემოს დაცვას. ქსელზე მესამე მხარის დაშვება უნდა განხორციელდეს არადისკრიმინაციულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არის ტექნიკური და ეკონომიკური პარამეტრების დასაკმაყოფილებლად საკმარისი სიმძლავრე.

საქართველოში ახალ მომხმარებლებს თუ გენერაციის ობიექტებს ქსელთან მიერთებისას, ხშირად უწევთ გამანაწილებელი კომპანიების ქსელით სარგებლობისათვის ქსელის ნაწილის მოდერნიზება და ინფრასტრუქტურის შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ მკაცრად არის დადგენილი ქსელთან მიერთების საფასური, არ არსებობს სხვა რეგულაცია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი უფლება-მოვალეობები, რათა თავიდან იქნას აცილებული გამანაწილებელი

¹⁰ „საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“

¹¹ წიგნის გამოცემის დროისთვის გეგმა დამტკიცებულია

კომპანიების მხრიდან ახალი მომხმარებლის თუ მწარმოებლის სიმძლავრის გატარების მიმართ სუბიექტური მიდგომა.

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ჩამოყალიბება, რომელიც, იმ შემთხვევაში თუ არ გააჩნია შესაბამისი რესურსები, შესაძლებელია ასევე გადაცემის სისტემის ოპერატორის ქვეშაც ფუნქციონირებდეს. იურიდიული და ფუნქციონალური გამოყოფა სავალდებულოა მაშინ, როცა ოპერატორს 100 000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს ან/და წარმოადგენს პატარა იზოლირებულ სისტემას.

საქართველოში დამოუკიდებელი განაწილების სისტემის ოპერატორები არ გვყავს. ყველა ქსელის ოპერატორი, ამავე დროს მიმწოდებელია, რაც არღვევს საქმიანობათა განმხილვების ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნას.

გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის გამოყოფა წარმოების და მიწოდების სექტორისაგან. ამ შემთხვევაში, მთავარი მიზანია დაცული იყოს თითოეული მონაწილის ინტერესები და აცილებული იქნას ინტერესთა კონფლიქტი.

საქართველოში, ამ მხრივაც პრობლემები გვაქვს. კერძოდ, გამანაწილებელი კომპანიის სს „ენერგო-პრო გორჯია“-ს, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს საქართველოს მოსახლეობის 75%-ს, მფლობელობაში იმყოფება - 1 თბოსადგური, 9 საშუალო და 2 მცირე სიმძლავრის ჰიდროსადგური. ამასთან აღსანიშნავია, რომ კომპანია წარმოადგენს უცხოურ ინვესტიციას. სახელმწიფოს მიერ დადებული მემორანდუმები გრძელვადიან ტარიფზე ინტერ რაო-სთან და ენერგოპროსთან არღვევს გაყოფის პრინციპს. გამანაწილებელი თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია და მწარმოებელი „მტკვარი“ ერთად განიხილებიან როგორც ხელშეკრულების მხარეები.

ბაზრის გახსნილობა ელექტროენერგიის შიდა ბაზარზე კონკურენციის განსავითარებლად. ელექტროენერგიის ყველა მსხვილ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მომწოდებლის თავისუფალი არჩევის უფლება.

საქართველოში ბაზარი ღიაა 3 მილიონ კილოვატსაათამდე წლიური მოხმარების მქონე პირებისათვის და ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიხედვით 2017 წლისათვის ბაზრის გახსნა იგეგმება 1 კვტსთ

მომხმარებლებისთვისაც¹². თუმცა, პრაქტიკაში ბაზრის გახსნილობა არ მოქმედებს. პირდაპირ მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, ძირითად მიზეზს კი შედარებით იაფი ელექტროენერგიის მომწოდებლის არ არსებობა წარმოადგენს. ბაზრის წესების შესაბამისად ყველაზე იაფი ენერგია პირველ რიგში გამანაწილებელ კომპანიებს ხვდებათ, ამიტომ ხშირად პირდაპირი მომხმარებლები საბალანსო ელექტროენერგიის იმედად რჩებიან, რომლის ფასი განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში აღემატება გამანაწილებელი კომპანიებისათვის მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ სარეალიზაციო ფასს. ზედმეტი დანახარჯის რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანიები აღარ მიიჩნევენ საჭიროდ პირაპირ მომხმარებელად ყოფნას¹³.

გამანაწილებელი ქსელის მოდერნიზება, ე.წ. ინტელექტუალური ქსელების და აღრიცხვის სისტემის არსებობა. საქართველოში მუდმივად მიმდინარეობს გადამცემი ქსელის რეკონსტრუქცია. თუმცა, მისი თანამედროვე დონეზე სრულად მოდერნიზება დიდძალ ინვესტიციას მოითხოვს. საცალო ბაზარზე გადასვლის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ე.წ. „სხარტი“ მრიცხველების არსებობა ხელმისაწვდომობა საბითუმო დონეზე.

უახლოეს ხანებში, საქართველოს ბაზარზე მონაწილე თითქმის ყველა კვალიფიციური საწარმოს (გამანაწილებელ კომპანიები, პირდაპირი მომხმარებლები, გენერაციის ლიცენზიანტები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები) მრიცხველები შეცვლილი იქნა ელექტრონული ე.წ. „ალფა“ მრიცხველებით, რაც საშუალებას იძლევა ზედა დონის ელექტროენერგიის აღრიცხვისა და კონტროლის ავტომატიზირებულ სისტემასთან მონაცემის მიწოდება მოხდეს ყოველ ნახევარსაათში. თუ რომელიმე მომხმარებელი მოისურვებს პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრირებას, საწყის ინვესტიციად მოუწევს აღნიშნული მრიცხველის უჯრედის მონტაჟი.

მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჯარო მომსახურების ვალდებულების მაღალი სტანდარტების შესაბამისობა ბაზრის გახსნასთან ისე, რომ დაიცვას მოწყვლადი მომხმარებლების ინტერესები. ამაში უნდა შედიოდეს მაგალითად გადაუხდელობის შემთხვევაში მათთვის გადახდის გადავადება.

¹² საქართველოს მთავრობის დადგენილება #214, 21.08.2013, საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ.

¹³ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“

ამ კუთხით მარეგულირებელი კომისიის მიერ დაწესებულია ე.წ. სოციალური ტარიფები, თუმცა ეს შესაძლოა განხილული იყოს როგორც ტარიფებით მანიპულირების მავნე პრაქტიკა, რომელიც არ არის საკმარისი ინსტრუმენტი განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების გადასაჭრელად და უფრო მეტიც, ხშირად ამ ტარიფებით გადახდისუნარიანი მოსახლეობა უფრო მეტად სარგებლობს.

ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტს ევროკომისია განიხილავს როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონეს. წევრ ქვეყნებში ენერგიის დეფიციტი ქმნის სამოქმედო გეგმის ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტის არსებობის აუცილებლობას.

საქართველოში დამუშავდა ენერგეტიკული პოლიტიკა რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტშია წარდგენილი განხილვასა და დასამტკიცებლად; მიმდინარეობს მუშაობა ენერგეტიკულ სტრატეგიაზე, რაც 2015 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს¹⁴.

მარეგულირებელი ორგანოს როლის გაზრდა შიდა ბაზრის მართვაში. ამ კუთხით საქართველოში გადადგმული იქნა გარკვეული ნაბიჯი, კერძოდ, მარეგულირებელს დაემატა ბაზრის მონიტორინგის ფუნქცია რაც მანამდე არ ჰქონდა. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის სერიოზული გააქტიურება რათა კიდევ მეტად გაიზარდოს მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა და პროფესიული დონე, ვინაიდან სწორედ ძლიერი მარეგულირებელი წარმოადგენს დარგში გრძელვადიანი სტაბილურობისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების საფუძველს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო აკმაყოფილებს ევროკავშირის ყველაზე მთავარ მოთხოვნას - რეგულატორის დამოუკიდებლობას, რაც განსაზღვრულია რეგულატორების შესახებ დირექტივით.

ტრანსსასაზღვრო კავშირების განვითარება ყველა ენერგიის წყაროს კონკურენტულ ფასად და მომხმარებელამდე უსაფრთხოდ მიწოდებისათვის. აუცილებელია ჩამოყალიბდეს გადადინებების კომპენსაციისათვის გარკვეული მექანიზმი და დაწესდეს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის საფასურის და სიმძლავრეების განაწილებისათვის ჰარმონიზებული პრინციპები.

საქართველოს თითოეულ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობისათვის ცალკე დოკუმენტები გააჩნია. მათ შორის, მაგალითად: თურქეთთან,

¹⁴ დამტკიცდა პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივნისს

ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის და ინტერკონექციის შესახებ ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ სიმძლავრეების განაწილებას „შავი ზღვის“ ახალ გადამცემ ხაზზე.

ტრანსსასაზღვრო კავშირების განსავითარებლად ბოლო ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვანი პროექტები იქნა განხორციელებული, მათ შორის „შავი ზღვის“ რეგიონალური ელექტროგადამცემის, რომლითაც მოხდა გარდაბანი-ახალციხის, ზესტაფონი-ახალციხის, ახალციხე-თურქეთის საზღვრის მონაკვეთების რეაბილიტაცია-მშენებლობა და 500 კვ-იანი ქვესადგურის (მუდმივი დენის ჩანართით) მშენებლობა. ასევე, დასრულდა აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის მშენებლობა; აქტიურად მიმდინარეობს რუსეთთან დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზის - „ყაზბეგის“ სამშენებლო სამუშაოები. პერმანენტულად ხორციელდება მაღალი ძაბვის ქვესადგურების რეაბილიტაცია, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის უწყვეტ და საიმედო მომარაგებას.

ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელის ჩამოყალიბება (ENTSO-E). აღნიშნული ორგანიზაცია შეიმუშავებს ქსელის ოპერირების წესებს, ნორმებს და რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს ევროპული გადამცემი ოპერატორების ოპტიმალურ ფუნქციონირებას. თურქეთი გასულ წელს უკვე მიუერთდა აღნიშნულ გაერთიანებას ასოცირებული წევრის სტატუსით, ვინაიდან ის არ არის არც ევროკავშირის, არც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა. საქართველოს დასჭირდება დიდი ძალისხმევა აღნიშნულის მისაღწევად. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველომ თურქეთის საზღვარზე მაინც უნდა მიაღწიოს და დანერგოს იგივე რეგულაციები რაც საკუთრივ გააჩნია თურქეთს ENTSO-E-ს წევრ ქვეყნებთან.

საქართველოში უკვე იწერება „ქსელის“ წესები - მიღებულია მისი ოთხი თავი და მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ორ თავზე. დაინერგა ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის (ელექტრონული აუქციონის) და მომავალი დღის დაგეგმვის მექანიზმები ვებ პლატფორმის მეშვეობით.

დირექტივების დანერგვა წარმოადგენს რთულ და ხანგრძლივ პროცესს, რომელსაც საქართველოსთვის მრავალი პრობლემა ახლავს თან, მათ შორის:

- პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან არა აქვს პირდაპირი სახმელეთო საზღვარი, თუმცა, თურქეთის გავლით შესაძლებელია ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელება.

- ელექტროენერგეტიკულ სექტორში ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების და მათთან მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმების არსებობა, რაც ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრინციპებს. ამასთანავე, ახალ მშენებარე ელექტროსადგურებთან გაფორმებული მემორანდუმებით გაწერილია სადგურების მიერ „შავი ზღვის“ გადამცემ ხაზზე ექსპორტის მიზნით სიმძლავრის განაწილება მრავალწლიან პერიოდზე. ამავე დროს, ევროპული გაერთიანების წევრ ქვეყნებში ტრანსსასაზღვრო სიმძლავრეების განაწილება არ ხდება ერთ წლიან პერიოდზე მეტი ხნის ვადით.
- საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ელექტრომომარაგების საკითხი, კერძოდ: საქართველოს ადგილობრივი ჰიდროგენერაციის 45% მოდის ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადზე, რომლებიც განლაგებულია კონფლიქტურ რეგიონში, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნისათვის ელექტროენერგიის უწყვეტ და უსაფრთხო მომარაგებას.
- დირექტივების დანერგვისას ევროკავშირი უფლებას აძლევს ზოგიერთ წევრ ქვეყნებს, რომელთაც გააჩნიათ მცირე, იზოლირებული, ერთ მომწოდებელზე დამოკიდებული სისტემა, ან/და თუ რომელიმე მუხლის შესრულება ხელს შეუშლის სისტემის ოპერირებას ან/და გამოიწვევს სერიოზულ ეკონომიკურ და ფინანსურ დანაკარგებს, მიმართოს ზოგიერთი მუხლის მოთხოვნის შესრულებისაგან განთავისუფლების თხოვნით. კერძოდ, ეს ეხება განმხოლოების, მესამე მხარის დაშვების, ბაზრის გახსნის მოთხოვნებს და ა.შ.

რეკომენდაციები

საქართველოში ევროდირექტივების დანერგვისათვის რეკომენდაციების დიდი სპექტრიდან მნიშვნელოვანია შემდეგი:

- უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს პირობებისთვის მორგებული ბაზრის მოდელი, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს კონკურენციის და საქმიანობათა განმხოლოების მოთხოვნებს, რის შედეგად ბაზარი გახდება ლიბერალური და გამჭვირვალე;
- უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ისეთი საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები როგორიცაა „საბაზრო წესები“ (ანგარიშსწორების და ბალანსირების წესები), კომერციული (სისტემის გამოყენების, მიერთების, დამხმარე მომსახურებების ხელშეკრულება), ტექნიკური წესები (გადაცემის, განაწილების ქსელის წესები). ასევე მოხდეს არსებული კანონმდებლობის დახვეწა;

- მარეგულირებელ კომისიის როლის გაზრდა, კერძოდ, ბაზრის ფუნქციონირების და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის კუთხით;
- განვითარდეს დამხმარე/სასისტემო მომსახურებების ბაზარი (ბალანსირების, სარეზერვო სიმძლავრის, სიხშირის რეგულირების და ა.შ.), რაც ელექტროენერგიის უსაფრთხო და ხარისხიანი მიწოდების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს;
- გადაცემისა და განაწილების ტარიფის კომპონენტის იმ დონის დაწესება, რაც უზრუნველყოფს გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის შეუფერხებელ მუშაობას;
- მოწყვლადი მომხმარებლების ინტერესების დასაცავად ქმედითი სოციალური ღონისძიებების განხორციელება;
- განახლებადი ენერგიის წარმოებისა და ენერგოეფექტურობის ზრდის წამახალისებელი ღონისძიებების ხელშეწყობა;
- შესაბამისი წახალისების მექანიზმების შემუშავება ახალი, დამატებითი სიმძლავრეების ასაშენებლად, რაც მოიცავს, როგორც დამატებით საფასურს წარმოებულ ელექტროენერგიაზე, ასევე საგადასახადო შეღავათებს და მთავრობის მიერ წარმოებულ კონკურენტულ ტენდერებს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ევროპის ქვეყნებში ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია ეტაპობრივად მიმდინარეობდა, ამისათვის გახდა საჭირო ენერგო დირექტივების სამი პაკეტის დანერგვა. საქართველომ უნდა გაიაროს ის ყველა ეტაპი რაც ამ ქვეყნებს დასჭირდათ საბოლოო რეფორმირებისათვის, თუმცა, მანამდე ასეთი გადაწყვეტილებისათვის უნდა მოხდეს საფუძვლიანი შეფასება, გაკეთდეს თითოეული მოთხოვნის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და შემდეგ დაისახოს კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებელი ნაბიჯები.

ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნები გაზისა და ნავთობის სექტორებში

*ტმდ, პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილი
29 მაისი, 2015*

ბუნებრივი გაზის ბაზარი

ნავთობისა და გაზის სექტორის იმ ევროპული მარეგლამენტირებელი დოკუმენტების ძირითადი დანიშნულება, რომელთაგანაც უნდა მოხდეს ქართული ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, არის ერთიანი ლიბერალური ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება შეთანადებული ტარიფებით, რაც ხელს შეუწყობს ნახშირწყალბადოვანი რესურსების ტრანს-სასაზღვრო მოძრაობას, თავისუფალ ვაჭრობას მაქსიმალური გამჭვირვალობის პირობებში, მესამე მხარის შეუფერხებელ და არადისკრიმინებულ დაშვებას არსებულ ინფრასტრუქტურაზე, თითოეული ქვეყნის და ერთობლივ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

დირექტივა 2009/73/EC. ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრის საერთო წესები¹⁵

2009/73/EC დირექტივა აყალიბებს ერთიან წესებს ბუნებრივი გაზის მიწოდების, ტრანსპორტირების, განაწილებისა და დამარაგების სისტემებისათვის. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ევროკავშირის ერთიან შიდა ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა, აგრეთვე, ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული კავშირების სტიმულირება არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ერთგვაროვანი ტარიფებით, გრძელვადიან პერსპექტივაში.

დირექტივის მე-3 მუხლი მიუთითებს, რომ მონაწილე მხარეებმა ინსტიტუციონალური მოწყობის მეშვეობით უნდა უზრუნველყონ ბუნებრივი გაზის კონკურენტული და უსაფრთხო ბაზრის ჩამოყალიბება, ნებისმიერი საწარმოს დისკრიმინაციის გარეშე. კანონის ამ მუხლიდან გადახვევა (განთავისუფლება), დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება დარღვეული კონკურენციის პირობები.

კონკურენციის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად დირექტივა მიიჩნევს წარმოებისა და მიწოდების საქმიანობის განმხოლოებას (unbundling) ტრანსპორტირებისა და სხვა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საქმიანობებისაგან, როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სხვა სახელმწიფოების საწარმოების შემთხვევაშიც (იხ. დირექტივის მუხლები 9 და 11). განმხოლოება გულისხმობს ტრანსპორტირების და განაწილების სფეროში საქმიანობის ეფექტურად გამიჯვნას ისეთი სფეროებისგან, რომლებიც კონკურენციის პრინციპზე უნდა

¹⁵ Directive 2009/73/EC 13/07-2009 of the European Parliament and of the Council concerning common rules for the internal market in natural gas.

მუშაობდნენ (იგულისხმება, როგორც საბითუმო ისე საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმიანობები: წარმოება, მიწოდება, იმპორტი), რამაც უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია კონკურენტულ ბაზარზე.

ევროკავშირის დირექტივების მესამე პაკეტის მიხედვით განიხილება განმხოლოების სამი მოდელი: - საკუთრების (ქონებრივი) განმხოლოება (Ownership unbundling); სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის (ISO) დაარსება და ფუნქციონირება; ტრანსპორტირების სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის (ITO) დაარსება და ფუნქციონირება, რომელთა შორის გარკვეულ პირობებში ქვეყნებს შეუძლიათ არჩევის გაკეთება:

- ქონებრივი განმხოლოების მოდელის განხორციელების შემთხვევაში ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიებს (ვიკ) მოუწევთ მათ მფლობელობაში არსებული გაზსადენების გასხვისება. მიმწოდებელ და მწარმოებელ კომპანიებს სრული უფლება აქვთ გადაწყვიტონ ვის, როგორ და რა ფასად გადასცენ გაზსადენები. თუმცა, ამ შემთხვევაში, მიმწოდებელ და მწარმოებელ კომპანიებს არ ექნებათ აქციების ძირითადი პაკეტის ფლობის, მმართველი ორგანოს (საბჭოს) წევრის დანიშვნის უფლება და ა.შ. ტრანსპორტირების/გადაცემის სისტემის ოპერატორ კომპანიაში.
- ISO მოდელის გამოყენების შემთხვევაში, მიმწოდებელ კომპანიებს შეუძლიათ კვლავ ფლობდნენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, მაგრამ მათ მისი ოპერირების, მომსახურების, ინვესტირების დაგეგმვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება უნდა მიანდონ სხვა – დამოუკიდებელ კომპანიას. ვიკ-ის ძირითად ვალდებულად კი რჩება უზრუნველყოს საინვესტიციო ფონდების მოძიება/დაფუძნება და ინვესტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა. დამოუკიდებელი ოპერატორი კომპანიის ვალდებულებაა ტრანსპორტირების სისტემის ოპერირება, ტექნიკური მომსახურება, დაგეგმვა და ინვესტირების ორგანიზება. ISO მოდელის შერჩევა მოითხოვს ევროკომისიისა და ქვეყნის მთავრობის თანხმობას.
- ITO მოდელის არჩევის შემთხვევაში ვიკ-ს შეუძლია საკუთრებაში ფლობდეს და ამუშავებდეს ქსელს, მაგრამ ქსელის ოპერირებასთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობა უნდა განხორციელდეს სხვა კომპანიის მეშვეობით, რომელიც ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებს. სამეთვალყურეო საბჭო იზრუნებს მფლობელი კომპანიის ფინანსური ინტერესების გათვალისწინებაზე, შეთანხმებული პროგრამის რეალიზაციის კონტროლზე, დანიშნავს

პასუხისმგებელ ოფიცერს (CEO), მაგრამ არ ჩაერევა ოპერატორი კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

სატრანსპორტო სისტემის ოპერატორს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს სისტემის ოპერირება, გააჩნდეს შესაბამისი აქტივები, დაიქირავოს საჭირო პერსონალი (რომელსაც არ ექნება ფინანსური ინტერესები ვიკ-ში), და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. იგი არ უნდა ფლობდეს ერთობლივ უძრავ ქონებას (ოფისი) და საინფორმაციო (IT) სისტემას ვიკ-თან და ვალდებულია მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

დირექტივა, ასევე, ეხება გაზსაცავებზე მესამე მხარის დაშვებასთან დაკავშირებით სავალდებულო სტანდარტების შემოღებას და საცალო ბაზარზე ფუნქციონირების სამართლებრივი ნორმების გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს გამჭვირვალობის ზრდას და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესების გაუმჯობესებას (დირექტივის მუხლები 3.6 და 41), ბაზრის გახსნისა და მიმწოდებლის ამორჩევის შესაძლებლობის უზრუნველყოფას (მუხლი 26.3), მარეგულირებელი ორგანოების როლისა და უფლებამოსილების გაზრდას.

შექმნილია ევროკავშირის ქვეყნების “ენერგეტიკის მარეგულირებელთა სააგენტო” (ACER – Agency for the Cooperation of Energy Regulators) და გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი [ENTSO-G - European Network of Transmission System Operators (gas)], რაც ხელს უწყობს შესაბამისი საკითხების კოორდინაციას და ჰარმონიზაციას, ერთიანი კომერციული და ტექნიკური კოდექსისა და უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვას.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ბუნებრივი გაზის საბაზრო მოდელების მსგავსად, საქართველოშიც ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და განაწილება რეგულირებადია, ხოლო ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდების საქმიანობა დერეგულირებული¹⁶. ბუნებრივი გაზის განაწილება და მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით განიხილება, როგორც სხვადასხვა საქმიანობა, თუმცა, განაწილების ლიცენზიატს არ ეზღუდება მიწოდების საქმიანობის განხორციელება. შედეგად, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატები ამავდროულად წარმოადგენენ საცალო ბაზრის მიმწოდებლებს, რაც ართულებს კონკურენციასა და ალტერნატიული მიმწოდებლების ჩართვას ბაზრის ამ სექტორში.

¹⁶ საცალო მიწოდება დერეგულირებულია მხოლოდ კომერციული სექტორის მომხმარებლებისათვის

ევროკავშირის 2009/73/EC დირექტივის თანახმად, თუკი გამანაწილებელ ქსელზე მიერთებულია 100 000 მომხმარებელზე მეტი, მაშინ გამანაწილებელი და საცალო მიმწოდებელი კომპანიები დამოუკიდებელ სუბიექტებს უნდა წარმოადგენდნენ და უნდა მოხდეს მათი განმხოლოება. საქართველოში ასეთი სამი განაწილების ლიცენზიატი არსებობს: შპს „ყაზტრანსგაზთბილისი“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და სს „საქორგაზი“. ბუნებრივი გაზის დანარჩენი 24 ლიცენზიატი, ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, არ საჭიროებს მიწოდებისა და განაწილების საქმიანობების განმხოლოებას.

კონკურენტული ბაზრის პრინციპების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა დეკლარირებულია “საქართველოს კანონში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” (იხ. მუხლი 1), თუმცა არც ამ და არც სხვა რომელიმე კანონში ან რეგულაციაში არ არის განსაზღვრული დასახული ამოცანის მიღწევის ვალდებულებები და მექანიზმები.

წინასწარი შეფასებით, საქართველოს პირობებში ამ დირექტივის დანერგვა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს. დირექტივით გათვალისწინებული დებულებები იმოქმედებს სამინისტროს, მარეგულირებელის, საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის (სნგკ), გაზის ტრანსპორტირების კომპანიის (გტკ), სექტორში მომუშავე წამყვანი უცხოური კომპანიების (SOCAR) შვილობილი საწარმოების, „ყაზტრანსგაზთბილისი“ და სხვა მონაწილეების ფუნქციებსა და საქმიანობაზე. ამასთან, როგორც აღინიშნა, გაზით საბითუმო ვაჭრობის (მიწოდების) და ტრანსპორტირების საკითხში ქვეყნის ბაზრის მოწყობა, მცირე ნიუანსების გამოკლებით, ძირითადად აკმაყოფილებს დირექტივების მოთხოვნებს. სავარაუდოდ, ძირითადი ცვლილებები შეეხება დღევანდელ გამანაწილებელ კომპანიებს (SOCAR-ის შვილობილი გამანაწილებელი კომპანიები და „ყაზტრანსგაზ“ თბილისი), რომელთა დღევანდელი საქმიანობა - განაწილება და მიწოდება, მინიმუმ საკანონმდებლო დონეზე განმხოლოებულია, ორმა დამოუკიდებელმა ერთეულმა უნდა განახორციელოს: გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა, რომელიც იზოლირებული იქნება საცალო (ასევე საბითუმო) მიწოდების საქმიანობისაგან და საცალო მიმწოდებელმა (გამონაკლისი ვრცელდება ზემოთხსენებულ 100 000-ზე ნაკლები მომხმარებლის მქონე გამანაწილებელ საწარმოებზე).

დირექტივა, ახალგაწევრიანებული ქვეყნებისათვის, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, უშვებს გარკვეული შეღავათების დაწესებას, მათ შორის იმ პირობებში, როცა ქვეყანა პირდაპირ არ არის მიერთებული სხვა წევრი ქვეყნის

ქსელთან და მოწოდების 75%-ზე მეტი ერთი მომწოდებლის მიერ არის უზრუნველყოფილი. ეს განპირობებულია იმით, რომ საკითხი უკავშირდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის დამატებითი რისკის წარმოშობის ალბათობას. ასევე, ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შემთხვევაში, თუ ინვესტიცია მაღალი რისკის შემცველია, რაც ხელს შეუშლის კაპიტალის ჩადებას საერთოდ, ან აუმჯობესებს კონკურენციის პირობებს (როგორც ეს სამხრეთ კავკასიური (ბაქო-თბილისი-ერზერუმის) გაზის მილსადენის – SCP-ის შემთხვევაშია). ამასთან ერთად გათავისუფლების (derogation) მოსაპოვებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შეუზღუდავი კონკურენციის პირობები, ხოლო გადაწყვეტილების მიღებისას მარეგულირებელმა უნდა გაითვალისწინოს მიწოდების უსაფრთხოება და ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები (როგორც ეს საქართველოს ბაზარზეა, როცა SOCAR-ს, გაზის მოწოდების ერთიანი ხელშეკრულების პირობებით, მოხმარების სეზონური დაბალანსების მომსახურებასაც უწევს).

რეგულაცია #715/2009 გაზის სატრანსპორტო ქსელზე დაშვების პირობების შესახებ¹⁷

რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს გაზსადენებზე მესამე მხარის შეუფერხებელი და არადისკრიმინაციული დაშვება, გამჭვირვალე სატარიფო მეთოდოლოგიის და ქსელზე მესამე მხარის დაშვების შეუზღუდავი ტექნიკური ან ეკონომიკური კრიტერიუმის ობიექტურობისა და ამასთან დაკავშირებული დავების განხილვის შემოღებით.

იგულისხმება, რომ ტარიფების გათანაბრებამ ხელი უნდა შეუწყოს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას, ხოლო გადაცემის სისტემის ოპერატორი და მარეგულირებელი უნდა შეეცადონ შეცვალონ ტარიფების სტრუქტურა და პრინციპები არაერთგვაროვანი ტარიფების ურთიერთშესაბამისობის მისაღწევად.

დეტალური და ყოვლისმომცველი ანალიზის გარეშე¹⁸ შეუძლებელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რამდენად უმტკივნეულოდ და რა დროში შეიძლება ამ რეგულაციის განხორციელება საქართველოს პირობებში. კერძოდ, საკითხი ეხება დებულებებს, რომელთა თანახმად, ტარიფების გაანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფაქტიური დანახარჯები

¹⁷ Regulation (EC) # 715/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions of access to the natural gas transmission networks

¹⁸ იხ. On Approximation of Georgian Legislation with the EU Energy Acquis, Report, 2013 by Irma Kavtaradze and Marina Guledani

საინვესტიციო მდგენელთან ერთად და გამჭვირვალობა, აგრეთვე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა. საქართველოს ბუნებრივი გაზის ბაზარზე, როგორც ცნობილია, ტარიფების დადგენა, ზოგ შემთხვევაში, ხდება მთავრობასა და კომპანიებს შორის დადებული მემორანდუმების საფუძველზე სადაც, გარდა კონკრეტული განაწილების საქმიანობისა, ასევე გათვალისწინებულია სეზონური მიწოდება-მოხმარების დაბალანსება და სხვა პირობები, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ეკონომიკური პარამეტრებით, არამედ გარკვეულწილად ითვალისწინებს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და სხვა ტექნიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს.

საქართველო ენერგეტიკული რესურსების მიწოდების თვალსაზრისით იზოლირებულია ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისაგან. მას არ გააჩნია საერთო საზღვარი და შესაბამისად პირდაპირი კავშირი ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე წევრ ქვეყანასთან, ამასთან, არსებული ინფრასტრუქტურა გაზის ნაკადების მხოლოდ ერთი მიმართულებით გატარებისთვის არის გათვალისწინებული, რაც დღევანდელ ეტაპზე შეუძლებელს ხდის იმ სარგებლის მიღებას, რაც ერთიანი ქსელით დაკავშირებულ გაერთიანების სხვა წევრებს გააჩნიათ.

რუსული გაზის ექსპორტიორი სახელმწიფო მონოპოლია - „გაზპრომი“, რომელიც ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით საქართველოს ბაზარზე ყველაზე მსხვილი პოტენციური მომწოდებელი შეიძლება იყოს, გაზს არცთუ იშვიათად პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებს, მათ შორის საქართველოს მიმართაც. კერძოდ, სომხეთისათვის, რომელიც გაზს საქართველოს გავლით იღებს, დაწესებულია საბაზროზე გაცილებით დაბალი ფასები, რითაც პრივილეგირებული მდგომარეობა ექმნება სომხეთში წარმოებულ სამრეწველო პროდუქციას, მათ შორის ელექტროენერგიას, რაც არაკონკურენტულ პირობებში აყენებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია, 2008 წლის სამხედრო აგრესიისა და ანექსიის პოლიტიკის გამო. ამიტომ, რუსეთის ერთიან შიგა ბაზარში თავისუფალი მონაწილეობა დღეისათვის არ განიხილება და საქართველო რუსეთიდან მხოლოდ გაზის ჯამური მოხმარების 10%-ს იღებს სომხეთში ტრნზიტის საფასურის სახით (ქვეყნის ჯამური მოთხოვნის დაახლოებით 90% და „სოციალურად მგრძნობიარე“¹⁹ მომხმარებლების მოთხოვნის 100% აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზით არის უზრუნველყოფილი). სავარაუდოდ ეს ტენდენცია მომავალშიც იქნება შენარჩუნებული.

¹⁹ ამაში იგულისხმება მთლიანად მოსახლეობა, მათ შორის სოციალურად დაუცველი და უზრუნველყოფილი ნაწილი; ასევე თბოელექტროსადგურები, რომელიც სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოური კომპანიის მფლობელობაშია

აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდების ძირითად ნაწილს სახელმწიფო კომპანია SOCAR უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობასთან დადებული მემორანდუმისა და ხელშეკრულების ფარგლებში. SOCAR-ის შვილობილი კომპანიები ფლობენ, საქართველოს გაზგამანაწილებელი ქსელების ძირითად ნაწილს (თბილისის გარდა პრაქტიკულად ყველა რეგიონში) და დომინირებენ საცალო მიწოდებაშიც. SOCAR-ის მფლობელობაშია აგრეთვე ყველა მაგისტრალური მილსადენი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო კომპანიების კუთვნილი გაზი მიეწოდება. თუმცა, მიუხედავად ბაზრის მონოპოლიზაციის გარკვეული ობიექტური წინაპირობების არსებობისა, გაზის მომარაგების არსებული სქემის უგულვებელყოფა და სრულმასშტაბიანი ლიბერალიზაცია ევროპულ ბაზართან დაახლოების მიზნით, წინასწარი მომზადების გარეშე, შეიძლება ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სირთულეებთან იყოს დაკავშირებული და გარკვეული პრობლემები შექმნას სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანასთან - აზერბაიჯანთან ურთიერთობებში. საჭიროა ამ საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება ყველა დაინტერესებული მხარის ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით.

ბაზრის „სოციალური“ სექტორის მოთხოვნის გარანტირებულ უზრუნველყოფაში და ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიის შეზღუდვისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს შპ3-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმთან დადებული ე.წ. „ოფციური გაზისა“ და „დამატებითი გაზის“ კონტრაქტების შესაბამისად SCP მილსადენით მოწოდებული გაზი. „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის კონტრაქტები ხელმოწერილია 2001-2003 წლებში არსებული და პროგნოზირებული კონიუნქტურის გათვალისწინებით და მხარეებისათვის ორმხრივ სასარგებლო პირობებით. კერძოდ, საქართველოს მხარემ, პრაქტიკულად უარი განაცხადა კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებზე, რითაც უზრუნველყოფილ იქნა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება და სოციალურად მოწყვლადი მომხმარებლების გარანტირებული მომარაგება ხელმისაწვდომი სათბობით. სადღეისოდ „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის წლიური მოწოდება 700-800 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოხმარების 35-40%-ია. SOCAR-თან დადებული ხელშეკრულებით, ეს გაზი გადაეცემა აზერბაიჯანულ მხარეს, რომელიც შემდეგ უზრუნველყოფს მის მოწოდებას მოთხოვნილების სეზონური ცვალებადობის გათვალისწინებით.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების, ბაზრის დემონოპოლიზაციისა და სოციალურად მოწყვლადი მომხმარებლების გაზით უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველომ მოითხოვოს SCP მილსადენთან დაკავშირებულ საკითხებში დეროგაციის უფლება. კერძოდ, სასურველია საქართველომ მოითხოვოს გამონაკლისები უკვე არსებული, ტრანზიტთან დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტების მიმართ და/ან ამ ნორმის გაუვრცელებლობის უფლება ისეთ პროექტებზე, რომელთა რეგულირება სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს.

წინასწარი ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ N715/2009 რეგულაციის მოთხოვნების გადმოტანა საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შედარებით გაადვილებული იქნება 2020 წლის შემდეგ როცა იგეგმება შაჰ-დენიზის მე-2 ფაზის გაზის საპროექტო მოცულობის მიწოდება თურქეთისა და ევროპული ბაზრებისათვის, აგრეთვე, ქვეყანას უკვე ექნება სტრატეგიული რეზერვის დამარაგების საშუალება საკუთარ გაზსაცავში რომელზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს.

ნავთობი და ნავთობპროდუქტები

დირექტივა 94/22/EC ნახშირწყალბადების ძებნა-ძიებისა და მოპოვების ლიცენზირების პირობების შესახებ ²⁰

დირექტივა აწესებს ნახშირწყალბადების ძებნა-ძიებისა და მოპოვების ლიცენზირებისა და რეგულირების საერთო ჩარჩოებს წევრი ქვეყნებისათვის. მისი ძირითადი დანიშნულებაა უზრუნველყოს ნახშირწყალბადოვანი რესურსების ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოთა ლიცენზირების პროცედურების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა ყველა მსურველისათვის, რომელიც ფლობს საჭირო ტექნიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. დირექტივა მოითხოვს, ლიცენზიების გაცემა მოხდეს ობიექტური და ავტორიზაციის პროცედურების დაწყებამდე გაცხადებული კრიტერიუმების საფუძველზე. იგი აგრეთვე განსაზღვრავს საზოგადოებრივი (მაგ. ქვეყნის უსაფრთხოების) ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდვების, აგრეთვე, ანაზღაურების მოთხოვნისა და მონიტორინგის დაწესების შესაძლებლობას არადისკრიმინაციულად და საწარმოს მართვის გონივრული ინტერესების შელახვის გარეშე.

²⁰ Directive 94/22/EC 30/06-1994 on the conditions for granting and using authorisation for the prospection, exploration and production of hydrocarbons

საქართველოში არსებული საკანონმდებლო გარემო ძირითადად შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს, კერძოდ, ნავთობისა და გაზის კანონის შესაბამისად, ძებნა-ძიების სამუშაოებზე დაშვება ხორციელდება ნავთობისა და გაზის სააგენტოს მიერ წინასწარ განცხადებულ ბლოკებზე, საჯაროდ გამოცხადებული პირობებით ჩატარებული ტენდერების საფუძველზე. თუმცა, ზოგიერთი, შედარებით მცირე ნოვაცია, მათ შორის, ტექნიკური ხასიათის, საჭიროა ასახულ იქნას კანონში “ნავთობისა და გაზის შესახებ” და კანონქვემდებარე აქტებში (მაგ. ნავთობისა და გაზის ოპერაციების მარეგულირებელ ეროვნულ წესებში). კერძოდ, განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქართული კანონმდებლობით ცხადდება 45 დღის ინტერვალით, მაშინ როდესაც დირექტივით მოთხოვნილია 90-დღიანი შუალედი ევროკავშირის გამოცემებში გამოქვეყნებიდან განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე. ამასთან, განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ან მანამდე, მაგრამ პროცედურების დაწყებამდე, სავალდებულოა გამარჯვებულის გამოსავლენი კრიტერიუმების გასაჯაროება.

დირექტივა, ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, უშვებს გამონაკლის შემთხვევებში ავტორიზაციას ტენდერის ჩატარების გარეშე, მაგალითად, თუ ეს ეხება სალიცენზიო ფართის მიმდებარე ტერიტორიას, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში.

დირექტივის მიხედვით, ავტორიზაციის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი განმცხადებლის სათანადო ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობებია, მაშინ როდესაც საქართველოს სინამდვილეში, გამარჯვებული, როგორც წესი, შემოთავაზებული კომპენსაციის რაოდენობის გათვალისწინებით ცხადდება. ასევე, მოთხოვნილია ტენდერში მონაწილე წარუმატებელი კომპანიების ინფორმირების ვალდებულება, მათი მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი მიზეზების ახსნით.

საქართველოს კანონმდებლობაში უნდა აისახოს აგრეთვე, წევრი ქვეყნის ავტორიზებული ორგანოს (საქართველოს შემთხვევაში ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტო) ვალდებულება ყოველწლიურად გაასაჯაროს და წარადგინოს ევროკომისიაში წლიური ანგარიში, მათ შორის ინფორმაცია მარაგების განახლებული შეფასების შესახებ.

დირექტივა 2009/119/EC ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგის ვალდებულების შესახებ

დირექტივა მიზნად ისახავს ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ნავთობით უზრუნველყოფის გარანტირებულ უსაფრთხოებას, საიმედო და გამჭვირვალე მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც დაფუძნებულია წვერი ქვეყნების სოლიდარობაზე, ნავთობის და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სავალდებულო მარაგების შექმნაზე და სერიოზული ნაკლებობის დროს განსახორციელებელ პროცედურებზე.

დირექტივის ფუძემდებლური მოთხოვნაა ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგის არსებობა თითოეული ქვეყნისათვის, რომელიც ტოლი იქნება ქვეყნის საშუალო დღიური იმპორტის 90-ჯერადის, ან ქვეყნის საშუალო დღიური მოხმარების 61-ჯერადი მოცულობას შორის უმეტესის.

ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე (საქართველოს არ გააჩნია სტრატეგიული საცავი, საკუთარი ნავთობგადამუშავება და არც თხევად საწვავზე მომუშავე თბოსადგური), ამ დირექტივის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ნავთობპროდუქტების საბითუმო და/ან საცალო მიმწოდებელი კომპანიებისათვის შესაბამისი რეზერვის უზრუნველყოფის დავალდებულება. რაც, სავარაუდოდ, მათი მხრიდან ამ მარაგებში დამატებით კაპიტალდაბანდებას მოითხოვს და საცავების საოპერაციო მოცულობას შეუმცირებს.

დირექტივის ამ ფორმით დანერგვის შემთხვევაში საჭირო იქნება საკანონმდებლო ცვლილებები და კომპანიების მხრიდან შესაბამისი მომზადება. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ღონისძიება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გააძვირებს პროდუქციას, რის გამოც გადაწყვეტილების მომზადების პროცესში სასურველია კონსულტაციები აღნიშნული ბიზნესით დაკავებულ კომპანიებთან. აუცილებელი იქნება, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო მონიტორინგის უზრუნველყოფა.

ენერგოეფექტურობის რეგულაციები შენობებში - ევროგაერთიანებაში მომქმედი დირექტივები

*გიორგი აბულაშვილი
ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
21 მაისი, 2014*



საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებას ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი პროცესი მოჰყვება. რიგ საკანონმდებლო აქტებთან ერთად, ამ ნუსხაში საკუთარი, არცთუ უმნიშვნელო, ადგილი უკავია ენერგოეფექტურობის მარეგულირებელ ბაზას. ენერგიის მოხმარების თანამედროვე

სტრუქტურიდან და ტენდენციებიდან გამომდინარე, ტრანსპორტის სექტორთან ერთად, ენერგოეფექტურობის კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესი როლი ეთმობა შენობების ენერგოეფექტურობის საკითხებს.

ევროკავშირის კანონმდებლობა საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობისა და ენერგომომსახურების შესახებ²¹ მკაფიოდ განსაზღვრავს ენერგოეფექტურობას, როგორც - ურთიერთდამოკიდებულებას მოხმარებულ ენერგიასა და შედეგად წარმოებულ მომსახურებასა თუ პროდუქციას შორის. ანუ, ენერგოეფექტურობა არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის შედეგად შესაძლებელია იმავე რაოდენობის ენერგიით იწარმოოს უფრო მეტი პროდუქტი ანდა მომსახურება, ან იწარმოოს იმავე მოცულობის პროდუქცია ნაკლები ენერგიის მოხმარებით.

ენერგოეფექტურობის მნიშვნელობას პირველად 1955 წლის ე.წ. მესინას დეკლარაციაში გაესვა ხაზი, როგორც ევროპული ეკონომიკისთვის იაფი და ხელმისაწვდომი ენერგიის მიწოდების ინსტრუმენტს. თუმცა აღსანიშნავია, რომ გლობალური გამოწვევების ცვლილებასთან ერთად ენერგოეფექტურობის ცნებაც გაფართოვდა და დღეისთვის მან შეიძინა ენერგოუსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სოციალური თანასწორობისა და რეგიონალური განვითარების ინსტრუმენტის მნიშვნელობაც.

საქართველოში, სამწუხაროდ, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ენერგოეფექტურობის, მათ შორის შენობების ენერგოეფექტურობის, კანონმდებლობა არ არსებობს. შესაბამისად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, ამ საკითხების ჰარმონიზაციის ნაცვლად, მათი მარეგულირებელი ჩარჩოს ფაქტიურად ნულოვანი დონიდან შექმნა უნდა დაიწყოს.

²¹EU Directive 2006/32/EC

მოკლედ წარმოგიდგენთ ევროგაერთიანების შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, რომელიც სამი დირექტივისგან შედგება. მათთან შეიძლება დაჯგუფდეს მეოთხე დირექტივაც - განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მოხმარების ხელშეწყობის შესახებ, რაც გარკვეულწილად შენობებში განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების საკითხებსაც არეგულირებს.

1. ევროდირექტივა 2006/32/EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ;
2. ევროდირექტივა 2010/31/EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ; - შენობების ენერგომახასიათებლების შესახებ;
3. ევროდირექტივა 2010/30/EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ; - ენერგომომხმარებელი პროდუქციის ნიშანდების შესახებ.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ევროდირექტივა 2006/32/EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ; - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ

დირექტივა ხელს უწყობს/ავითარებს ენერგოეფექტურობას საბოლოო მომხმარებლის დონეზე. იგი აყალიბებს შემდეგ მოთხოვნებს წევრი ქვეყნების მიმართ:

- ენერგიის დაზოგვის ეროვნული სამიზნე ინდიკატორებისა და ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- საზოგადოებრივ სექტორში ენერგოეფექტურობის, როგორც თვალსაჩინოების საუკეთესო ნიმუშისწარმოჩენა;
- სახელმწიფო შესყიდვების წესებში ენერგოეფექტურობის კრიტერიუმების გათვალისწინება;
- ენერგოაუდიტის, ენერგოდაზოგვის მონიტორინგის და ვერიფიკაციის პროცედურების, შექმნა;
- ენერგომომსახურების საქმიანობის ხელშეწყობა და ა.შ.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ დირექტივით ეროვნულ მთავრობებს ევალებათ ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დასაფინანსებლად შესაბამისი წყაროებისა და ინსტრუმენტების შემუშავება.

2. ევროდირექტივა 20106/31/ EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ;- შენობების ენერგომახასიათებლების შესახებ

ეს დირექტივა შენობებში ენერგიის მოხმარების და, შესაბამისად, ენერგოეფექტურობისათვის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. იგი მიზნად ისახავს შენობების კონსტრუქციული და საინჟინრო სისტემების თავსებადობა-შესაბამისობას მოცემულ კლიმატურ გარემოსთან და შენობების საექსპლუატაციო - შიდა კლიმატური მოთხოვნებისა და ეკონომიკური რენტაბელობის გათვალისწინებას. აღნიშნული დირექტივის მიხედვით, ხელმომწერმა მხარეებმა უნდა დააკმაყოფილონ არსებული და ახალი შენობების ენერგოსისტემის მინიმალური მოთხოვნები, ასევე, უნდა უზრუნველყონ შენობ(ებ)ის ენერგოსისტემის სერტიფიცირება, რაც ითვალისწინებს შენობაში საინჟინრო სისტემების (საქვაბები, ვენტილაცია, კონდიცირება და ა.შ.) რეგულარულ შემოწმებას. დირექტივა მთავრობებს ავალდებულებს:

- შენობებში ენერგომახასიათებლების გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავება- შემოღებას;
- რეგიონული განთავსების და დანიშნულების გათვალისწინებით, არსებული თუ ახალი, მათ შორის ნულოვანი ენერგომომხმარებლის შენობებისთვის ენერგომახასიათებლების შემოღებას;
- ფინანსური სტიმულირების სქემების შემუშავებას;
- შენობის ენერგომახასიათებლების სერტიფიცირების მეთოდოლოგიისა და მათი თვალსაჩინოების პროცედურების შექმნას;
- საინჟინრო სისტემების ინსპექტირების პროცედურების დადგენას;
- დამოუკიდებელი საექსპერტო-მაკონტროლებელი სტრუქტურის დაფუძნებას;
- საინფორმაციო კამპნიების წარმოების ვალდებულებას.

3. ევროდირექტივა 20106/30/ EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ; - ენერგომომხმარებელი პროდუქციის ნიშანდების შესახებ

ამ დირექტივის მთავარი მიზანია ჩამოაყალიბოს ყველა ენერგომომხმარებელი პროდუქტის ნიშანდების ჰარმონიზებული ჩარჩოები, რაც მომხმარებელს მიაწვდის საკმარის ინფორმაციას ენერგოეფექტური პროდუქციის შერჩევისთვის.

დირექტივა აყალიბებს ვალდებულებებს ენერგომომხმარებელი პროდუქციის მწარმოებელი/მიმწოდებელი ყველა მონაწილე მხარისთვის; ასევე აწესებს სახელმწიფო შესყიდვების წესების კრიტერიუმებსა და საჯარიმო სანქციებს.

4. ევროდირექტივა 2009/28/ EC - საბოლოო მომხმარებლის ეფექტურობასა და ენერგომომსახურების შესახებ; განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მოხმარების ხელშეწყობის შესახებ

ეს დირექტივა უწესებს მოთხოვნებს წევრ ქვეყნებს განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების ვალდებულებას სხვადასხვა ენერგომომხმარებელი სექტორისთვის. კერძოდ, შენობებში განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობი ღონისძიებების ასახვას სამშენებლო კოდექსსა თუ სამშენებლო ნორმებსა და წესებში. ასევე, აწესებს მკაფიო ვალდებულებას საზოგადოებრივ შენობებში განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების შესახებ.

როგორც მოკლე ინფორმაციიდან ჩანს, შენობების ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება კომპლექსური და მულტიდისციპლინარული გამოწვევაა და მისი რეალიზაციის პროცესში ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილების მქონე ფინანსისტების, ეკონომისტებისა და ინჟინრების ჩართვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროცესის წარმატებულობის ხარისხს.

**გარემოსდაცვითი მოთხოვნები
საქართველო - ენერგეტიკულ გაერთიანებაში**

*ნინო ჩხოზაძე
მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები
21 მაისი, 2014*

ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანება შეიქმნა 2006 წელს, ევროპის ენერგეტიკული სექტორის სტრუქტურუზების და აღმოსავლეთ და სამხრეთ–აღმოსავლეთ ქვეყნების ენერგეტიკული კომპლექსების ინტეგრირების, ანუ ერთიანი ევროპული ბაზრის ფორმირების მიზნით.



ენერგეტიკული გაერთიანების მუშაობა გათვლილია 10 წელზე და აერთიანებს რეგიონალური ენერგეტიკული ბაზრების 73 მილიონიან მოსახლეობას.

გაერთიანება, პირველ რიგში, ითვალისწინებს წევრი ქვეყნებისათვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული, ეროვნული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის შექმნას, რაც აუცილებელი პირობაა შემდგომში ერთიანი ევროპის ენერგეტიკული ბაზრის შესაქმნელად (რეგიონალური ბაზრების გასაერთიანებლად).

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლის შესახებ. იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ინტეგრირება ევროპის ენერგეტიკულ სექტორთან საჭიროა მთელი რიგი „შიდა სამუშაოების“ ჩატარება, კერძოდ:

- მაღალი ტექნიკური სტანდარტების დადგენა;
- თანამედროვე მართვის და მარეგულირებელი წესების დანერგვა;
- ახალი ინვესტიციების მოზიდვა;
- შიდა ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა და სხვა.

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან (დირექტივებთან), რაც მოითხოვს გარკვეული ცვლილებების შეტანას ენერგეტიკის სხვადასხვა სექტორის კანონებში (ნავთობი და გაზი, ჰიდროენერგეტიკა, განახლებადი/ალტერნატიული ენერგეტიკა), აგრეთვე - ენერგოდამზოგველი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს გარკვეული ცვლილებების შეტანას ჩვენს გარემოსდაცვით კანონმდებლობაშიც.

ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული კანონმდებლობები;

- გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება ეკონომიკურად ეფექტური მეთოდების საშუალებით;
- გარემოს (ეკოსისტემების) დეგრადაციის პრევენცია (ეკონომიკის პრიორიტეტულობის მიუხედავად);
- ეკოსისტემებში დეგრადირებული ფართობების შემცირება;
- „ყველა დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის ამოქმედება;
- საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

ამისათვის აუცილებელია:

- გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში;
- გარემოსდაცვითი დანახარჯების ამსახველი ფასწარმოქმნის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- გარემოსდაცვითი თანამედროვე ნორმებისა და სტანდარტების აღიარება;
- ენერგოეფექტური პოლიტიკის შემუშავება, აღდგენადი რესურსების ათვისება და გამოყენება, უფრო სუფთა საწვავის მოხმარების ხელშეწყობა, გარემოს დაბინძურების შესამცირებელი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება;
- გარემოსდაცვითი და ეკონომიკურად ეფექტური ენერგეტიკული პოლიტიკის წარმართვა;
- მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, გარემოზე ზემოქმედების შერბილების/შემცირების ღონისძიებებსა და იმ ფინანსურ დანახარჯებზე, რომელიც ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შემცირების და/ან პრევენციის მიზნით;
- ენერგოეფექტური და გარემოსდაცვის თვალსაზრისით გამართლებული ისეთი ტექნოლოგიების, მეთოდებისა და პროცესების ხელშეწყობა, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ზემოქმედება;
- ახალი, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის სრულად ჩატარება, გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების პროცედურის დანერგვის ხელშეწყობა;
- შესაბამისი გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა.

დირექტივები რომელიც საჭიროებს იმპლემენტირებას:

2010 წლის 24 ოქტომბრის 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო გამონაბოლქვების (დაბინძურების თავიდან აცილების და კონტროლის) შესახებ;

ცვლილება უნდა მომზადდეს – საქართველოს კანონში “ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ“ (1999 წ.).

2001 წლის 23 ოქტომბრის 2001/80/EC დირექტივა, რომელიც ეხება წვის დიდი დანადგარებიდან, ატმოსფერულ ჰაერში ზოგიერთი დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევის შეზღუდვას;

ცვლილება უნდა მომზადდეს – საქართველოს კანონში “ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ“ (1999 წ.).

1999 წლის 26 აპრილის დირექტივა 1999/32/EC, რომელიც ეხება ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირებას და ანაცვლებს 93/12/EEC დირექტივას.

ცვლილება უნდა მომზადდეს – საქართველოს კანონში “ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ“ (1999 წ.).

ასევე, რიგ საკანონმდებლო აქტებში, უნდა იყოს შემოღებული საწვავის ახალი სტანდარტები და აღსადგენია ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება (აღდგენა გათვალისწინებულია 2015 წლის მარტიდან).

1985 წლის 27 ივნისის დირექტივა 85/337/EEC, რომელიც ეხება ზოგიერთი სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

შესამუშავებელია და მისაღებია ახალი კანონი „გარემოზე ზემოქმედების პროცედურის შესახებ“, რომელმაც უნდა გააერთიანოს „საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ და „საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ და შემოიღოს ახალი რეგულაციები.

1979 წლის 2 აპრილის 79/409/EEC დირექტივის 4 (2) მუხლი - გარეული ფრინველების დაცვის შესახებ;

მზადდება ახალი კანონი ცხოველთა ობიექტების შესახებ, თუმცა ეს დირექტივა მოქმედ კანონმდებლობაში იმპლიმენტირებული არ არის.

უკრაინა - ენერგეტიკული გაერთიანება და ევროკავშირი. მოლოდინები და შედეგები.

მიხაილო გონჩარი, NOMOS, უკრაინა

20 თებერვალი, 2014

საქართველოს მიერ ენერგეტიკულ გაერთიანების სრულფასოვანი წევრობა რა თქმა უნდა ძალიან დადებითი ფაქტი იქნება ქვეყნისთვის. ეს პროცესი კიდევ უფრო დაახლოებს მას ევროკავშირთან და, მიუხედავად იმისა, საქართველო ოდესღაც იქნება თუ არა ევროკავშირის წევრი, მისი ენერგეტიკული სექტორი შესაბამისი ევროპული კანონმდებლობის დანერგვის შემდეგ, გახდება ევროპის ენერგეტიკული ბაზრის განუყოფელი ნაწილი.

ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობას, ამიტომ ილუზიების შექმნა არ არის მიზანშეწონილი. საქართველო შედის იმ ხუთ ქვეყანაში, რომლებიც ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია როგორც ენერგომომწოდებელი ან ტრანზიტორი ქვეყანა (ნორვეგია, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო და თურქეთი). მოლდოვა და უკრაინა არიან ენერგეტიკული გაერთიანების წევრები ხოლო ნორვეგიას და თურქეთს აქვთ დამკვირვებლის სტატუსი. საქართველო არის კასპიის ზღვის რესურსების ერთერთი მთავარი ტრანზიტორი ქვეყანა.

ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება არის ევროპული კომისიისთვის გავლენის მოხდენის საშუალება ხელმომწერ ქვეყნებზე, მაგრამ ამ ხელშეკრულებით თქვენ ვერ მოახდენთ გავლენას ბრიუსელზე. ეს ხელშეკრულება არის ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის ხელისმომწერთა (ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები) მარეგულირებელ და სამართლებრივ ჩარჩოში ჰარმონიზაციის მექანიზმი.

ხელშეკრულების წევრობა და ევროპული კანონმდებლობის წარმატებული იმპლემენტაცია თქვენი ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორს უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის ევროკავშირიდან. ინვესტორები იმ ქვეყნებიდან სადაც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული ენერგო მონოპოლები აკონტროლებენ სექტორს (რუსეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი) საკმაოდ უარყოფითად უყურებს ქვეყნის ევროპული ენერგეტიკული გაერთიანების წევრობას.

მინდა გარკვეული დასკვნები გაგიზიაროთ ჩემი ქვეყნის (უკრაინის) გამოცდილებიდან. 2011 წლის პირველი თებერვლიდან უკრაინა არის

გაერთიანების ხელისმომწერი და შესაბამისად ახდენს ევროპული კანონმდებლობის იმპლემენტაციას გაწევრების პორტოკოლიდან გამომდინარე. იმპლემენტაციის პროცესს წარმატებულს ვერ ვუწოდებ, როგორც კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი მივიჩნევ, რომ პროცესი საკმაოდ ნელა და პრობლემატურად ვითარდება და ეს არ არის სამაგალითო მოდელი თქვენი ქვეყნისთვის.

არსებობს რამდენიმე მიზეზი თუ რატომ არ არის უკრაინის მაგალითი წარმატებული:

- წინა მთავრობას მხოლოდ დეკლარირებული მიდგომა ჰქონდა ხელშეკრულებაზე, რეალურად უფრო პრიორიტეტული გაზპრომთან ურთიერთობა იყო.
- მთავრობას ჰქონდა პოპულისტური ხედვა უკრაინის ევროპულ ინტეგრაციაზე და რეფორმებიც ენერგეტიკულ სექტორში სიმულირებული იყო და რეალური შედეგები არ მოიტანა.
- რუსეთი ყველანაირად ეცადა რომ გაეფუჭებინა ევროკავშირისა და უკრაინის ახლო ურთიერთობა მან რამდენჯერმე მოთხოვა უკრაინას ენერგეტიკული გაერთიანების დატოვება. მსგავსი მოთხოვნები კეთდებოდა მოლდოვის მიმართაც.

სხადასხვა პრობლემატური საკითხი დგას გაერთიანების წინაშეც. პირველ რიგში ეს ეხება ევროკავშირის ერთიან პოზიციას, დეკლარირებული პოზიცია ერთიან საგარეო კურსზე მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და რეალური შედეგები ვერ მოაქვს. შემდეგი საკითხი ეხება ევროკავშირის წევრებს შორის კონსენსუსის მიღწევის პრობლემას მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისას და პოზიციის ჩამოყალიბებისას, ქვეყნებთან რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრები არიან და ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან ენერგეტიკული კუთხით. თუ პოზიცია მკაფიოა ბალკანური ქვეყნებზე მსგავსი რამ არ ხდება უკრაინის, მოლდოვას და საქრთველოს შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ბოლომდე არც ვართ იდენტიფიცირებულები როგორც ევროპული ქვეყნები.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ხელმოწერამ ევროკავშირის წევრობის მკაფიო პერსპექტივის გარეშე მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოქმნა ევროპული წესების ხელშეწყობის გზაზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. დასავლეთ ბალკანური ქვეყნებისაგან განსხვავებით რომელთაც აქვთ ევროპული ინტეგრაციის კონკრეტული მოდელი, აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებს გააჩნიათ ალტერნატივა რუსეთთან ენერგეტიკული ინტეგრაციის სახით. რთულია ამ პროცესს ევროპული

გაგებით ინტეგრაცია უწოდო, ეს უფრო არის საბჭოთა სივრცის რეკონსტრუქცია რუსეთის დომინანტი როლის და სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის შემცირების ხარჯზე. მითუმეტეს როდესაც რუსეთისგან ზეწოლა საკმაოდ დიდია, რასაც კონკრეტული გამოხატულება ჰქონდა საქართველოს შემთხვევაში 2008 წელს. მესამე პრობლემა გამომდინარეობს პირველი ორიდან; ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებას არ გააჩნია განხორციელების ეფექტური მექანიზმები. აღსანიშნავია რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევას არ მოჰყვება რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. ამ მხრივ უკრაინის მაგალითი თვალშისაცემია. ვალდებულებების არ/ვერ შესრულების შემდეგ უკრაინამ არამარტო უგულებელყო გაფრთხილებები ვენიდან და ბრიუსელიდან არამედ განაცხადა რომ შესაძლებელია გამოვიდეს ხელშეკრულებიდან.

ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი რუსეთია. რუსეთმა ხელი შეუშალა ევროპული წესების დამკვიდრებას ენერგეტიკულ სფეროში პოსტ-საბჭოთა სივრცეში. რუსეთმა მოახერხა სხვადასხვა ლობირების მექანიზმის ჩამოყალიბება ევროკავშირთან და ძირითადად გაზის მიწოდებაზე დათმობების ხარჯზე ცდილობს ხელი შეუშალოს ევროპული კანონმდებლობის დამკვიდრებას სხვადასხვა ქვეყნებში. უკრაინის მთავრობასა და პრეზიდენტს ჰქონდათ იმედი რომ რუსეთის გაღიზიანების გარეშე შეძლებდნენ გაზზე დისკრიმინაციული კონტრაქტების გადახედვას, მაგრამ როგორც ვხედავთ ეს არ მოხდა: გაზის კონტრაქტები არ გადაიხედა, მეორე ენერგეტიკული პაკეტი არ დასრულებულა, ხოლო მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან დაკავშირებით კვლავ გაურკვევლობაა. ამ სიტუაციაში სარგებელი მიიღო არა უკრაინამ ან ევროკავშირმა, არამედ მესამე მხარემ. ევროკავშირს აქვს ორი გზა, ან ხელი შეუწყოს ევროპული პრინციპების დამკვიდრებას ენერგეტიკულ ბაზრებზე ან მხარი დაუჭიროს რუსეთთან თანამშრომლობას და ის ამ უკანასკნელს ამჯობინებს.

კიდევ ერთი პრობლემა გამომდინარეობს სახელშეკრულებო ღონისძიებების ნაკლებობიდან რომელიც განსაზღვრულია მეოთხე თავში ურთიერთდახმარების შესახებ. ამგვარად 2009 წლის გაზის კრიზისის დროს ენერგეტიკულ გაერთიანებას არ ჰქონია შესამჩნევი გავლენა მოვლენებზე. ერთადერთი რაც გაერთიანებას შეუძია ეს არის კონსულტაციების გაწევა და რჩევების მოცემა კრიზისის დროს.

ის რაც ენერგეტიკულ გაერთიანებას ნამდვილად აკლია არის სოლიდარობის მექანიზმი მესამე მხარის მიერ წევრი ქვეყნის ან ხელშეკრულების წინააღმდეგ

მიმართული ნაბიჯების შემთხვევაში. ნათელი მაგალითი არის რუსეთის სამომავლო პროექტი - „სამხრეთის ნაკადი“ რომელიც დაასუსტებს უკრაინის, მოლდოვას, რუმინეთის სატრანზიტო ფუნქციებს ევროპის მიართულებით და შესაბამისად სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ამ ქვეყნების ეკონომიკებს. აღსანიშნავია რომ არც ენერგეტიკული გაერთიანება და არც ევროპული კომისია არ დგამს საპირისპირო ნაბიჯებს და მხოლოდ დაკვირვებით შემოიფარგლებიან. აქედან გამომდინარე არც თქვენ გაგიკვირდეთ თუ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრების შემდეგ რუსეთმა მოგთხოვით თქვენ მილსადენებზე გაზპრომის წვდომის დაშვება მესამე ენერგეტიკული პაკეტიდან გამომდინარე და ამ შემთხვევაში თქვენ ვერ მიიღებთ სოლიდარობას ბრიუსელსა და ვენაში.

ახლა კი განვიხილოთ კასპიისა და ცენტრალური აზიის გაზის ტრანზიტი საქართველოს გავლით. აზერბაიჯანი და თურქეთი ამჟამად ცდილობენ TANAP-ის პროექტის განხორციელებას, რის მიხედვითაც კასპიის ზღვის გაზი გაივლის საქართველოზე. მაგრამ საჭიროა ყურადღება მიექცეს ევროპის გაზის ბაზრის სხვადასხვა ტენდენციას და რუსეთის პოლიტიკას ამ კუთხით. ევროპის გაზის ბაზარი LNG-ის დახმარებით უფრო კონკურენტუნარიანი ხდება. ევროპის ბაზარზე აშშ-დან წამოსული LNG უფრო მალე მოხვდება ვიდრე შაჰ დენიზის გაზი. რუსეთმა რომელმაც გარკვეულწილად დაკარგა პოზიციები ბოლო წლებში ფასების ესკალაციის გამო, ეცდება რომ აღიდგინოს გავლენა. ამ კუთხით პირველ რიგში დაწესდება უფრო მისაღები ფასები, გაზის დამოუკიდებელ მწარმოებლებს მიეცემათ ექსპორტის ნებართვა მაგრამ გაზპრომი მაინც დარჩება ექსპორტის ერთადერთ არხად. მეორე მიმართულება რუსეთის ქმედებებისა იქნება კონკურენტი მიმწოდებლებისათვის ხელის შეშლა.

რუსეთი ცდილობს ფართომასშტაბიანი და ეკონომიკურად გაუმართლებელი პროექტის - სამხრეთის ნაკადის იმპლემენტაციას. მოსკოვი უკვე წლებია ცდილობს პრიორიტეტული სტატუსის მოპოვებას ბრიუსელსგან შესაბამის პროექტზე და თავიდან აირიდოს მესამე ენერგეტიკული პაკეტის განხორციელება. ამ კუთხით მოსკოვის მოჰყავს არგუმენტები უკრაინაზე როგორც არასტაბილური ტრანზიტორზე, რომელსაც აბრალებენ 2006 და 2009 წლების გაზის კრიზისებს. ახლა კი საბოლოო შეთანხმების მისაღწევად ბრიუსელთან, რუსეთი არამარტო იყენებს უკრაინის პოლიტიკურ კრიზისს არამედ უშუალო გავლენას ახდენს მასზე რათა დაამტკიცოს უკრაინის გვერდის ავლის აუცილებლობა. მსგავსი არასტაბილური გარემო ხელშეწყობის სცენარი შესაძლებელია თქვენს რეგიონშიც განმეორდეს, რაც კრემლის

ინტერესებშია და შესაბამისად ევროპას სხვა გზა არ დაუტოვოს იმის გარდა რომ დაეთანხმოს სამხრეთის ნაკადის იმპლემენტაციას.

ჩვენ მოხარულები ვიქნებით, რომ მსგავსი რამ არ მოხდეს თქვენ ქვეყანაში, მაგრამ მოვლენები რომლებიც უკრაინაში ვითარდება საგულისხმო უნდა იყოს თქვენთვის, ევროკავშირისთვის და ნატოსთვის. აღსანიშნავია რომ ევროპული ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა და ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა თავისთავად პოზიტიური მოვლენა იქნება თქვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ეს არ მოაგვარებს უსაფრთხოებისა და ურთიერთდამხარების არ არსებობის პრობლემას. ამ პროცესში აუცილებელია აშშ-სა და ნატოს ჩართვა მითუმეტეს როდესაც 2008 წელს საქართველომ მიიღო დაპირება MAP -ის მიღებაზე. ევროკავშირი პასიური და სუსტია როდესაც საქმე რუსეთს ეხება, ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა თქვენ შემთხვევაში 2008 წელს და დღევანდელ პირობებში უკრაინაში.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნები ელექტროენერგეტიკის სექტორში

ზვიად გაჩეჩილაძე

*საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისია (სემეკი)*

21 მაისი, 2014

ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებისათვის ელექტროენერგეტიკულ სექტორში არაერთი მოთხოვნის გათვალისწინება იქნება საჭირო, თუმცა, თავის მხრივ, აღნიშნული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დარგისთვის და ქვეყნისთვის. მაინც რა არის გაწევრიანების მიზანი და რას ველით მისგან? უპირველეს ყოვლისა -ელექტროენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, დარგის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ელექტროენერგიით ვაჭრობის გაფართოებას, ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის გაზრდას და სხვა.

ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობა არის დამფუძნებელი ხელშეკრულების პირობებთან შეერთება, ქვეყნისათვის შესაბამისი გაწევრიანების საგზაო რუკისა და ცალკეული ელექტროენერგეტიკული ორგანიზაციების სამოქმედო გეგმების შემუშავება. საქართველოს საგზაო რუკის შემუშავებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომლის ოფიციალური ნაწილი ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის. ტიპიური საგზაო რუკა ძირითადად შედგება ენერგეტიკული გაერთიანების მიერ

მიღებული საკანონმდებლო აქტების ერთობლიობის (Acquis Communautaire) მიღებისგან, ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისგან (საბითუმო ბაზარი, საცალო ბაზარი), ტარიფების სისტემის რეფორმირებისგან. ევროპაში მიღებულია, რომ სამომხმარებლო ტარიფები უნდა იყოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ტარიფის დადგენისას გამოყენებული იყოს ისეთი მიდგომები, როგორიცაა სამართლიან დანახარჯებზე დაფუძნებული, წამახალისებელი, ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიები და ა.შ.

ევროპარლამენტის და ევროკომისიის მიერ ელექტროენერგეტიკისათვის მიღებული საკანონმდებლო აქტებიდან, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია მესამე პაკეტის ელექტროენერგეტიკული დირექტივები და რეგულაციები, რომელთა პრინციპების დანერგვას აუცილებელია ენერგეტიკულ გაერთიანებაში გასაწევრიანებლად. ესენია: 2009/72/EC დირექტივა- ელექტროენერგიის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ; (EC) 714/2009 რეგულაცია - ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისათვის ქსელზე დაშვების შესახებ; 2005/89/EC დირექტივა - ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ინვესტიციების შესახებ, რომელთა მოთხოვნები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

კონკურენტული და მონოპოლიური სფეროების გამოყოფა ერთმანეთისგან - რაც კონკურენციის წახალისებისათვის და მესამე მხარის ქსელზე არადისკრიმინაციული დაშვებისთვის; ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმის შემუშავება; ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა; მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერება; გამჭვირვალობის გაზრდა; მომხმარებლების დაცვა; ახალი სტრუქტურების მუშაობაში მონაწილეობის მიღება (ENTSOE, ACER).

ევროკომისიის დირექტივები დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს გაძლიერებას, რომლის ფუნქციებშიც უნდა შედიოდეს:

- მონიტორინგი, მათ შორის: მომსახურების ხარისხის, ბაზრების ფუნქციონირების, ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმების შესრულების და ა.შ.;
- სატარიფო მეთოდოლოგია და ტარიფები;
- ელექტროქსელის წესების დამტკიცება;
- სანქცირება-წახალისების ეფექტური სისტემის შექმნა;
- ლიცენზირება;

- მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და დავების გადაწყვეტა;
- ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა;
- ქსელის განვითარების ერთიანი გეგმის დამტკიცება;
- ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის რეგულირება;
- შსაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება;
- ACER-ის გადაწყვეტილებების პრაქტიკაში გატარება, რაც დამატებით ვალდებულებებს წარმოშობს.

ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია საბითუმო და საცალო ბაზრების განვითარება. საბითუმო ბაზრის განვითარებისათვის საჭიროა ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის ჩამოყალიბება, კონკურენციის გაზრდა, IT ტექნოლოგიების განვითარება, გამჭვირვალობა, საბაზრო მექანიზმებით სისტემათაშორისი ხაზების გამტარუნარიანობის განაწილება და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა, რომელიც ასევე მოიცავს ელექტროენერგიით ვაჭრობის აუქციონებს, რასაც დასჭირდება მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმება. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ევროპული საერთო ენერგეტიკული წესების გაზიარება, რაც გაადვილებს ვაჭრობას.

საცალო ბაზრის განვითარებისთვის საჭიროა საცალო ბაზრის გახსნა კონკურენციისათვის და მომხმარებლებისათვის მომწოდებლების არჩევის საშუალების მიცემა, მათ შორის მომწოდებლის გადართვის საშუალება სამი კვირის ვადაში. აუცილებელია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ასევე მომწოდებლის ვალდებულება, ჰქონდეს საჩივრებსა და შეტყობინებებზე რეაგირების ეფექტური სისტემა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწყვლადი მომხმარებლების დაცვის სქემებს და ჰკვიანი ქსელების განვითარებას.

ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნების, წესების და კოდექსების გათვალისწინებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ელექტროენერგეტიკის სექტორს. არის მოლოდინი, რომ საქართველო ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგავს ევროპასთან ინტეგრაციისკენ, მოხდება ევროპასთან კავშირების გაძლიერება. ამასთან დარგში ხელი შეეწყობა კონკურენციის გაძლიერებას, ინვესტიციების მოზიდვას და ტარიფების სამართლიან დარეგულირებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ ყველაფერს თან ახლავს გამოწვევები, რადგანაც სულ უფრო მეტად რთულდება და მოცულობაში იზრდება ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობა, ამიტომაც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანებისაკენ გზაზე დარგში გასატარებელი იქნება ძირეული ცვლილებები

შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ხარჯებთან. ეს ხარჯები შესაძლოა გამოწვეული იყოს ახალი სტანდარტების და თამაშის წესების დანერგვასთან, დაკავშირებულ ტრანზაქციის და ადმინისტრაციულ ხარჯებთან. ამასთან, რეფორმების სწორად წარმართვისათვის საჭიროა ჩატარდეს კვლევები თუ რა პოტენციალი გააჩნია ელექტროენერგიის საცალო და საბითუმო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებას საქართველოში.

ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაერთიანების შედეგად საქართველოს ელექტროენერგეტიკაში არებული გამოწვევების წარმატებით დაძლევისათვის საჭირო იქნება არსებითი ძალისხმევის განხორციელება ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბაზის განვითარებისათვის, სასურველი იქნება საკანონმდებლო პროექტების მომზადება დამტკიცებამდე გარკვეული დროით ადრე, კონკურენციის და რეგულირების მექანიზმების გაძლიერება ევროპული ლიბერალური ელექტროენერგიის ბაზრის პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის სპეციფიკის გათვალისწინება.

ენერგეტიკული უსაფრთხოება და სტრატეგიული სატრანზიტო პროექტები



სტრატეგიული სატრანზიტო პროექტები გაზის სექტორში

ტმდ. თეიმურაზ გოჩიტაშვილი

15 დეკემბერი, 2014

სატრანზიტო დერეფანი, რომელიც საქართველოს კვეთს, წარმოადგენს საერთაშორისო ბაზრებზე კასპიის ნახშირწყალბადების მიწოდების ყველაზე მიმზიდველ მარშრუტს. საქართველოს გავლით ხორციელდება ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირება, როგორც მილსადენებით, ისე რკინიგზითა და საზღვაო პორტებით, რაც განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

- აზერბაიჯანი, ისევე როგორც მთლიანად კასპიის რეგიონი, ფლობს ენერგო რესურსების მდიდარ მარაგებს, მაგრამ იზოლირებულია მსოფლიოს ბაზრებისაგან. ის მოტივირებულია შეარჩიოს დამოუკიდებელი საექსპორტო მარშრუტები და გვერდი აუაროს სხვა მწარმოებელ (შესაბამისად კონკურენტ) ქვეყნებს.
- საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი სატრანზიტო პოტენციალი იმისათვის, რომ მომავალში საერთაშორისო ბაზრებს დამატებით მიაწოდოს აზერბაიჯანული და მთლიანად კასპიის რეგიონის ნახშირწყალბადების რესურსები.


დღეისათვის ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოს ტერიტორიის გავლით გაზის ახალი სატრანზიტო მაგისტრალების მშენებლობის პროექტების რეალიზაციისათვის. მიმდინარეობს, სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის მეშვეობით, აზერბაიჯანული და ცენტრალური აზიის საბადოებიდან გაზის ევროპაში მიწოდების სხვადასხვა ალტერნატიული პროექტის აქტიური განხილვა და დამუშავება, რითაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფილი იქნება ევროპული ბაზრის შემდგომი დივერსიფიკაცია და მინიმუმამდე შემცირდება მონოპოლისტი მწარმოებლების შესაძლო დიქტატის ნეგატიური შედეგები.

სამხრეთის გაზის დერეფნის გავლით (იხ. სურ. 1) გათვალისწინებულია აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის საბადოს, შემდგომში კი შესაძლოა ცენტრალური აზიის ქვეყნების, ბუნებრივი გაზის ბალკანეთში, სამხრეთ და/ან ცენტრალურ ევროპაში მიწოდება, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემისა (SCP) და დაგეგმილი მილსადენების (TANAP, TAP) გამოყენებით. ამ მარშრუტით

თურქმენული გაზის მიწოდებისათვის ასევე დაგეგმილია ტრანსკასპიური მილსადენის (TCP) მშენებლობა.

მნიშვნელოვანი სატრანზიტო პროექტებისა და მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული კავშირების აღდგენა-განვითარების ხელშეწყობა საქართველოს ენერგეტიკული რესურსებით მომარაგების მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების მიხედვით დივერსიფიკაციასაც უზრუნველყოფს.

სურ. 1. სამხრეთის გაზის დერეფანი



სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემით (SCP) წარმოებს აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს გავლით თურქეთის ქალაქ ერზურუმამდე. მილსადენის საქართველოს სექციის სიგრძე - 248 კმ-ია (მთლიანი სიგრძე - 690 კმ), მაქსიმალური საპროექტო წნევა - 95 ბარი, მილის დიამეტრი - 1067 მმ, საპროექტო გამტარუნარიანობა დღევანდელი მდგომარეობით ≈ 8 მლრდ მ³/წ, რეალური დატვირთვა ≈ 6 მლრდ მ³/წ (5,85 მლრდ მ³/წ 2014 წელს), მილსადენი ექსპლუატაციაშია 2006 წლიდან. „SCP სისტემა“ მოიცავს სამხრეთ კავკასიურ მილსადენს და მასთან დაკავშირებულ მოწყობილობებსა და ნაგებობებს. სისტემის წლიური გამტარუნარიანობა, შეთანხმების თანახმად, შეზღუდულია 30 მლრდ მ³-ით. მილსადენის მფლობელი კონსორციუმის „SCP Co“-ს ძირითადი მეწილეები არიან BP (SCP-ის ტექნიკური ოპერატორი) და სოკარი.

შაჰ-დენიზის საბადოს განვითარება ითვალისწინებს: 1-ელ ფაზას - კაპიტალური ხარჯებით $\approx \$4$ მლრდ, საპროექტო პიკური წარმოებით 8,4 მლრდ

მ³/წ; მე-2 ფაზას - კაპიტალური ხარჯებით ≈ \$45 მლრდ, პიკური წარმოებით 16 მლრდ მ³/წ, გაზის პირველი ნაკადის მიწოდებით 2018-2020 წლებში; განიხილება, აგრეთვე, საბადოს განვითარების მე-3 ფაზის შესაძლებლობა პიკური წარმოების გაზრდით - 22-25 მლრდ მ³/წლ-მდე და გაზის მიწოდებით სავარაუდოდ 2030 წლიდან. საექსპერტო შეფასებით კი აზერბაიჯანის ჯამურმა საექსპორტო პოტენციალმა, გრძელვადიან პერსპექტივაში, შაჰ-დენიზის პარალელურად გაზის სხვა საბადოების (აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის თანმხლები გაზის, ღრმაწყლიანი აფშერონის, უმიდ/ბაბეკის და სხვა) ეფექტური ათვისების შემთხვევაში, დაახლოებით 35-40 მლრდ მ³/წ-ში შეიძლება მიაღწიოს.

დაწყებულია სისტემის გაფართოების სამუშაოები აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე პარალელური მილსადენებისა და დამატებითი საკომპრესორო სადგურების მშენებლობის სახით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება წლიური გამტარუნარიანობის დაახლოებით - 24 მლრდ მ³-მდე გაზრდა, იმ ანგარიშით, რომ შაჰ-დენიზის საბადოს მე-2 ფაზის ათვისების დასრულების მომენტისათვის, SCPX მილსადენი მზადყოფნაში იყოს გაზის მზარდი ნაკადების შეუფერხებელი გატარებისათვის. გაფართოების გეგმით საქართველოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 63,8 (56+5,3+2,5) კმ სიგრძის 1220 მმ-იანი (48") პარალელური მილსადენის, 2 მძლავრი საკომპრესორო სადგურისა და ახალი გამზომი კვანძის მშენებლობა.

აზერბაიჯანული გაზის ევროპულ ბაზარზე მიწოდების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილება, აგრეთვე, აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის ურთიერთდამაკავშირებელი სისტემა (AGRI), რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ბუნებრივი გაზის გათხევადების (LNG) ტერმინალის მოწყობას და პროდუქციის ტრანსპორტირებას ტანკერებით რუმინეთის სანაპირომდე, სადაც მოეწყობა მიღება-რეგაზიფიკაციისა და განაწილების სისტემები.

მომზადებულია AGRI-ს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიში, რომლითაც დადგენილია გარკვეული ხელისშემწყობი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში პროექტის კომერციული მიზანშეწონილობა და ტექნიკური განხორციელების შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც დასრულდება აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზისა და სხვა საბადოების ათვისების სამუშაოები, სავარაუდოდ 2022-2025 წლების შემდეგ.

AGRI LNG პროექტის რეალიზაციისათვის საქართველოს ტერიტორიაზე იგეგმება არსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური მილსადენის გამოყენება მისი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ, ან აზერბაიჯანის

საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული გაზის გათხევადების საწარმომდე პარალელური მაგისტრალის აშენება. ალტერნატიულ ვარიანტად განიხილება SCP-ის საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემასთან დამაკავშირებელი ახალი მიმღები კვანძისა და მაგისტრალური გაზსადენების დასავლეთის განშტოებასთან დამაკავშირებელი ვალე-ვანის მაღალწნევიანი მილსადენის (ინტერკონექტორის) მშენებლობა.

განიხილება, აგრეთვე, კასპიური გაზის საქართველოს ტერიტორიისა და შავი ზღვის ოფშორული მილსადენების გავლით ევროპულ ბაზარზე მიწოდების “თეთრი ნაკადისა” (WS) და “ტრანსკასპიური მილსადენის” (TCP) პროექტების ერთობლივი განვითარების კონცეფცია, რომელმაც გამტარუნარიანობის საფეხურებრივი ზრდის გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს შესაბამისად 8, 16 და 32 მლრდ მ³/წ გაზის მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთობლივი ინტერესების კანდიდატი პროექტების რიგში შეტანილია სამხრეთის გაზის დერეფნის ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, SCP სისტემის გაფართოების სამუშაოები, AGRI LNG პროექტი და რეგაზიფიკაციის ტერმინალი შავი ზღვის სანაპიროზე, ინტერკონექტორი რუმინული პორტ კონსტანციდან უნგრეთის საზღვრამდე, ოფშორული ტრანსკასპიური და თეთრი ნაკადის მილსადენების პროექტი.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენით (NSGP) ხორციელდება რუსული გაზის ტრანზიტი სომხეთის მიმართულებით. გაზსადენი შედგენილია 1200 და 1000 მმ მილსადენების სექციებისაგან, საპროექტო სიმძლავრით 16/10 მლრდ მ³/წ, შესაბამისად. მილსადენის საერთო სიგრძე 234 (134+90+10) კმ-ია, საპროექტო წნევა - 55 ატმ. სისტემის ექსპლუატაცია წარმოებს 1994 წლიდან.

NSCP სტრატეგიული სახელმწიფო ობიექტია და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას (სნგკ) ეკუთვნის, რომელიც თავის მხრივ საპარტნიორო ფონდის მეშვეობით 100 % სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი კომპანიაა. სნგკ კოორდინაციას უწევს ტრანზიტთან დაკავშირებულ, მათ შორის გაზის ყიდვა-გაყიდვისა და მოწყვლადი, ე.წ. “სოციალური” მომხმარებლების გაზით უზრუნველყოფის საკითხებს. NSCP-ს ოპერირებას ანხორციელებს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია (100 % სახელმწიფო მფლობელობაში, მართავს ენერგეტიკის სამინისტრო)

უკანასკნელ წლებში, როცა საქართველო ძირითადად აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის და სხვა საბადოების გაზით მარაგდება, NSCP გაზსადენის დატვირთვა მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ფაქტიურად ტრანსპორტირებული გაზის მოცულობა დაახლოებით 2,5 მლრდ მ3-ს შეადგენს, რაც ძირითადად სომხეთის მიმართულებით გაზის ტრანზიტისათვის არის განკუთვნილი.

TCP – უნიკალური შესაძლებლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა და რეფორმებისათვის

გიორგი ვაშაყმაძე, W-Stream Ltd. დირექტორი
20 თებერვალი, 2014წ

ევროკავშირი ადვოკატირებას უწევს ენერგიის წარმოების და ვაჭრობის სტაბილურ და გამჭვირვალე მარეგულირებელ წესებს ქვეყნებში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც ენერგო მომწოდებლები და დაინტერესებულნი არიან ევროკავშირთან ახლო კავშირებით.

გამჭვირვალე და სტაბილური წესები ხელს უწყობს ერთი მხრივ ქვეყნის მიმოხიდელობის გაზრდას დასავლელი ინვესტორებისთვის, რომლებიც საქმიანობენ საუკეთესო ბიზნეს გამოცდილებებზე დაყრდნობით და, მეორე მხრივ, ხელს უშლის იმ სუბიექტების ინტერესების გატარებას, რომლებიც სარგებელს იღებენ არაგამჭვირვალე ბიზნეს გარემოში საქმიანობით. მეტი გამჭვირვალობა სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის ურთიერთობისას ქმნის მეტ სტაბილურობას რაც ამცირებს გარეგან გავლენას, რასაც შესაძლოა სხვადასხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე ემოქმედა.

2006 წლიდან ევროკავშირი და აშშ აქტიურად ცდილობდნენ საქართველოს მთავრობის დარწმუნებას ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრებაზე. გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო, სხვადასხვა საერთაშორისო დონორის საგრანტო პროგრამების დახმარებით, ადრეულ ეტაპზე შეძლებდა გაეტარებინა ენერგეტიკული რეფორმები და გადაედგა ანტიმონოპოლიური ნაბიჯები. მაშინდელმა მთავრობამ გადაწყვიტა საზოგადოებასთან და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობისას საკმაოდ თავშეკავებული პოზიცია ჰქონოდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ახალი ხელისუფლების

მოსვლის შემდეგ სიტუაცია ამ კუთხით შეიცვალა. საქართველომ ოფიციალურად გააკეთა განაცხადი ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე. სამწუხაროდ უცვლელია ის ფაქტი, რომ საზოგადოების ინფორმირებულობა იმ სარგებელთან დაკავშირებით რაც ქვეყანამ ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით შეიძლება მიიღოს, საკამაოდ დაბალია.

90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველო წარმატებულად იქცა ევროპისთვის საიმედო პარტნიორად ტრანზიტის კუთხით, ამგვარად ხედავდა არსებულ სიტუაციას Financial Times 2008 წელს რუსეთის შემოჭრამდე სამი კვირით ადრე:

„აშშ და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოს რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევის და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. დასავლეთის შემფოთებას იწვევს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოება, რომლებსაც კასპიური ნავთობი და გაზი კავკასიის გავლით თურქეთში გადააქვთ. რუსეთი კი რეგიონს და აქ არსებულ მილსადენებს უყურებს როგორც უმნიშვნელოვანეს ტესტს საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროების აღდგენის გზაზე.

აფხაზეთის და ოსეთის თემები არის გადამწყვეტი ბერკეტები რუსეთის ხელში, რომ შეფერხდეს საქართველოს სვლა ევროპისკენ. კვლევითი ცენტრის Carnegie Moscow Center დირექტორის მოადგილე, დიმიტრი ტრენინი აცხადებს, რომ რუსეთს არ აქვს განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტულად აფხაზეთისადმი. ის უბარლოდ ეუბნება საქართველოს, რომ თუ გაწევრიანდებიან ნატოში ველარასდროს დაიბრუნებენ აფხაზეთს“.

მათ ვინც მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგეტიკული კორიდორის განვითარებაში ახსოვთ, რომ მსგავსი მესიჯები რუსეთისგან მოდიოდა BTC -ის შემთხვევაშიც.

დღესდღეობით, ევროკავშირთან სხვადასხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სავაჭრო შეთანხმებებზე ხელის მოწერის შემდეგ, ბევრი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ რუსეთს აღარ გააჩნია მნიშვნელოვანი ბერკეტები საქართველოში მაღალ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის კუთხით.

სუსტი და არაგამჭვირვალე ენერგეტიკული სექტორი რუსეთისთვის გავლენის მოხდენის და ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევის ერთერთი საშუალებაა. ნებისმიერ შემთხვევაში არამდგრადი და არაგამჭვირვალე ენერგეტიკული

სექტორი გულისხმობს ნაკლებ რეინვესტიციებს, ნაკლებად კონკურენტუნარიან ეკონომიკას, სამუშაო ადგილების სიმცირეს და ა.შ. ქვეყანა კი ნაკლებად საიმედო პარტნიორია, როდესაც საქმე ეხება გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან სატრანზიტო პროექტებს.

2010 წლის ივლისში Eurasian Energy Analysis-მა ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის მცდელობს ჩრდილოეთ-სამხრეთ გაზის მილსადენის გაყიდვასთან დაკავშირებით. „საქართველოს პრემიერმა ნიკა გილაურმა პირობა დადო, რომ მილსადენის აქციების გაყიდვის შემთხვევაში საქართველო საკონტროლო პაკეტს არ გაასხვისებდა. ოპოზიციამ სცადა ამ პირობის საკანონმდებლო დონეზე გადატანა, რომელიც სამწუხაროდ პარლამენტმა დაბლოკა და, შესაბამისად, საშუალება მისცა გაზპრომის მსგავს კომპანიას ხელში ჩაიგდოს ეს მილსადენი.“

სურ.1 სატრანზიტო მილსადენები



გაზპრომი 1995 წლიდან იყო დაინტერესებული ამ მისაღწევით. ყიდვის შემთხვევაში ის შეძლებდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ფართო-მასშტაბიანი პროექტების გაჩერებას და იაფი ირანული გაზის გატარებას რუსული მილსადენებით.


მსგავსი გეოპოლიტიკური საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ევროპის ენერგეტიკული გაერთიანებაში გაწევრების ხელშეკრულების მოლაპარაკებების ფორმატში. მაგალითად, რუსეთმა შესაძლოა ხელშეკრულების დებულებებიდან გამომდინარე მოითხოვოს გაზპრომის არსებულ და მომავალ მილსადენებზე დაშვება. სტრატეგიული მნიშვნელობის

საქონლის ტრანზიტი, ისეთის როგორიცაა გაზი, საკმარისად არსებული რესურსების შემთხვევაში იძლევა არა მხოლოდ ფულად მოგებას, არამედ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სარგებესაც. ამის მაგალითია, თუ როგორ იყენებდა საერთაშორისო დიპლომატიური საზოგადოება თურქმენული გაზის ტრანზიტის საკითხებს ირანთან დასაკავშირებლად 2009 წელს.

თურქმენეთის პრეზიდენტი გურბანგული ბარდუმუხამედოვი აცხადებდა, რომ ცდილობა ენერგეტიკული მარშრუტების დივერსიფიცირებას და სხვადასხვა ქვეყნების და რეგიონების ჩართვას ამ პროცესში. პასუხად აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ჯორჯ კროლმა განაცხადა რომ აშშ რჩება მომხრე გაზის ტრანზიტისა, ცენტრალური აზიიდან ევროპაში, ირანის გავლით.

ახალი მილსადენების აშენებით, დამოუკიდებელი გზებით მიღებული გაზის მიწოდება ევროკავშირის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს და შესაბამისად ამას მოჰყვა სამხრეთის გაზის კორიდორის გეგმის წინ წამოწევა და მისი

Europe
(CEF)
ში.



ჩართვა
Facility
scheme -

სამხრეთის გაზის კორიდორი ერთერთი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტია „ევროპული ინფრასტრუქტურული პროექტები -ნავთობი და გაზი 2020-ში“.

ევროკავშირი უკვე ორი ათწლეულია ცდილობს მოიპოვოს წვდომა კასპიის ზღვის რესურსებზე, დიდწილად თურქმენულ გაზზე, ახლანდელი მოვლენები და პროექტები (SD2, TANAP, TAP) უფრო აძლიერებს ამ პროცესს. აღსანიშნავია

საქართველოს როლი ამ კუთხით, რომლისთვისაც ძალიან ხელსაყრელი საშუალებაა გახდეს გუნდის წევრი და მოკავშირე ტრანს-კასპიური მილსადენის ამოქმედების გზაზე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გლობალურ ენერგეტიკულ სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გლობალური ენერგეტიკული რუკა შეიცვალა არატრადიციული გაზისა და ნავთობის რევოლუციის შედეგად ჩრდილოეთ ამერიკაში და მზარდი ენერგო-მომხარებლების გაჩენით აზიაში. ევროკავშირის ქვეყნები აქცენტს აკეთებენ განახლებადი ენერგიების სექტორის სუბსიდირებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს ევროპული გაზის ბაზრის შემცირებას (გაზზე მოთხოვნის კლებას). ამ შემთხვევაში ირანისგან გაზის იმპორტი საკმაოდ რეალისტურია საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველომ კარგად უნდა განიხილოს მსგავსი პერსპექტივები და აქტიური როლი ითამაშოს სამხრეთის გაზის კორიდორის განვითარებაში. ევროპის ბაზარს სჭირდება TCP, მაგრამ ეს საჭიროება არ იქნება მუდმივი, ამიტომაც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული გაერთიანების დახმარებით გათავისუფლდეს სხვადასხვა ენერგო მოთამაშესთან არაგამჭვირვალე კავშირებისგან რომლებიც აუცილებლად იმოქმედებს მის მომავალზე.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების ღონისძიებები²²

*მურმან მარგველაშვილი, WEG/IESD
1 აგვისტო 2014*

ენერგეტიკული უსაფრთხოება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს. განსაკუთრებით აქტუალურია ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოსთვის არსებული გართულებული და არასტაბილური საგარეო პოლიტიკური ვითარების ფონზე, როდესაც გაზრდილია ენერგეტიკის პოლიტიკური გავლენის ან/და ზეწოლის ბერკეტად გამოყენების საფრთხე.

²² კვლევა დაფინანსებულია აშშ განვითარების სააგენტოს პროექტით G-PAC რომელიც განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის EWMI მიერ.

ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად საქართველოში მრავალი ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური პროექტი ხორციელდება: ინტენსიურად შენდება ჰიდროელექტროსადგურები და ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები, მიმდინარეობს თურქეთის ელექტროენერგეტიკულ ბაზართან ჰარმონიზაცია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ წარმოებს მოლაპარაკება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე და ა.შ. ეს პროცესები კიდევ უფრო აძლიერებს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების სწორი შეფასების საჭიროებას და მათი შერბილების ღონისძიებებში ეროვნული ღირებულებების გათვალისწინების აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ, დამოუკიდებლობის 24 წლიანი პერიოდის მიუხედავად, ენერგეტიკული პოლიტიკის, და კერძოდ ენერგეტიკული უსაფრთხოების, სრულყოფილი კვლევები საქართველოში ჯერ კიდევ ჩასატარებელია. არ ჩამოყალიბებულა რაიმე კვლევითი ორგანიზაცია ან ჯგუფი, რომელიც ენერგეტიკის მართვას გაუწევდა თანამედროვე მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ანალიტიკურ უზრუნველყოფას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და საკუთარი ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ენერგეტიკული უსაფრთხოების განსაზღვრება და ენერგეტიკული საფრთხეების შეფასების პრინციპები, რაც ნაწილობრივ მაინც გააადვილებს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების ანალიზს და ოპტიმალური დამცავი ღონისძიებების შემუშავებას.

ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

1. საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში არ იძებნება ენერგეტიკული უსაფრთხოების განსაზღვრება და მისი მიმართება ქვეყნის ინტერესებსა და ფასეულობებთან - ეს ქმნის იმის საფრთხეს, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცების ცალკეული ღონისძიებები შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდნენ ქვეყნის სხვა მნიშვნელოვან ინტერესებთან. მაგალითად, ელექტროენერგიის მიწოდების ზრდა (ვთქვათ, ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ხარჯზე) ზოგჯერ დამოუკიდებელ მიზნად ცხადდება, ერთიანი ენერგეტიკული უზრუნველყოფის ან ეკონომიკური კეთილდღეობის კონტექსტის გარეშე, რაც სერიოზულ საზოგადოებრივ კამათს და წინააღმდეგობას წარმოშობს. ასევე რეალურად იქმნება საფრთხე, რომ ენერგომომარაგების მოკლევადიანი ინტერესებისათვის დათმობილ იქნას უფრო ძირეული გრძელვადიანი ინტერესები.

2. ენერგეტიკის პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტები არ ეყრდნობა ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების საფუძვლიან ანალიზს - არ ტარდება ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევების სისტემატური განხილვა, არ ხდება ენერგეტიკული სტატისტიკის ანალიზი და ერთიანი ენერგეტიკული ბალანსის შედგენა, რის გამოც გართულებულია ენერგეტიკული სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების, მოსალოდნელი საფრთხეების წარმოჩენა.

მაგალითები:

- ბევრისთვის მოულოდნელად ირკვევა, რომ, საქართველოში მოხმარებული ყველაზე დიდი ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსი არის შეშა, რომელიც ძირითადად გათბობისათვის გამოიყენება და რომლის მიწოდების შესაძლებლობაც სწრაფად იწურება, ტყეების მძიმე მდგომარეობის გამო. უახლოეს წლებში მოსალოდნელია სოფლის მოსახლეობის ენერგეტიკული შიმშილი ან/და ზამთარში ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის მოხმარების (და შესაბამისად ქვეყნის ენერგეტიკული დამოკიდებულების) მნიშვნელოვანი ზრდა. ამ საფრთხეების ასაცილებლად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, როგორც შეშის მოხმარების ეფექტურობის ზრდის, ასევე დათბუნების, ალტერნატიული სათბობის უზუნველყოფის და სხვა მიმართულებებით. აღნიშნული გარემოება კი ჯერჯერობით გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღების მიღმა რჩება, თუმცა ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს.
- საქართველოს ჰიდროელექტრო გენერაციის პოტენციალის თითქმის ნახევარი (ენგური/ვარდნილის კასკადი) არაკონტროლირებად ტერიტორიაზეა. უცნობია, არის თუ არა შემუშავებული და რამდენად ეფექტურია რისკების შემცირების და უსაფრთხოების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ღონისძიებები. საქართველოში სავარაუდოდ არ ხორციელდება შესაძლო საგანგებო ენერგეტიკული სიტუაციების ანალიზი და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

3. ენერგეტიკული უსაფრთხოების შიდა გარემო - ხარვეზები საქართველოს ენერგეტიკულ კანონმდებლობაში და ენერგეტიკის მართვის არასისტემური სტილი ართულებს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას, რადგან


გადაწყვეტილებები მიიღება მოკლევადიანი, კერძო საჭიროებებიდან გამომდინარე, სათანადო ანალიტიკური უზრუნველყოფის გარეშე, გრძელვადიანი ხედვებისა არქონისა და ნაკლები საზოგადოებრივი ჩართულობის პირობებში.

ენერგეტიკული უსაფრთხოების განსაზღვრება - კავშირი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებთან და ინტერესებთან.

ენერგეტიკულ უსაფრთხოებას არ აქვს უნივერსალური და საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. თუმცა ყველა არსებულ განმარტებაში (საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, მსოფლიო ბანკი) იგი დაკავშირებულია ქვეყნების სხვა ძირეული ინტერესების განხორციელებასთან, ამასთან „ენერგეტიკული უსაფრთხოების ზუსტი მნიშვნელობა განსხვავდება ქვეყნებს შორის.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგეტიკული დამოკიდებულების მაღალი ხარისხის და არასტაბილური საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამო საქართველოს ენერგეტიკული გამოწვევები განსაკუთრებულად მწვავეა, შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების მკაფიო განსაზღვრებაც, რომელიც ზუსტად ასახავს არსებულ გარემოს და გახდება ენერგეტიკული პოლიტიკის და სტრატეგიული ქმედებების ორიენტირი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ენერგეტიკული უსაფრთხოება მოცემულია ერთ-ერთ ეროვნულ ინტერესად და აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი სხვა ეროვნულ ინტერესებსა და ღირებულებებს შორის, რომელთა ურთიერთმიმართებაც ასეთია:



აღნიშნულ კონცეფციაში ენერგეტიკული უსაფრთხოების განსაზღვრება მოცემული არ არის, რაც ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი გარემოებაა. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს ენერგეტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში მოხდეს ამ ცნების განსაზღვრება და ეროვნული უსაფრთხოების სქემის შესაბამისად ჩამოყალიბება. კერძოდ:

ენერგეტიკული უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს ენერგიის სხვადასხვა სახის, საკმარისი რაოდენობით, უწყვეტ და ხარისხიან მიწოდებას ხელმისაწვდომ ფასად, ეროვნული ღირებულებების და ეროვნული ინტერესების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ამ განმარტების შესაბამისად, ენერგეტიკული საფრთხეების და რისკების ცნება ფართოვდება და არა მხოლოდ ენერგომომარაგების შეწყვეტის, შეზღუდვის, გაძვირების და უხარისხობის საფრთხეებს შეიცავს, არამედ ისეთ ენერგომომარაგებასაც, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის ღირებულებების და ინტერესების დათმობის ხარჯზე.

მაგალითი:

ცნობილია რუსეთის მცდელობები, რომ ენერგეტიკა გამოიყენოს პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად, როგორც უკრაინის, ასევე მოლდოვის წინააღმდეგ. მაგალითად, 2013 წელს რუსეთი მოლდოვას ევროპის ენერგეტიკულ

გაერთიანებაში არშესვლის სანაცვლოდ ბუნებრივი გაზის ფასის სამჯერ შემცირებას სთავაზობდა. აღნიშნულ გარიგებაზე დათანხმება მოლდოვასათვის იქნებოდა ძირეული ღირებულებების დათმობა, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მოლდოვამ საბოლოოდ დაიცვა თავისი საგარეო-პოლიტიკური არჩევანი ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლით.

შემოთავაზებული განსაზღვრებით, ანალოგიურ სიტუაციაში დათმობა ენერგეტიკულ საფრთხედ ჩაითვლება, შესაბამისად, მიუღებელი იქნება და წინასწარ იქნება დაგეგმილი მისი საწინააღმდეგო ღონისძიებები. ანალოგიურად მიუღებელი იქნება ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცება ეკოლოგიური უსაფრთხოების ან სხვა ეროვნული ინტერესის დათმობის ხარჯზე.

ენერგოუსაფრთხოების ასეთი განმარტებით, საფრთხის შემცველია, მაგალითად საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის სახელმწიფო კომპანიებთან დადებული გრძელვადიანი მემორანდუმები, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგებიან ევროინტეგრაციის მოთხოვნებს და გამჭვირვალობის პრინციპებს. შესაბამისად, ასეთი განმარტების პრაქტიკაში გამოყენებით გაადვილდება ქვეყნის ძირეული ღირებულებების და ინტერესების დაცვა ენერგეტიკული ზემოქმედების შესაძლო ბერკეტების გამოყენებისაგან.

ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების მართვა

ენერგეტიკული უსაფრთხოების აბსოლუტური დონე არ არსებობს, რადგან ყოველთვის არსებობს ენერგომომარაგების შეფერხების მოკლე თუ გრძელვადიანი რისკები. ამიტომ საჭიროა მათი მუდმივი მონიტორინგი, შერბილების და აცილების ღონისძიებების განხორციელება, ანუ ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების მართვა, რაც ენერგეტიკის მართვის უმთავრესი ამოცანაა.

რისკების კატეგორიზაცია

ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზის სისრულისათვის აუცილებელია ენერგო უსაფრთხოების რისკების კატეგორიზაცია და მნიშვნელოვანი საფრთხეების სრული ჩამონათვალის შედგენა, რათა მოხდეს მათი დაჯგუფება და შემდგომი რანჟირება რეაგირებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად. სხვადასხვა ქვეყნები ამ საკითხს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებულად უდგებიან.

ცხრილ 1-ში მოყვანილია ენერგეტიკული საფრთხეების შესაძლო კატეგორიზაცია წყაროების მიხედვით და თითოეული კატეგორიის ტიპური რისკები, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზში.

ცხრილი 1. ენერგეტიკული უზრუნველყოფის რისკები და მათი ტიპები

რისკების ტიპები	რისკები
ბუნებრივი რისკები	▪ ექსტრემალური კლიმატური პირობები (გვალვა, წყალდიდობა, ქარი, შტორმი ▪ კლიმატის ცვლილება ▪ წყლის რესურსების შემცირება, ჰიდროლოგიური რეჟიმების ცვლილება. ▪ მიწისძვრები, მეწყერები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები
ტექნიკური რისკები	▪ ინფრასტრუქტურის ამორტიზაცია ▪ ტექნიკური გაუმართაობა და დაზიანება ▪ ენერგეტიკული სექტორის არამანევრულობა ▪ სანდო მონაცემთა არარსებობა ▪ ტექნიკური სტანდარტების, რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების არარსებობა ▪ ენერგიის შენახვის პრობლემები
პოლიტიკური რისკები	▪ ზამთრის პერიოდში იმპორტის შეწყვეტა ▪ ექსპორტიორი ქვეყნების პოლიტიკური არასტაბილურობა ▪ საერთაშორისო კონფლიქტები ▪ შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა
სოციალური / ადამიანური რისკები	▪ ტერორიზმი ▪ კიბერტერორიზმი ▪ კორუფცია – ქვეყნის შიგნით და გარეთ ▪ არაკომპეტენტური მენეჯმენტი ▪ არაკვალიფიციური პერსონალი ▪ შეცდომები დაგეგმვაში და განხორციელებაში
ეკონომიკური რისკები	▪ ბაზრის მაღალი კონცენტრაცია და მონოპოლიები ▪ თურქეთის ენერგეტიკული ბაზრის გავლენა ენერგიის ფასებზე საქართველოში.

- ენერგიაშემცველთა ფასების შესაძლო ზრდა
- ინვესტიციები დაბალი ხარისხი

ეს ენერგეტიკული საფრთხეები შეიძლება იწვევდეს: ენერგიის არასაკმარისი მოცულობით მიწოდებას, მაღალ ფასებს, მიწოდების წყვეტილობას (SAIFI, SAIDI), სეზონური მიწოდების სირთულეებს, ხარისხის სტანდარტებისგან გადახრას და ა.შ. მათი მოქმედება შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელვადიანი, ერთჯერადი ან განმეორებადი. თავად ზეგავლენები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი (მიუწოდებელი, უხარისხო, გაძვირებული) ენერგიის და/ან დაზარალებულ მომხმარებელთა რიცხვის მიხედვით, არამედ ასევე, მათი გავლენით ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებზე - პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, პოლიტიკურ კურსზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ მდინარეთა ჰიდროლოგიური მახასიათებლების და ენერგიის მოხმარების სეზონურობის გამო, საქართველოში ენერგიის მიწოდების და მოხმარების სურათი და შესაბამისი რისკები მკვეთრად განსხვავებულია ზამთარში და ზაფხულში. ამიტომ, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზისას სეზონურობას სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

შემარბილებელი ღონისძიებები /ბარიერები

ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების სწორი ანალიზი წარმოადგენს წინაპირობას ამ რისკების შერბილების ან აცილების ღონისძიებების დასაგეგმად. რისკებისგან დასაცავად აუცილებელია შესაბამისი შემარბილებელი/დამცავი ღონისძიებების (**ბარიერების**) განხორციელება:

- **ტექნოლოგიური ბარიერები** - ამ ტიპის ღონისძიებებს მიეკუთვნება: ენერგეტიკული მარაგების გაზრდა, ელექტროგადამცემი სისტემის გაძლიერება, ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა და გენერაციის რეზერვების შექმნა, მოწყობილობის ეფექტურობის და საიმედოობის გაზრდა, განახლებადი ენერგიის ადგილობრივი წყაროების განვითარება და მოხმარების ეფექტურობის გაზრდა, გაზსაცავის მშენებლობა და სხვა.
- **პოლიტიკური და სოციალური ბარიერები**- საერთაშორისო გაერთიანებებში მონაწილეობა და პოლიტიკური მხარდაჭერების მოპოვება, გამჭვირვალობა და სოციალური პოზიციების მომზადება, საერთაშორისო ენერგეტიკული

სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და სხვ.

- **ეკონომიკური ბარიერები**- ფინანსური სტაბილურობა, ინვესტიციების ხელშეწყობა, კონკურენციის დანერგვა, მძლავრი მარეგულირებელი სისტემის უზრუნველყოფა, სტაბილური შიდა და რეგიონული ბაზრის ჩამოყალიბება და ა.შ.

- **ორგანიზაციული ბარიერები**-გამჭვირვალე და ხარისხიანი კანონმდებლობა, საგანგებო ენერგეტიკულ მდგომარეობაში მოქმედების გეგმები და სტრუქტურები, მართვის ეფექტური სტრუქტურები, ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები და ა.შ.

აღნიშნული ბარიერების შემუშავება და განხორციელება უნდა წარმოადგენდეს ენერგეტიკული პოლიტიკის და ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარ საზრუნავს.

საქართველო მოლაპარაკებას აწამოებს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე. ამ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, საქართველო გახდება გაერთიანების წევრი, რითაც მიაღწევს უფრო მჭიდრო პოლიტიკურ ასოცირებას (პოლიტიკური ბარიერი), ასევე დანერგავს ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის გამჭვირვალობის პრინციპებს (ორგანიზაციული ბარიერი), რითაც შეზღუდავს შესაძლო კორუფციული, მონოპოლისტური და პოლიტიკური ზეგავლენის საფრთხეებს.

ევროკავშირი წლების განმავლობაში, და განსაკუთრებით ბოლო ხანს, აქტიურად მუშაობს რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ამ მცდელობებში ცენტრალური როლი ეკისრება კასპიის ბუნებრივი გაზის მიწოდებას ე.წ. გაზის სამხრეთი კორიდორით, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს. ამ პროექტის განხორციელებით მკვეთრად იზრდება როგორც საერთაშორისო დაინტერესება საქართველოს სტაბილურობასა და უსაფრთხოებაში, ასევე ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის შესაძლებლობები. აღნიშნული პროექტის მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ ენერგეტიკული უსაფრთხოების ფარგლებს და ქვეყნისათვის უდიდეს პერსპექტივებს აჩენს (პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ბარიერი).

აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირების შემთხვევაში პირდაპირ სამიზნეს წარმოადგენს ამ ქვეყნების ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენები, რომლებიც სტრატეგიულია, როგორც ამ ქვეყნებისთვის, ასევე საქართველოსთვის. საჭიროა შესაბამისი საგანგებო გეგმის მომზადება ფორსმაჟორულ

სიტუაციებში სამოქმედოდ, რაც ორგანიზაციულ ბარიერს წარმოადგენს.

გარდა გაზის მოწოდების დაბალანსებით მიღებული სარგებლისა, ბუნებრივი გაზის საცავმა შეიძლება უდიდესი როლი შეასრულოს ზამთარში გაზის მოწოდების შეწყვეტის როგორც ზეგავლენის, ასევე ალბათობის შემცირებაში. ასეთი საცავის მოწყობა ტექნოლოგიური ბარიერის მაგალითია.

ენგური-ვარდნილის კასკადი, რომელიც საქართველოს ჰიდროგენერაციის ნახევარს იძლევა, მოქცეულია რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საიდანაც ენერგიის მოწოდების შეფერხებამ შეიძლება ძირეული ზემოქმედება მოახდინოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე. აღნიშნული საფრთხე დიდი მაშტაბის ზეგავლენას განაპირობებს და შესაძლოა გამოყენებულ იქნას პოლიტიკური ზეწოლის მოსახდენად. ეს საფრთხე უნდა გაანალიზებულ იქნას სამთავრობო სტრუქტურებში. ასევე უნდა მოხდეს მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება შესაძლო საფრთხის შესახებ, რათა მოწინააღმდეგის მცდელობის შემთხვევაში ვერ მოხერხდეს ამ ბერკეტის გამოყენება საქართველოში სოციალური დაძაბულობის გამოსაწვევად. ეს სოციალური ბარიერის მაგალითია.

საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში სათანადოდ არ არის განმარტებული ენერგეტიკული უსაფრთხოება, რადგან ის არ არის დაკავშირებული ქვეყნის სასიცოცხლო ღირებულებებსა და ინტერესებთან. აღნიშნული კი ხელს უშლის ენერგეტიკის როლის სწორად განსაზღვრას და განხორციელებას. ენერგეტიკული საფრთხეების შემცირების მოცემული ღონისძიებები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ შესაძლო ღონისძიებებისა, რასაც შეუძლია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლება. ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში რეგულარულად ტარდებოდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების კვლევები და მზადდებოდეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საგულისხმოა, რომ გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის საგრძნობი გაზრდა შესაძლებელია ნულოვანი და მცირე ხარჯის ღონისძიებებით, როგორიცაა: ენერგეტიკული საფრთხეების სისტემური ანალიზი, დაგეგმვა და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინება, ენერგეტიკული გამოწვევების საზოგადოებისთვის გაცნობა და მისი მომზადება შესაძლო შედეგებისთვის, ენერგეტიკის მართვის ხარისხის და პროფესიული უზრუნველყოფის ამაღლება, საერთაშორისო გაერთიანებებში, მაგალითად ევროპის

ენერგეტიკულ გაერთიანებაში, გაწევრიანება, საგანგებო ენერგეტიკულ მდგომარეობებზე რეაგირების გეგმების შემუშავება და ა.შ.

რეკომენდაციები:

1. საჯარო განხილვის სტადიაზე მყოფ ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტში შეტანილ იქნას ენერგეტიკული უსაფრთხოების განმარტება და ის დაუკავშირდეს ენერგეტიკის როლს ეროვნული ფასეულობებისა და ინტერესების გახორციელების უზრუნველყოფაში. აღნიშნული ფორმულირება ასევე გათვალისწინებულ იქნას ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების პროცესში;
2. სახელმწიფო სტრუქტურების - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ განხორციელდეს საქართველოს ენერგეტიკული გამოწვევების სრულფასოვანი შეფასება, რომელშიც განხილული იქნება ყველა ტიპის ენერგეტიკული საფრთხეები, შემდგომში მათი ენერგეტიკულ სტრატეგიაში გათვალისწინებით;
3. ენერგეტიკულ სტრატეგიაში გამოსაყენებლად შეფასდეს და გათვალისწინებულ იქნას უსაფრთხოების ამაღლების ღონისძიებების სრული სპექტრი, მათ შორის:
 - a. მომხმარებელთა ინფორმირება და სოციალური პოზიციების მომზადება,
 - b. საგანგებო ენერგეტიკულ მდგომარეობებზე რეაგირების გეგმების შედგენა,
 - c. საერთაშორისო თანამშრომლობის, კერძოდ, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მექანიზმების ამოქმედება,
 - d. ენერგეტიკის დაგეგმვაში და განვითარების სცენარების შემუშავებაში რისკების შეფასება.
4. გატარდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების საჩქარო ღონისძიებები, მათ შორის:
 - a. დაიწყოს შიგა ალტერნატივების ძიება სოფლად მოსახლეობის ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ეფექტური ღუმელების, ალტერნატიული ბიოსაწვავის, ტყის ეფექტურად გამოყენების და სხვა მიმართულებებით.
 - b. გაძლიერდეს საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობა,
 - c. დადებითად გადაწყდეს მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის საკითხი.

5. სასურველია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მდგრადი განვითარების, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულების, ცხადად გამოყოფის შესახებ.

ენერგეტიკული უსაფრთხოება გაზის სექტორში

*ტმდ, პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილი
15 დეკემბერი, 2014*

საქართველოს მოთხოვნა ბუნებრივ გაზზე ძირითადად იმპორტით არის დაბალანსებული. დღეისათვის გაზის მოწოდება ხორციელდება სამი უცხოური წყაროდან ოთხი დამოუკიდებელი კონტრაქტის საფუძველზე, მაშინ როდესაც 2007 წლამდე რუსეთი წარმოადგენდა ბუნებრივი გაზის ერთადერთ მომწოდებელს. თუმცა, რუსეთის მიერ ამ ფაქტორის პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენების გამო, რაც გაზზე ფასების პოლიტიკურად მოტივირებულ ზრდასა და მოწოდების გაუმართლებელ შეფერხებებში გამოიხატებოდა, აიძულა საქართველო ეზრუნა გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციაზე და დღეისათვის გაზის ძირითადი მომწოდებელი ადგილობრივ ბაზარზე აზერბაიჯანია. 2013-2014 წლებში სხვადასხვა მომწოდებლების მიერ აზერბაიჯანიდან საქართველოში ექსპორტირებული ბუნებრივი გაზის ჯამური მოცულობა შეადგენს ჩვენს ქვეყანაში მოხმარებული გაზის დაახლოებით - 90%-ს.

აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის საბადოს გაზის მიწოდება საქართველოში წარმოებს სამხრეთ კავკასიური მილსადენი სისტემის მეშვეობით. სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის მონაწილეებსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის ხელშეკრულება საქართველოს ანიჭებს შესაძლებლობას შეიძინოს ბუნებრივი გაზის დადგენილი მოცულობები. ყიდვა-გაყიდვის ზოგადი პირობები

განსაზღვრულია ოფციური და დამატებითი გაზის შესაბამის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში.

ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის ოპერატორი, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, რუსულ „გაზექსპორტ“-თან („გაზპრომ“-ის შვილობილი კომპანია) დადებული ხელშეკრულებით ყოველწლიურად იღებს რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანზიტისათვის გაწეული მომსახურების საფასურს ნატურით. რუსული ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის მოცულობა სტაბილურად არის შენარჩუნებული 200-220 მლნ. მ³/წ დონეზე.

ბუნებრივი გაზის გარკვეული მოცულობები (350 მლნ. მ³-მდე წელიწადში) ბაზრის ე.წ. „სოციალურ სექტორს“ (მოსახლეობას და თბოელექტროგენერაციის ობიექტებს) შედარებით შეღავათიანი ფასებით მიეწოდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის (ან მისი შვილობილი საწარმოების) მიერ, რომელიც აგრეთვე უზრუნველყოფს ქვეყნის მრეწველობისა და კომერციული სექტორის ბუნებრივი გაზით მომარაგებას საბაზრო ფასებით.

ბუნებრივი გაზის იმპორტი საქართველოში თეორიულად შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან (ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან), რუსეთისა და/ან აზერბაიჯანის გავლით და ირანიდან, აზერბაიჯანის და/ან სომხეთის გავლით. შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მოწოდების სქემების სირთულისა და/ან შედარებით მაღალი ღირებულების გამო, რუსეთის შემთხვევაში კი მის ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტის ხელმიუწვდომლობის გამო (მაგალითად, გაზის მოწოდებისათვის ყაზახეთიდან „ყაზტრანსგაზ თბილისის“ საჭიროებისათვის), მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის ამ ქვეყნებიდან გაზის მოწოდების შესაძლებლობა საქართველოს ბაზარზე ნაკლებად არის მოსალოდნელი.

ზოგადად, საქართველო ევროპისთვის მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკური და ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტთან დაკავშირებული ფაქტორებით, რაც განპირობებულია კავკასია-ცენტრალური აზიის გაკონტროლებისათვის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით და სახმელეთო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და შავი ზღვის პორტების მეშვეობით სატრანზიტო გადაზიდვების ორგანიზაციის შესაძლებლობას.

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ევროპასთან პოლიტიკური და ზოგადეკონომიკური ინტეგრაციის საკითხის მიმართ მკაფიოდაა გამოხატული და სათანადოდაა აღიარებული პროგრესული საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ. ამავე დროს, ენერგეტიკის სფეროში ინტეგრაციის პროცესი ჯერ-ჯერობით შეფერხებულია.

ამჟამად ევროპისა და მთლიანად დასავლეთისათვის, აზერბაიჯანული და კასპიის რესურსების ხელმისაწვდომობაში საქართველოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი აქვს მიკუთვნებული, თუმცა, ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტები არც ერთადერთია და არც შეუცვლელი. ისინი ამ ეტაპზე უდავოდ ყველაზე უფრო მისაღებია დასავლეთისთვის, მაგრამ გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების დინამიური განვითარების პროცესში სავსებით შესაძლებელია დასავლეთის პრაგმატიზმზე დაფუძნებული ორიენტირის ვექტორი საფუძვლიანად შეიცვალოს.

მეორე მხრივ, რუსეთი აქტიურად მუშაობს კავკასიაში პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონიის აღდგენაზე, მათ შორის აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მოგვარებაში ლიდერის პოზიციის განმტკიცებაზე. შესაბამისად, დიდია ალბათობა „მთიანი ყარაბაღი“ გაიცვალოს სომხეთზე გამავალი ახალი მილსადენის მარშრუტზე, მითუმეტეს, რომ აზერბაიჯანიდან თურქეთში გასვლა სომხეთის მარშრუტით უფრო იაფი დაჯდება. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ გრძელვადიანი პერსპექტივაა, მაგრამ უახლოეს პერიოდში არც მოისაზრება ახალი მილსადენის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში, რადგან: ა) აზერბაიჯანს იმ მოცულობის დამატებითი გაზი, რასაც ვერ გაატარებს სმკ, მისი გაფართოების სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექნება არაუადრეს 2023-2025 წლებისა; ბ) თურქმენეთის გაზის გადმოსროლა კასპიის ზღვაზე შეფერხებულია და საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული, მაშინ როდესაც გამოცდილება აჩვენებს, რომ მსგავსი პროექტების რეალიზაციის გადაწყვეტილების მიღებიდან საშუალოდ 10 წელია საჭირო მათ ამოქმედებამდე; გ) ყაზახეთს, ერთი მხრივ, კაშაგანის საბადოს განვითარების შეფერხების და, მეორე მხრივ, ჩინეთის მიმართულების ათვისების გამო, ახალი ნავთობსადენის (და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) მშენებლობის აუცილებლობა წარმოექმნება არაუადრეს 2020 წლისა.

რუსეთ-უკრაინის კრიზისის შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ პრობლემა საქართველოს მიერ რუსეთის როლის იგნორირებაში კი არ არის, როგორც ეს ზოგჯერ არასწორად არის ინტერპრეტირებული, არამედ პირიქით,

რასაც ადასტურებს ამ საუკუნის დასაწყისში რუსული „ცისფერი ნაკადის“ აშენება-ამოქმედება, მაშინ, როცა საქართველოზე გამავალი იმავე დანიშნულებისა და წარმადობის სახმელეთო მარშრუტი, 3-4 -ჯერ უფრო იაფი დაჯდებოდა²³. მსგავს პოლიტიკას რუსეთი უკრაინის მიმართ ამჟამად ანხორციელებს - ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული გაზსადენების პოტენციალის უგულვებელყოფით ცდილობს უკრაინის პოლიტიკური წონისა და დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის დაკნინებას. პროცესის დრამატულად განვითარების პრევენცია, ძირითადად, უკრაინის ინტეგრაციით მოხერხდა ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში მისი გაერთიანების საფუძველზე, რის შედეგად ქვეყნის ბუნებრივი გაზის ბაზარი დაცულია მონოპოლისტი მიმწოდებლის პოტენციური დესტრუქციული მოქმედებისაგან.

უკანასკნელ პერიოდში რეგიონში განვითარებული მოვლენები, მათ შორის საერთაშორისო ბაზრებზე ნახშირწყალბადოვანი რესურსების ფასების არასტაბილურობა, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისა და გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგები, აგრეთვე უკრაინის გამოცდილების გათვალისწინება, მოითხოვს სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი ღონისძიებების ხელშეწყობას ქვეყნის საერთაშორისო ენერგეტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციისა და სატრანზიტო პროექტებში მაქსიმალური ჩართვის მიზნით.

მეორეს მხრივ, საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, საჭიროებს ენერგეტიკულ რესურსებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს იმპორტულ სათბობზე დამოკიდებულების შემცირებით, ახალი, ენერგიადამზოგი და განახლებადი რესურსების ათვისებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენებით, სექტორის სტრუქტურის შემდგომი მოდერნიზაციით და ბაზრის ლიბერალიზაციით.

შესაბამისად, საქართველომ ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა ხელი შეუწყოს: სამხრეთის გაზის კორიდორის კონცეფციით გათვალისწინებული ახალი სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარებას; არსებული ნავთობ- და გაზსადენების მაქსიმალურ დატვირთვას; მოლაპარაკებების დაჩქარებას

²³ საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების ხელშეწყობით, საქართველო მაინც ჩამოყალიბდა კასპიური ნავთობისა და გაზის საერთაშორისო ბაზრებზე მიწოდების ერთ-ერთ ძირითად სატრანზიტო ცენტრად.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე ენერგეტიკის სფეროში, ქვეყნის ინტერესებისა და ადგილობრივი ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის უზრუნველყოფა, პოლიტიკური ნების გარდა, მნიშვნელოვან დამატებით ინვესტიციებს მოითხოვს წარმოების, ტრანსპორტირებისა და შენახვის (სარეზერვო) ინფრასტრუქტურის სათანადო მოწყობისათვის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გარდამავალ პერიოდში ხელმისაწვდომი კაპიტალის დეფიციტის, ასევე მოსახლეობის მაღალი უმუშევრობისა და ცხოვრების დაბალი დონის პირობებში, პრიორიტეტი მიენიჭება სახელმწიფო დაფინანსების მობილიზებას, ძირითადად სოციალური მიმართულებით.

ანალიზი აჩვენებს, რომ, ყველაზე კრიტიკული სიტუაციის ჩამოყალიბება ჩვენი ქვეყნის გაზის სექტორში შეიძლება დაკავშირებული იყოს სტრატეგიული მარაგის არარსებობასთან, რაც განაპირობებს სისტემის მოქნილობის განსაკუთრებით დაბალ დონეს, მაშინ როდესაც ქვეყანა თითქმის მთლიანად იმპორტირებულ სათბობზე არის დამოკიდებული და ენერგეტიკულ ბალანსში, გაზს, ნავთობპროდუქტებთან ერთად, წამყვანი როლი აქვს დაკისრებული. სტრატეგიული გაზსაცავის მშენებლობა და ნავთობპროდუქტების რეზერვის უზრუნველყოფა ასეთი რისკის შერბილების საერთაშორისო პრაქტიკაში ადაპტირებული მეთოდია და გამყარებულია ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებით (ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ასეთი ნორმა კანონით არის განსაზღვრული).

მაღალი რისკის შემცველია სტრატეგიული ინფრასტრუქტურის უცხოური კომპანიებისათვის დათმობა და დისტრიბუციის ძირითადი საშუალებების კონცენტრირება უცხოური სახელმწიფო კომპანიების ხელში (“სოკარ“-ი, “ყაზტრანსგაზ“-ი), არსებული ხელშეკრულებების ეფექტიანობის განჭვრეტის სირთულის გამო გრძელვადიან პერსპექტივაში.

ძალიან მაღალია ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ავარიებისა და კრიტიკული სიტუაციის ჩამოყალიბების ალბათობა, რაც განპირობებულია საქართველოს ლანდშაფტის თავისებურებებითა და მაგისტრალური მილსადენების ნაწილის დაბალი ტექნიკური საიმედოობით (მათი მნიშვნელოვანი ნაწილის სიძველის გამო). ასეთი ავარია 2014 წლის მაისში დარიალის ხეობაში, მდინარე დევდორაკის თერგთან მიერთების უბანზე დაფიქსირდა, როცა მყინვარის ინტენსიური დნობისა და უხვი ნალექების

შედეგად წარმოშობილმა ღვარცოფმა, დააზიანა რუსეთიდან შემომავალი 700-მილიმეტრიანი (საჰაერო გადასასვლელი) და 1200-მილიმეტრიანი (მიწისქვეშა გადასასვლელი) მაგისტრალური გაზსადენები, რის გამოც რამდენიმე დღის განმავლობაში სრულად შეწყდა გაზის ტრანზიტი სომხეთის მიმართულებით, ხოლო საქართველოს მომხმარებლების მომარაგება ხორციელდებოდა დროებითი (იძულებითი) სქემით.

ცხრილში მოცემულია საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების მნიშვნელოვანი ავარიების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ კატასტროფებთან ან მილსადენის სიძველით გამოწვეულ კოროზიულ დაზიანებებთან.

ავარიის ადგილი	ავარიის ხასიათი	თარიღი	ავარიის შედეგი
მენესო, 224,5 კმ - ჩრდ-სამხრ. მაგისტრ. გაზსადენი, 1200 მმ	მეწყერით გამოწვეული გაგლეჯა	11.05. 1993	5,8 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, მოწო-დებისა და ტრანზიტის შეწყვეტა
მენესო, 132,0 კმ - ჩრდ-სამხრ. მაგისტრ. გაზსადენი, 700 მმ	მეწყერით გამოწვეული გაგლეჯა	14.05. 1993	4,5 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, მოწო-დებისა და ტრანზიტის შეწყვეტა
ლემშვენირა, 61 კმ - ყაზახი-საგურამო, 1000 მმ	გაჟონვით გამოწვეული ხანძარი	20.08. 1996	2,8 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, მოწო-დებისა და ტრანზიტის შეწყვეტა
მცხეთა, 122,0 კმ - ჩრდ-სამხრ. მაგისტრ. გაზსადენი, 1000 მმ	მეწყერით გამოწვეული გაგლეჯა	27.09 1996	4,7 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, მოწო-დებისა და ტრანზიტის შეწყვეტა
გორისციხე, 78 კმ - ვლადი-კავკაზი-თბილისი, 700 მმ	მეწყერით გამოწვეული გაგლეჯა	11.11. 1999	3,5 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, მოწო-დების შეწყვეტა
კესალო, 55 კმ - ყაზახი-საგურამო, 1000 მმ	მილსადენის კოროზია	28.01. 2003	3,6 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, მოწო-დებისა და ტრანზიტის შეწყვეტა
ნანინი, 233 - ჩრდ-სამხრ. მაგისტრ. გაზსადენი, 1200 მმ	მეწყერით გამოწვეული გაგლეჯა	17.12. 2006	2,4 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, ტრანზიტის შეწყვეტა
დევდორაკი, 143,1 კმ - ჩრდ-სამხრ. მაგისტრ. გაზსადენი, 1200 მმ; 55,5 კმ - ვლადი-კავკაზი-თბილისი, 700 მმ	ღვარცოფით გამოწვეული გაგლეჯა	17.05. 2014	0,5 მლნ მ³ გაზის გაფრქვევა, ტრანზიტის შეწყვეტა 5 დღის განმავლობაში


უკანასკნელი წლების განმავლობაში დაფიქსირებულია საქართველოში გაზის მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტის შემთხვევები პოლიტიკური საბოტაჟის ან ტექნოლოგიური აუცილებლობის გამო, რის შედეგად სხვადასხვა წყაროდან ქვეყნის საზღვარზე გაზის მოწოდება ავარიულად შეწყდა ან შემცირდა საერთო მოცულობის მინიმუმ 33%-ით. 2006 წლის იანვარში, რუსეთიდან გაზის მოწოდების ავარიული შეწყვეტის შემდეგ, ორი პარალელური მილსადენის აფეთქების გამო, ზამთრის ყველაზე კრიტიკულ ორკვირიან პერიოდში, ქვეყანა სერიოზული სოციალური პრობლემებისა და ეკონომიკური კატასტროფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან იმ დროისათვის რუსეთი წარმოადგენდა გაზის ერთადერთ ექსპორტიორს ადგილობრივ ბაზარზე. რუსეთიდან გაზის მოწოდების სრული მოცულობით აღდგენა შესაძლებელი გახდა საბოტაჟიდან მხოლოდ 15 დღის შემდეგ. შესაბამისად, კრიზისის პერიოდში შეიზღუდა მომხმარებელთა ძირითადი ნაწილის გაზმომარაგება. იანვრის თვის საშუალო სტატისტიკურ მოხმარებასთან შედარებით მოხმარება შემცირდა დაახლოებით 3-ჯერ, ხოლო პიკურ მოხმარებასთან შედარებით 5,7-ჯერ. პარალელურად მთლიანად შეწყდა გაზის ტრანზიტი სომხეთის მიმართულებით.

2012 წლის 14 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე დაფიქსირდა საქართველოსათვის გაზის მოწოდების დროებითი შეფერხება და კონტრაქტით შეთანხმებული მოცულობების პრაქტიკული შეწყვეტა სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან. პერიოდულად ფიქსირდება მოწოდების შეფერხებები, დაკავშირებული შაჰ-დენიზის საბადოზე გაუთვალისწინებელ ტექნოლოგიური ხასიათის უწყესივრობებთან, ან მილსადენსა და გამზომ კვანძზე პროფილაქტიკური სამუშაოების ან ტესტირების ჩატარების აუცილებლობასთან.

დღეისათვის საქართველო ფლობს საჭირო რაოდენობის გაზის მიღებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურას, რაც ორდინარულ პირობებში საკმარისი იქნება მომავალი 15-20 წლის განმავლობაშიც. ამავე დროს, როგორც ანალიზი აჩვენებს, პიკური დატვირთვების დროს მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტის შემთხვევაში, წარმოიქმნება გაზის მწვავე დეფიციტი და საფრთხე ექმნება მომხმარებელთა სათბობით უზრუნველყოფას.

იმ შემთხვევაში, თუ ზამთრის პიკური მოხმარების პირობებში მოხდება რუსეთიდან ან აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტა, წარმოქმნილი გაზის მნიშვნელოვანი დეფიციტის საკუთარი ძალებით კომპენსირების საშუალება ქვეყანას არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ზამთრის პიკური დატვირთვის დროს, წარმოქმნილი მოთხოვნის დეფიციტის

აღმოსაფხვრელად, საჭირო იქნება გარკვეული კატეგორიის მომხმარებლებისათვის შეზღუდვების შემოღება (იხ. სურ. 1).



სურ. 1. პიკური მოთხოვნა და ტექნიკური და/ან სახელშეკრულებო პირობებით გამოწვეული მოწოდების შეზღუდვა (2020 წლის პროგნოზი), მლნ მ³/დღ.

გაანგარიშებით ირკვევა, რომ შესაძლო კრიტიკულ სიტუაციებში, ქვეყნის ე.წ. "სოციალური" მომხმარებლების (მოსახლეობა და ელექტროგენერაცია) გარანტირებული უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილია დაახლოებით 120 მლნ მ³-ის, ქვეყნის უკლებლივ ყველა მომხმარებლის მომარაგებისათვის კი დაახლოებით 200 მლნ მ³ ბუნებრივი გაზის სტრატეგიული რეზერვის დამარაგება.

საქართველოში გაზის მოხმარება ზამთრისა და ზაფხულის პერიოდებში გამოკვეთილი უთანაბრობით ხასიათდება. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ელექტროენერგიის წარმოებაში თბოელექტროსადგურების მონაწილეობის აუცილებლობით მხოლოდ ზამთრის პერიოდში, როცა წყალმცირობის გამო მკვეთრად არის შემცირებული ჰიდროენერგოგენერაციის პოტენციალი. მიწისქვეშა გაზსაცავი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის დარეგულირების ქმედითი საშუალებაა.

ანალიზი აჩვენებს, რომ 2027 წლიდან, მას შემდეგ, როცა შეწყდება სკმ-დან დამატებითი გაზის მიღება, ქვეყანას წარმოეშვება ზამთრის პერიოდში დამატებით დაახლოებით 200 მლნ მ³ გაზის პერმანენტულად მიღების აუცილებლობა "სოციალური" სექტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუ ქართული მხარე მოახერხებს კონსორციუმთან შეთანხმებას დამატებითი

გაზის კონტრაქტის გაგრძელების (ან მოდიფიცირების, ან ახალი კონტრაქტის ხელმოწერის) თაობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყოველწლიურად, ზამთრის სეზონზე, დაახლოებით 200 მლნ მ³ გაზის მოწოდება, მაშინ ქვეყანა მიწისქვეშა გაზსაცავისა და “ქართული გაზის” ხარჯზე მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის “სოციალური” მომხმარებლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სავალდებულო პირობების სრული დაცვით.

ინფრასტრუქტურის სისტემური საიმედოობის ამაღლება ინტერკონექტორების გამოყენებითა და არსებული სატრანსპორტო, მათ შორის ტრანსსასაზღვრო, სისტემების ეფექტური რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის ბაზაზე, ერთი მხრივ, და ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაცია და გახსნა რეალური კონკურენციის ხელშემწყობი და მონოპოლისტური სტრუქტურების ჩამოყალიბების საწინააღმდეგო საკანონმდებლო ინიციატივების მეშვეობით, მეორე მხრივ, შეიძლება გახდეს ბუნებრივ კატასტროფებთან, პოლიტიკურ საბოტაჟთან და ტექნოლოგიურ უწყესივრობებთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შემცირების რეალური საშუალება.

სურ. 2-ზე მოცემულია საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის კრიტიკული ინფრასტრუქტურული მონაკვეთები, რომლებიც განლაგებულია რთულად მისადგომ მთიან რეგიონებში და შესაძლო ავარიის შემთხვევაში, უამინდობის დროს, გამწვანებულია მათი სწრაფი რეაბილიტაცია.



სურ. 2. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის კრიტიკული მონაკვეთები

აღნიშნულ მონაკვეთებზე, მილსადენის მთლიანობის სრულად დარღვევის შემთხვევაში, რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებამდე, გამოყენებული იქნება მილსადენში ჩარჩენილი წნევიანი გაზის რესურსი, რაც საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის უზრუნველყოფს მიწოდების დაახლოებით 1 დღით გახანგრძლივებას, რის შემდეგაც მომხმარებელთა დაცვის მიზნით საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მათი ალტერნატიული ენერგიით ან სათბობით მომარაგება, რაც მოითხოვს, აგრეთვე, დროულ და გამართულ საინფორმაციო უზრუნველყოფას.

აუცილებელია, აგრეთვე, გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ე.წ. “დაუცველი მომხმარებლების” პრაქტიკულად უწყვეტი გაზმომარაგება ნებისმიერი გონივრულად განჭვრეტადი საავარიო სიტუაციის შემთხვევაში :

- ახალი და/ან პარალელური მილსადენების მშენებლობა;
- რგოლური მიწოდების ორგანიზაცია კახეთის, სამხრეთისა და დასავლეთ საქართველოს მომხმარებლებისათვის;
- მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ძირითადი სათბობი რესურსების იმპორტზე, მიწისქვეშა გაზსაცავი წარმოადგენს ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული მოცულობების დამარაგებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ განუყოფელ ატრიბუტს. გარდა ამისა, საცავის გამოყენება საუკეთესო და ყველაზე იაფი საშუალებაა გაზის მოწოდება-მოხმარების სეზონური დისბალანსის დასარეგულირებლად. ლიბერალიზებული ბაზრის პირობებში კი, როცა მოხმარების გარკვეული სეგმენტის დაკმაყოფილება სპოტური გარიგებების საფუძველზე მიღებული გაზით ხორციელდება, გაზსაცავი იძენს კომერციული ობიექტის ფუნქციასაც და მნიშვნელოვანი დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლევა, როცა ნებისმიერ მომწოდებელს ან მომხმარებელს შეუძლია შეისყიდოს და დაასაწყობოს გაზი მისთვის სასურველ დროს და გამოიყენოს (ან გაყიდოს უფრო სარგებლად) იგი საჭიროებისამებრ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 2019-2020 წლებიდან სატრანზიტო ნაკადებისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემიდან მისაღები მოცულობების მნიშვნელოვანი ზრდა კიდევ უფრო პრობლემატურს გახდის გაზის მიღების, რაციონალური გადანაწილებისა და მოხმარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. შესაბამისად, მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა და ოპერირების დაწყება მოწოდების საიმედოობასთან დაკავშირებული

უახლოესი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტების რიგს მიეკუთვნება.

ენერგიის განახლებადი წყაროები



განახლებადი ენერგია და მისი როლი ენერგეტიკის სექტორში²⁴

განახლებადი ენერგია რამდენიმე წყაროსგან მიიღება. ესენია: მზის, ქარის, წყლის, ბიომასის, გეოთერმული, ზღვის მოქცევისა და ტალღების და ზოგიერთი სხვა ენერგია. ენერგიის გამოყენების დანიშნულებაც ფართოა და მოიცავს განათებას, გათბობობა-გაგრილებას, ტრანსპორტის სექტორს თუ სხვა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, განახლებადი ენერგიის წყაროები მსოფლიო ელექტროენერგიის მიწოდების თითქმის მეხუთედს, 17%-ს შეადგენს. დანარჩენი წილი წიაღისეულ საწვავს უკავია, თუმცა განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისება დიდი სისწრაფით იზრდება. ეს განსაკუთრებით ეხება ქარის და მზის ენერგიის გამოყენებას.

ენერგიის განახლებადი წყაროების პოპულარობას სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, პოლიტიკური და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფაქტორები განსაზღვრავს. გარდა იმისა, რომ განახლებადი ენერგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი გამოყენება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების, მოსახლეობის დასაქმებისა და ტექნოლოგიური განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ განახლებადი ენერგიის ფასი ხასიათდება კლების ტენდენციით და სავარაუდოდ ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. აღნიშნულის მიზეზი ტექნოლოგიების განვითარება და წარმოებული ენერგიის რაოდენობის (მაგალითად, ჩინეთში) ზრდაა.

²⁴ მასალა მომზადებულია მსოფლიო ბანკის ონლაინ სალექციო კურსის, „მწვანე ზრდის ხელშეწყობი ენერგეტიკული სტრატეგიები“, მიხედვით, 2014 წ.

სურ. 1. ინვესტირება განახლებად ენერგიებში²⁵




განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასა და გამოყენებაში, ბუნებრივია, ბევრი სხვადასხვა მხარეა ჩართული, მათ შორის, მთავრობა, საერთაშორისო დონორები, მომხმარებლები, ექსპერტები, ინჟინრები, მეცნიერები, საბანკო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო ბიზნესი, ადგილობრივი თემები და მუნიციპალიტეტები, მომსახურების კომპანიები და სხვა.

2011 წელს, 118 ქვეყანას უკვე ჰქონდა ეროვნულ დონეზე შემუშავებული განახლებადი ენერგეტიკის განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკა. ამ ქვეყნების უმეტესობა განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენს.

სურ. 2. განახლებადი ენერგიის შესახებ პოლიტიკის მქონე ქვეყნები.²⁶

²⁵ RENS21 (2015) 2014 წლის განახლებადი ენერგიის ანგარიში

²⁶ RENS21 (2012)



აღსანიშნავია, რომ 2005 წელს განახლებად ენერგიებთან დაკავშირებით გარკვეული ტიპის პოლიტიკა მხოლოდ 55 ქვეყანას ჰქონდა შემუშავებული.

განახლებადი ენერგიის პოლიტიკა საკმაოდ კომპლექსური და მრავალფეროვანია, და ბევრ სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს. ზოგადად შესაძლებელია 4 ძირითადი მიმართულების გამოყოფა:

1. რეგულაციები და სტანდარტები
2. ხარისხის ინსტრუმენტები
3. სახელმწიფო შესყიდვები
4. ფასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები.

აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკაში აუცილებელი და საჭირო წინაპირობაა განახლებადი ენერგიის წყაროების სრულფასოვანი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები და მსოფლიო გამოცდილება

ნინო მაღრაძე, WEG

26 სექტემბერი 2014

განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება განპირობებულია რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

1. ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების შემცირების შეუქცევადი პროცესი.

2. ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია, ნავთობსა და იმპორტირებულ ენერგიაზე დამოკიდებულების შემცირება და ამ კუთხით ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება.

3. კლიმატის ცვლილება, კიოტოს პროტოკოლი, ევროკავშირის ღირეექტივები.

სხვადასხვა ქვეყნებს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების სხვადასხვა მექანიზმი და მხარდამჭერი სქემა აქვთ. ამ სქემების წარმატება დამოკიდებულია განახლებადი ენერგიის წყაროების სპეციფიკურობაზე.


განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოება დიდი რაოდენობით ინვესტირებას მოითხოვს, შესაბამისად, ასეთი ელექტროენერგიის ღირებულება საკმაოდ ძვირია. სახელმწიფოს დახმარებით გარეშე კი მსგავსი პროექტების განხორციელება რთულია.

2030 წლისათვის განახლებადი ენერგიის სისტემებზე გადასვლა მოითხოვს 963 მილიარდი ევროს ინვესტირებას. დღეისათვის განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების ხელშემწყობი 3 ძირითადი მექანიზმი არსებობს. ესენია:

1. გარანტირებული (Feed in) ტარიფი/ Feed in დანამატი . გამოიყენება გერმანიაში, ესპანეთში, დანიაში ა.შ.
2. კვოტირება ან რაოდენობრივი მექანიზმები - საბაზრო მექანიზმები (მწვანე სერტიფიკატები). გამოიყენება საფრანგეთში, ინგლისში, ლატვიაში და ა.შ.
3. კონკურენტული აუქციონები. გამოიყენება იტალიაში, შვედეთში, ჩინეთში ა.შ.

სურ:1 მწვანე სერტიფიკატებით ვაჭრობის სისტემა²⁷

²⁷Promotion of market share for renewable energy: which mechanism can promote market share for renewable energy effectively? Vahid Behzadi Asl, 2011.



ძირითადი განსხვავება გარანტირებული ტარიფს/გარანტირებული პრემიუმს და კონკურენტულ აუქციონებს შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში ელექტროენერგიის მოცულობას განსაზღვრავენ ბაზრის მონაწილეები, ხოლო ფასი მთლიანად ან ნაწილობრივ დაწესებულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ. მეორე შემთხვევაში ელექტროენერგიის მოცულობა განისაზღვრება მარეგულირებლის მიერ, ფასი კი განისაზღვრება ბაზრის მონაწილეებს შორის კონკურენციის საფუძველზე.

რეგულირების სხვა მექანიზმებს წარმოადგენენ განახლებადი ენერგიის გადასახადი (Renewable Energy Charge), რომელსაც იხდიან მომხმარებლები მოხმარებული ენერგიის პროპორციულად, თითოეულ კილოვატ საათზე, და წარმოშობის გარანტია (Guarantee of Origin). 2011 წელს ევროპაში მოხმარებული განახლებადი ენერგიის 33% დოკუმენტირებული იყო წარმოშობის გარანტიით, ხოლო მათი რეალიზაციის ძირითადი ბაზრები იყვნენ გერმანია, შვედეთი, ბელგია, ნორვეგია და ჰოლანდია.

აუქციონების ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ მასზე თავმოყრილია შეთავაზებების დიდი რაოდენობა და პროექტები შეირჩევა ფასის შესაბამისად. ფასები და მთელი პროცედურა გამჭვირვალეა.


ცხრილი 1. ხელშემწყობი მექანიზმების ძლიერი და სუსტი მხარეები

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
გარანტირებული ტარიფი	-ნაკლები რისკი ინვესტორებისთვის; -ბაზრის ახალი მოთამაშეები; -უმეტესად დაფინანსებულია მომხმარებლების მიერ და არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. -სექტორის განვითარება გრძელვადიანი ინვესტიციებით.	-მაღალი ფასი; -ფასის განსაზღვრის კომპლექსურობა და სირთულე; -საბაზრო ფასებთან შეუსაბამობა.
გარანტირებული დანამატი	-ნაკლები რისკი ინვესტორებისთვის; - ფიქსირებული; - ლიბერალურ ბაზრებს ადვილად მორგებული; - მოქნილი ბაზრის ცვლილებების მიმართ.	- პროექტის კომპლექსურობა; - floor price-არარსებობასთან ასოცირებული რისკი.
აუქციონი	- მაღალი ეფექტურობა ფასების კონკურენციის გამო. - კონკურენტული ფასის დაწესების სასარგებლო ინსტრუმენტი. - გრძელვადიანი ინვესტირების უსაფრთხოება. -განახლებადი ენერგიის მიწოდების პროგნოზირების ზრდა	- ბაზრის განვითარების წყვეტილობა; - აუქციონის ვერ მოგების რისკი; - მაღალი ადმინისტრაციული დანახარჯები - ჯარიმები.

2013 წლისთვის 64 ქვეყანას უკვე ჰქონდა მიღებული გარანტირებული ტარიფის ან გარანტირებული დანამატი ს სისტემა. ეს სისტემები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება განვითარებად ქვეყნებში.


სურ. 2 იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს გარანტირებული ტარიფის ან გარანტირებული დანამატი ს სისტემა²⁸

²⁸ International Renewable Energy Agency. Re-thinking 2014.



განახლებადი ენერგიების გამოყენება განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების გლობალურ გავრცელებას. 2013 წლისთვის განახლებადი ენერგიის ახალმა ტექნოლოგიებმა და დანადგარებმა OECD ფარგლებს გარეთ პირველად გადააჭარბა OECD შიგნით არსებულ დანადგარებს, ეს მოხდა ძირითადად ჩინეთის ხარჯზე, რომელიც აქტიურად ავითარებს მზისა და ქარის ენერგეტიკას.


სურ. 3 განახლებადი ენერგია როგორც დამატებითი სიმძლავრის ნაწილი²⁹



განახლებადი ენერგიის ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა გარკვეულწილად განპირობებულია ამ ტექნოლოგიებზე ფასის კლების ტენდენციით. როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, განახლებადი ენერგია, ხშირ შემთხვევაში, კონკურენციას უწევს ტრადიციულ ენერგიას და უმეტეს შემთხვევაში უფრო იაფიც გამოდის. ბაზრების გაფართოებასთან ერთად სავარაუდოა ფასის შემდგომი კლება.

²⁹ Analysis of the success of feed-in tariff for renewable energy promotion mechanism in the EU: lessons from Germany and Spain, 2012

სურ.4 განახლებადი ენერგია ტექნოლოგიების მიხედვით.



განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები თანდათან უფრო ეფექტური და გამართული ხდება, და ხასიათდება შესაძლებლობით, აწარმოოს ენერგია მზის დაბალი გამოსხივებისა და ქარის დაბალი სიჩქარის პერიოდშიც. ასევე სწრაფად ვითარდება ენერგიის შენახვის ტექნოლოგიები.

განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებაში ლიდერად გვევლინება გერმანია, რომელიც პირველ ადგილზეა ქარის ენერგიის და მეორეზე - მზის ენერგიის წარმოების კუთხით. ასეთი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი გარანტირებული „feed in“ ტარიფის სქემის მოქმედებაა.

ცხრილი2. გარანტირებული ტარიფი (FIT) გერმანიაში

FIT გერმანია	€ cent/kWh
ჰიდრო	
<500 kW	7,67
500 kW- დან 5 MW-მდე	6,65
ქარი	7,9
მზე	31,9
ბიომასა	
<500 kW	9,3
500 kW- დან 5 MW- მდე	8,3
5 MW -დან 20 MW- მდე	7,9

წარმატებულია ასევე ესპანეთის მაგალითი, სადაც ფუნქციონირებს გარანტირებული დანამატი „feed in premium“ სისტემაზე დაფუძნებული მარეგულირებელი ჩარჩო.

ცხრილი. 3 გარანტირებული დანამატი (FIP) ესპანეთში

FIP ესპანეთი	€ cent/kWh		
	საბაზისო	ზედა ლიმიტი	ქვედა ლიმიტი
ქარი			
<=5 MWh	2,929	8,494	7,127
<=5 MWh (ოფშორული)	8,43	16,4	
მზე	25,4	34,397	25,403
ბიომასა			
ენერგეტიკული მცენარეები	11,529	16,63	15,41
ტყის და სოფლის მეურნეობის ნარჩენები	8,211	13,31	12,09

იმისათვის, რომ ხელშემწყობი მექანიზმები იყოს ეფექტური, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

1. ხელშემწყობმა მექანიზმებმა უნდა გაზარდონ მოთხოვნა მწვანე ენერგიაზე.
2. მათ უნდა ჰქონდეთ გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობა.
3. განახლებადი ენერგიის წყაროებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა ქსელზე.
4. ხელშეწყობი მექანიზმები დროდადრო ლიმიტირებული უნდა იყოს.
5. საჭიროა მექანიზმების დივერსიფიკაცია ტექნოლოგიების მხედვით.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ საჭიროა განახლებადი ენერგია იყოს შეზღუდული, რომ არ მოხდეს ჭარბი წარმოება და არ შეიქმნას ფინანსური პრობლემები მომავალში.

განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები სუფთა ენერგიის წარმოების ტექნოლოგიებია, რაც ამავდროულად ზრდის დასაქმების დონეს და მშპ-ს მაჩვენებელს. იგი ასევე ხელს უწყობს ახალი ინდუსტრიული სექტორის განვითარებას კვლევებსა და ინოვაციებში ინვესტირების გზით.

საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას - 2008 წლიდან ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „განახლებადი ენერგია 2008“ რომელიც მიღებულ იქნა 18.04.2008 და 21.08.2013-ში.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც განხორციელებულია საქართველოში არის ენერგო კრედიტი. ის დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ინვესტიციის რაოდენობის 10-15% სესხი, რომელსაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და მისი დონორები სთავაზობენ. თანხის მთლიანი რაოდენობა მთელ რეგიონში შეადგენს 100 მლნ დოლარს. პროექტი მთავრდება 2016 წელს.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- განახლებადი ენერგიების განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების ნაკლებობა (კერძოდ, მზის, ქარის, ბიომასის ენერგია);
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა;
- ინვესტორებისათვის მეტი გარანტიის მიცემის აუცილებლობა;
- არსებული მემორანდუმების პირობებში ელექტროენერგიით ვაჭრობის ახალ მოდელზე გადასვლის პრობლემები. გაურკვეველია, როგორ იმუშავებს ჰიდროსადგურების არსებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები და ვინ იქნება ესკოს მემკვიდრე ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის შესყიდვისას.

- არასტაბილურობა ჰიდროლოგიური და სხვა მიზეზებით- დაგეგმილი ექსპორტის შეუსრულებლობის რისკი.

იმისათვის, რომ განახლებადი ენერგია უფრო განვითარდეს იყოს საქართველოში, საჭიროა:

- სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ინვესტორებისათვის ელექტროენერგიის გაყიდვის მეტი გარანტიის მიცემა;
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროცედურები;
- სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებისა და ინვესტორების კოორდინირებული მუშაობა;
- განახლებადი ენერგიის დარგში კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

ენერგიის განახლებადი წყაროები-ევროკავშირის დირექტივა და საქართველოს პოლიტიკა

გიორგი მუხიგულიშვილი, WEG

26 სექტემბერი, 2014

ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა როგორც გარემოსდაცვითი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. განახლებადი ენერგიის განვითარება ხელს უწყობს კიოტოს პროტოკოლით განსაზღვრული მიზნების შესრულებას და, ამავდროულად, შესაძლებელს ხდის სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური უპირატესობით სარგებლობას, ისეთებით, როგორიცაა: ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია, დასაქმება, რეგიონული განვითარება და ა.შ.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დოკუმენტის პრეამბულაში მითითებულია რომ მხარეები „ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ ენერგოეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას“, განახლებადი ენერგიების კონტექსტში კი მთავარი აქცენტი კეთდება ჰიდრო რესურსების გამოყენებაზე და ამ სფეროში ორმხრივი და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს ენერგეტიკის სექტორში. განახლებადი ენერგიის გამოყენების კუთხით მოქმედებს **2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/28/EC ენერგიის განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ.**

დირექტივა აყალიბებს ძირითად პრინციპებსა და მიზანს, რომელიც საქართველომ კონკრეტულ ვადებში უნდა განახორციელოს. დირექტივის მიხედვით, ქვეყანა ვალდებულია განსაზღვროს განახლებადი ენერგიების სამიზნე წილი მთლიან ენერგეტიკულ მოხმარებაში, რომელსაც მიაღწევს 2020 წელს.

ქვეყანა ასევე ვალდებულია 2020 წლისთვის ტრანსპორტის სექტორის მთლიან ენერგომოხმარებაში უზრუნველყოს სულ ცოტა 10% განახლებადი ენერგიების წილი. უნდა შეიქმნას ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც დაფიქსირებული იქნება განახლებადი ენერგიების სამიზნე რაოდენობა/წილი 2020 წლის მთლიან ენერგომოხმარებაში, მათ შორის ტრანსპორტის სექტორის ენერგომოხმარებაში, და ელექტროენერგიისა და სითბოს მთლიან წარმოებაში. სამოქმედო გეგმაში გაწერილი უნდა იყოს განახლებადი ენერგიების ხელშეწყობის მექანიზმები.

დირექტივის მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის და გათბობა-გაგრილებისთვის წარმოებული ენერგიის წარმომადგენლობის შესახებ რათა მომხმარებლებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მოხმარებული ენერგიის წყაროების შესახებ. ამ ყველაფრის განსახორციელებლად კი ქვეყანამ უნდა შექმნას საჭირო ინფრასტრუქტურა, ასევე ქვეყნის სამშენებლო კოდექსში გაითვალისწინოს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შენობებში განახლებადი ენერგიების მოხმარების ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა რთული და შრომატევადი პროცესია, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სრულად ჩამოყალიბებული მარეგულირებელი ბაზა. უფრო კონკრეტულად თუ განვიხილავთ საქართველოს პოლიტიკას და კანონმდებლობას 2009/28/EC დირექტივასთან მიმართებით, უნდა გამოიკვეთოს შემდეგი გარემოებები:

1. საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს კანონი განახლებადი ენერგიის შესახებ, რომელიც დაარეგულირებდა და ხელს შეუწყობდა ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებას.
 2. არ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია საქართველოში განახლებადი ენერგიების პოტენციალის შესახებ, რაც პრობლემას ქმნის 2020 წლისათვის ქვეყნის მთლიან ენერგომომხმარებაში განახლებადი ენერგიების წილის შეფასებისას.
 3. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „თელასი“) არსებობა, რომლებიც ფლობენ, როგორც განაწილების ქსელს, ასევე გენერაციის ობიექტებს და ამავდროულად მიმწოდებლებიც არიან, ართულებს დამოუკიდებელი განახლებადი ენერგიის გენერაციის ობიექტების განვითარებას. ყოველივე ამას ემატება სახელმწიფოსა და ამ კომპანიებს შორის დადებული გრძელვადიანი მემორანდუმები.
 4. ენერგოგანაწილების ქსელებთან მიერთების შედარებით რთული ადმინისტრაციული პროცედურები და საფასური ხელს უშლის მცირე სიმძლავრის განახლებადი გენერაციის ობიექტების განვითარებას.
- „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ში განახლებად ენერგიებთან მიმართებით აღნიშნულია, რომ „მთავრობა გეგმავს შექმნას ეფექტიანი მექანიზმი საჯარო-კერძო პარტნიორობისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის და

ჰიდროენერგეტიკულ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვისთვის“. სტრატეგიაში ასევე ნახსენებია, რომ „გარდა ჰიდრორესურსებისა, ქვეყანაში საკმაოდ დიდია ქარისა და მზის ენერგიების პოტენციალი. არსებობს გეოთერმული წყლების მარაგები, რისი საშუალებითაც შესაძლებელია ძვირადღირებული ენერგოშემცველი პროდუქტის იმპორტის შემცირება. ამასთან, ჰიდრორესურსების ათვისება, მისი სეზონური ხასიათიდან გამომდინარე, ჭარბი ენერგიისთვის საექსპორტო ბაზრების და რეგიონალური ვაჭრობის მაქსიმალურად განვითარებას მოითხოვს“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგიების განვითარებას არა მხოლოდ მიწოდების სექტორში, არამედ მოხმარების სექტორშიც, და მართლ ჰიდრორესურსებზე კონცენტრირებით, არამედ სხვა წყაროების გათვალისწინებითაც. საქართველოსთვის, რომელიც ევროპულ გზას ადგას, მნიშვნელოვანია დირექტივის მოთხოვნების შესრულება და პრაქტიკული განხორციელება, რაც პირველ რიგში სასარგებლო იქნება ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისათვის.

ენერგოეფექტურობა



ენერგოეფექტურობა და მისი მნიშვნელობა³⁰

სწრაფი ეკონომიკური ზრდის შედეგად, ბოლო 20 წლის განმავლობაში, განვითარებად ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 80%-ით გაიზარდა. ცხოვრების სტანდარტები გაუმჯობესდა დაახლოებით 500 მილიონი მოსახლისთვის. სიღარიბისგან თავის დაღწევის შედეგად, გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე, შემცირდა სიკვდილიანობა ბავშვებში და შესაძლებელი გახდა ცხოვრების უკეთესი პირობების მიღწევა.

³⁰ მასალა მომზადებულია მსოფლიო ბანკის ონლაინ სალექიო კურსის, „მწვანე ზრდის ხელშეწყობი ენერგეტიკული სტრატეგიები“, მიხედვით, 2014 წ.

დღეს უკვე აქტუალური ხდება კითხვა, შეუძლია თუ არა ჩვენს პლანეტას გამოკვების 9 მილიარდამდე ადამიანი და გაუმკლავდეს მათ მიერ წარმოებულ ნარჩენებს ისე, რომ არ დაირღვეს მდგრადი განვითარების პრინციპები. სულ უფრო და უფრო მეტი კითხვა ჩნდება კლიმატის ცვლილებასთან, ეკოსისტემების დეგრადაციასა და ბიომრავალფეროვნების პრობლემებთან დაკავშირებით.

სწორედ ამ საკითხების გამო ხდება მნიშვნელოვანი ისეთი ახალი შეხედულებების ჩამოყალიბება და განვითარება, როგორიცაა „მწვანე განვითარება“, „მწვანე ზრდა“, „მწვანე ეკონომიკა“.

„მწვანე ზრდა“, ეს არის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით და მათ ინტეგრირება. ენერგეტიკის სექტორთან მიმართებით ეს პროცესები გულისხმობს ფოკუსირებას კლიმატის ცვლილების შერბილებაზე და დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობას.

აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ენერგოეფექტურობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ენერგიაზე მოთხოვნა გაიზრდება წლიურად საშუალოდ 2%-ით. ეს ზრდა ძირითადად მოხდება განვითარებადი ქვეყნების, ჩინეთის და ინდოეთის ხარჯზე. თუმცა, არსებულ ტექნოლოგიებში მომგებიან ინვესტიციებს შეუძლიათ ამ ზრდის შემცირება - 0.7%-მდე, რაც ნიშნავს დღიურად 64 მლნ. ბარელი ნავთობის ეკვივალენტის დაზოგვას. ენერგოდაზოგვის მიღწევა შესაძლებელია, როგორ კომერციულ, ასევე საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტის სექტორში.

მაშინ რატომ არ არის ათვისებული ეს შესაძლებლობები? რა უშლის ხელს ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვას და განხორციელებას? რატომ არ ხდება ენერგოდაზოგვის არსებული პოტენციალის გამოაყენება? ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. ესენია: ბაზრის სისუსტე (Market Failure), ქცევითი ბარიერები (Behavioral Barriers), და მთავრობის სისუსტე (Government Failure) და სახელმწიფოს როლი ამ ყველაფერში.

ბაზრის ხარვეზი სხვა მიზეზებთან ერთად, დაკავშირებულია გარეგან ფაქტორებთან და არასრულფასოვან ინფორმაციასთან. ეს გარეგანი ფაქტორები შეიძლება იყოს, მაგალითად, სათბური გაზების ემისია, ჰაერისა და წყლის დაბინძურება. სანამ ენერგიის მოხმარებისთვის დაწესებულ ტარიფებში ეს გარეგანი ფაქტორები არ იქნება გათვალისწინებული, ენერგიის მოხმარების

სრული ღირებულება არ იქნება სწორად დადგენილი ბაზრის ხარვეზია ასევე შენობებთან დაკავშირებული ფაქტორები, როდესაც ენერგეტიკული საკითხები წყდება ინვესტორებისა და მშენებლების მიერ იმ ადამიანების მონაწილეობის გარეშე, ვინც შემდგომში უნდა დაესაკუთროს ამ შენობებსა და საცხოვრებელ ზონებს. განსხვავებული ინტერესები კი საბოლოო ჯამში ცუდად მოქმედებს ენერგოეფექტურობის საკითხებზე. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია მთავრობის როლი, რომელსაც შეუძლია საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოს ბაზრის მონაწილეები. ამ შემთხვევაში ეს არის ფასილიტატორის- დამხმარე როლი. მთავრობამ მოსახლეობა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციით ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შესახებ, თუ რამდენის დაზოგვა შეუძლიათ მათ სხვადასხვა გზით.

ქცევითი ბარიერები უკავშირდება ე.წ. „ენერგოეფექტურობის პარადოქსს“ და ენერგოეფექტურობის, როგორც რისკის, აღქმას. ამ შემთხვევაში ენერგოეფექტურობაში ინვესტირება აღიქმება როგორც სარისკო ნაბიჯი.

მთავრობის ხარვეზი კი უკავშირდება მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და პოლიტიკას. მაგალითად, ხშირად მთავრობები ენერგიაზე აწესებენ დაბალ ტარიფებს და ამით ახდენენ წიაღისეული საწვავის სუბსიდირებას. ეს, რა თქმა უნდა, ენერგოეფექტურობის საპირისპიროდ მოქმედებს და არანაირ შედეგს არ იძლევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია პოლიტიკის სწორად შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი.

ენერგოეფექტურობის პოლიტიკის შემუშავების ამოსავალი წერტილია მიზნების დასახვა. ეს მიზნები შეიძლება შემუშავებულ იქნას ეროვნულ, ადგილობრივ, თუ სექტორულ დონეზე. მიზანი შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ ციფრებს - დაზოგვის მაჩვენებლებს. მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან შეიძლება გამოყოფილი იქნას შემდეგი:

- ინფორმირებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების ღონისძიებები - ნიშანდობა (მარკირება), საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, სწავლება და ტრენინგები.
- მარეგულირებელი ინსტრუმენტები - სტანდარტები, ენერგოაუდიტი, ანგარიშგება, სამშენებლო კოდექსები, ენერგოეფექტურობის გეგმები და ა.შ.
- საბაზრო ინსტრუმენტები - ფასის ინსტრუმენტები (ეკონომიკური, ფისკალური, გაფრქვევების გადასახადი), რაოდენობრივი ინსტრუმენტები, შესყიდვების სტანდარტები და კვოტები.

ენერგოეფექტურობა - ევროპული დირექტივები და საქართველოს კანონმდებლობა³¹

თუთანა კვარაცხელია, მურმან მარგველაშვილი, WEG
29 მაისი, 2015



ყველაზე მოკლე და მარტივი განმარტებით, ენერგოეფექტურობა ნიშნავს ნაკლები რაოდენობის ენერგიის მოხმარებას კონკრეტული სერვისისათვის. მაგალითად, ფლუორესცენტული ნათურა უფრო ენერგოეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი ვარვარა ნათურა, რადგან იმავე რაოდენობის სინათლის მისაღებად ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს. მსგავსად ამისა, ენერგოეფექტური ღუმელი სახლის გასათბობად მოიხმარს ნაკლებ საწვავს, ვიდრე ჩვეულებრივი ღუმელი, გამოყოფილი სითბო კი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტირება მნიშვნელოვანი რაოდენობის ენერგიის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა, ეს დაზოგილი ენერგია შეიძლება აჭარბებს ბევრი სადგურის მიერ წარმოებული ენერგიის რაოდენობასაც. ენერგოეფექტურობა წამყვან როლს თამაშობს წიაღისეული საწვავის ჩანაცვლებისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ენერგოეფექტურობის სარგებელი 5 ძირითად პუნქტში შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ენერგოეფექტურობა გვეხმარება ფულის დაზოგვაში;
2. შეაქვს წვლილი ეკონომიკის განვითარებაში;
3. არის გარემოსათვის სასარგებლო;
4. ხელს უწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას;
5. აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ენერგოეფექტურობის ღონისძიებები ზოგავს მომხმარებლის ფინანსურ რესურსებს, ამცირებს რა მოხმარებული ენერგიის რაოდენობას და შესაბამისად, ამ ენერგიის ჯამურ ღირებულებას. ამავედროულად, ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და

³¹ დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ „მწვანე ალტერნატივის“ პროექტის ფარგლებში.

მიღებული დანაზოგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თავისი წვლილი შეაქვს ასევე სამუშაო ადგილების შექმნაში და წარმოადგენს ინოვაციების განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან საფუძველს, რადგან თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის წინაპირობა აქამდე არარსებული ტექნოლოგიების შექმნა და განვითარებაა.

ენერგოეფექტურობაში ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გარემოს დაცვას უკავშირდება. დაზოგილი ენერგია გარემოს დაბინძურების შემცირების წინაპირობაა, რადგან, როგორც ცნობილია, წიაღისეული ენერგეტიკული რესურსის გამოყენებას თან ახლავს მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (სათბური გაზების ემისია) როგორც საყოფაცხოვრებო და კომერციულ, ასევე ტრანსპორტის სექტორში. ენერგოეფექტურობა ზრდის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონესაც, ამცირებს რა გარე დამოკიდებულებას იმპორტირებულ ენერგიაზე და ბოლოს, კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, ენერგოეფექტურობა აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გამო ენერგოეფექტურობას განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. საერთაშორისო დონეზე პრიორიტეტულია გარემოსდაცვითი საკითხები და სათბური გაზების ემისიის შემცირება, რაც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდება. საქართველოსთვის ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ევროკავშირის დირექტივები, რომელთა განხორციელებაც სავალდებულოა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. ეს დირექტივებია:

- 2006 წლის 5 აპრილის დირექტივა 2006/32/EC ენერგიის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობისა და ენერგომომსახურებების შესახებ;
- 2010 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა 2010/31/EU შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ;
- 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა 2012/27/EU ენერგოეფექტურობის შესახებ.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

2006/32/EC ენერგიის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობისა და ენერგომომსახურებების შესახებ დირექტივის მიზანია ენერგიის საბოლოო მოხმარება გახადოს უფრო ეკონომიური და ეფექტური, ამისათვის დირექტივა მოუწოდებს სახელმწიფოებს, შეიმუშაონ ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლები და წამახალისებელი სისტემები, ასევე - დააწესონ ინსტიტუციური, ფინანსური და საკანონმდებლო ჩარჩოები, რომლებიც

აღმოფხვრის ბაზარზე არსებულ ბარიერებსა და ნაკლოვანებებს და ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის განვითარებას.

დირექტივა, ძირითადად, ეხება ენერგიის განაწილებას და საცალო ვაჭრობას. ძირითადი სამიზნე მაჩვენებელი არის ეროვნული ენერგოეფექტურობის გეგმების (NEEAP)³² ფარგლებში, შესაბამისი მეთოდოლოგიით დათვლილი ენერგომოხმარების შემცირების მაჩვენებელი შესაბამისი წლისათვის. ამ მიზნის განხორციელებაში დირექტივა განსაკუთრებულ როლს აკისრებს სახელმწიფო ორგანიზაციებს და სამთავრობო შესყიდვებს. სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ შემდეგ ღონისძიებებს:

- ენერგოდაზოგვის ხელშეწყობისათვის ფინანსური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიისა და სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა;
- ენერგოეფექტური პროდუქტის შესყიდვა.

ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან დამოუკიდებელი საჯარო სამსახური ან სააგენტო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესს. ქვეყანამ, ასევე, უნდა დააკისროს ენერგიის გამანაწილებელ, სისტემის ოპერატორებსა და საცალო მოვაჭრეებს პასუხისმგებლობა, საკუთარ მომხმარებლებს მიაწოდონ ინფორმაცია ენერგიის დაზოგვის პროგრამების შესახებ. თითოეული მომხმარებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური მრიცხველით და მიეწოდებოდეს ინფორმაციული სამომხმარებლო ქვითარი, რომელიც, გარდა არსებული მოხმარებისა და ტარიფისა, ასახავს სხვაობას წინა წლის იმავე პერიოდის მოხმარებასა და ტარიფთან, ასევე - ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაციას, რომლისგანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შესახებ.

ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი დირექტივა 2010/31/EU ეხება შენობების ენერგოეფექტურობას. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ შენობები მოიხმარენ ყველაზე მეტ ენერგიას ვიდრე გლობალური ეკონომიკის სხვა სექტორები. ევროკავშირის მასშტაბით, შენობების მიერ ენერგიის მოხმარება მთლიანი ენერგიის მოხმარების 40%-ია. შესაბამისად, ამ სექტორში ენერგომოხმარების შემცირება უმნიშვნელოვნეს როლს ასრულებს ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის მიზნის

³² National Energy Efficiency Action Plan - ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა

მიღწევაში, რაც 2020 წლისათვის ენერგიის მოხმარების 20%-ით შემცირებას გულისხმობს.

დირექტივის მიხედვით, წევრმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ შენობების ენერგეტიკული მაჩვენებლების დადგენის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა კატეგორიის შენობისათვის შემუშავდება მინიმალური მოთხოვნები. ამ მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: შენობების თბური მახასიათებლები, გათბობის იზოლაცია და ცხელწყალმომარაგება, კონდიციონერების სისტემის მონტაჟი, ინტეგრირებული განათების მოწყობა, კლიმატური პირობები და ა.შ. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით კი ქვეყნებმა უნდა დაადგინონ შენობების მინიმალური ენერგეტიკული მოთხოვნები, რომლებიც ყოველ 5 წელიწადში გადაიხედება. მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს ძველი და ახალი შენობების და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ეს მოთხოვნები არ ეხება შენობების ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა, ისტორიული შენობები, რელიგიური დანიშნულების შენობები, დროებითი საცხოვრებლები და ა.შ.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის ყველა ახალი შენობა უნდა აკმაყოფილებდეს შენობების მიერ თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების პირობებს. ხოლო შენობები, რომლებიც საჯარო სექტორს უკავია ამ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს უკვე 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. ასევე უნდა შეიქმნას შენობების სერტიფიცირების სისტემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შენობის ენერგეტიკული მაჩვენებლების შესახებ, მათი გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. შენობის ნაწილის გაყიდვის ან გაქირავებისას ენერგეტიკული მაჩვენებლების სერტიფიკატი წარმოდგენილ უნდა იქნას დამქირავებლისათვის/მყიდველისათვის და სარეკლამო განაცხადში.

დირექტივის მოთხოვნების განხორციელების ერთერთი აუცილებელი პირობაა ეროვნულ დონეზე სამშენებლო კოდექსების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიული ქვეყნების ძირითადმა ნაწილმა სამშენებლო კოდექსი 1970–იან წლებში მიიღო და მას შემდეგ ამ დოკუმენტებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კოდექსების ამოქმედებიდან დღემდე შენობების ენერგოეფექტურობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში 60%-ით გაუმჯობესდა. განვითარებადმა ქვეყნებმა სამშენებლო კოდექსების შემუშავება 1990–იან წლებში დაიწყეს, თუმცა ეკონომიკური და ინსტიტუციური ბარიერები ამ პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენდა. სამშენებლო სექტორის შეუდარებლად დიდი მოცულობისა და ენერგოეფექტურობის დიდი პოტენციალის გამო სამშენებლო კოდექსები

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. არსებული ტექნოლოგიები უკვე იძლევა საშუალებას 2030 წლისათვის შენობების მიერ მოხმარებული ენერგია შემცირდეს 30%-ით³³. ენერგოდაზოგვის პოტენციური განსაკუთრებით მაღალია განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

ყველაზე ახალი დირექტივა ენერგოეფექტურობასთან მიმართებით არის 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2012/27/EU ენერგოეფექტურობის შესახებ. აღნიშნულმა დირექტივამ დროთა განმავლობაში უნდა ჩაანაცვლოს ზემოთ განხილული 2006/32/EC დირექტივა. დირექტივის მიზანია ენერგიის მოხმარების ეფექტურობის გაზრდა ენერგეტიკული ჯაჭვის ყველა რგოლზე, წარმოებიდან მოხმარებამდე.

დირექტივა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ენერგიის მოხმარების კუთხით მსოფლიო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ეს ეხება, ერთი მხრივ, გარე დამოკიდებულებას იმპორტირებულ ენერგიაზე, რასაც თავისი უარყოფითი მხარეები გააჩნია და, მეორე მხრივ, კლიმატის ცვილებას და მასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ პრობლემებს. ძველმა დირექტივამ სათანადოდ ვერ შეასრულა დასახული მიზანი და საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებების შემუშავება, რათა 2020 წლისათვის ევროკავშირის მასშტაბით ენერგომოხმარების 20%-ით შემცირების მიზანი მიღწეულ-იქნას. ახალი დირექტივა არჩევანის საშუალებას იძლევა 2020 წლისათვის ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები განისაზღვროს პირველადი ენერგიის მოხმარების ან საბოლოო ენერგიის მოხმარების მაჩვენებელთან მიმართებით.

ახალი დირექტივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენერგოაუდიტის სისტემის გამართვას და საჯარო სექტორს, როგორც საზოგადოებისათვის მაგალითის მიმცემს. საჯარო სექტორს ენერგოეფექტურობის შენარჩუნების მიზნით ეკისრება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესყიდვის და დაწესებულებების პერიოდული განახლების ვალდებულება. ასევე, ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, მოახდინონ საყოფაცხოვრებო, მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოაუდიტის ჩატარებისათვის სტიმულირების მექანიზმების გაძლიერება. შინამეურნეობებისათვის უნდა შეიქმნას საკონსულტაციო პროგრამები ენერგოაუდიტის სარგებლიანობისა და შესაბამისი მომსახურებების გაწევის შესახებ. უნდა შემუშავდეს პროგრამები კვალიფიციური ენერგოაუდიტორების მოსამზადებლად. დიდ საწარმოებს ევალებათ ენერგოაუდიტი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ აწარმოონ.

³³ მსოფლიო ბანკი, მწვანე ზრდის ხელშეწყობი ენერგეტიკული სტრატეგიები, სალექციო კურსი, 2014 წ.

საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაში არ აქვს ჩადებული აღნიშნული დირექტივების განხორციელების კონკრეტული ვადები, ვადა უნდა განისაზღვროს ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების მოლაპარაკებების ფარგლებში, ან თუ ორი წლის განმავლობაში გაწევრიანება არ მოხდა, მაშინ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან მესამე წელს ახალი ვადა უნდა წარედგინოს ასოცირების საბჭოს.

საინტერესოა, რა ვითარებაა ენერგოეფექტურობის მხარდაჭერის სახელმწიფო ღონისძიებების მხრივ ქვეყანაში და რა კონკრეტულ ბარიერებს წააწყდება საქართველო მომავალში ევროკავშირის მოცემული დირექტივების მოთხოვნების შესრულების კუთხით?

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთერთი გამონაკლისი ქვეყანაა სადაც არ არსებობს ენერგოეფექტურობის კანონი ან ერთიანი კანონი ენერგიის შესახებ, რომელიც კომპლექსურად დაარეგულირებდა აღნიშნულ საკითხს. 2008 წელს ანალიტიკური ცენტრის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG) ორგანიზებით შემუშავებული კანონპროექტი ენერგოეფექტურობის შესახებ მთავრობამ არ მიიღო. უშედეგოდ დასრულდა ასევე ეკონომიკის სამინისტროს მუშაობა სამშენებლო კოდექსში ენერგოეფექტურობის გასათვალისწინებლად. ენერგეტიკის სექტორის ძირითად მარეგულირებელ კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ ნათქვამია, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს მოხმარების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებათა ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია, თუმცა არ არის განმარტებული ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა.

2014 წელს შემუშავებულ ენერგეტიკული პოლიტიკის წინასწარ დოკუმენტში - „საქართველოში ენერგოეფექტურობის ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება“ - ენერგოეფექტურობა ენერგოპოლიტიკის ერთერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის კუთხით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ში კი აღნიშნულია, რომ „ქვეყნისთვის, ენერგორესურსების დაზოგვის მიზნით, ხელი შეეწყობა ენერგოეფექტურობის ზრდას და მისი უზრუნველყოფისთვის, შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებას საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისად“. თუმცა, ეს ყველაფერი საკითხის მხოლოდ ფორმალურ ნაწილს წარმოადგენს და დირექტივების მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა კონკრეტული პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება.

საქართველოს აქამდე არ შეუმუშავებია ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები და სამოქმედო გეგმა. თუმცა, რვა დიდი ქალაქი³⁴, მათ შორის თბილისიც, გახდა მერების შეთანხმების³⁵ ხელმძღვრე. მერების შეთანხმებით ქალაქის მერია იღებს ფორმალურ ვალდებულებას შეამციროს CO₂-ის გაფრქვევები ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გამოყენებით, ამისათვის კი შეიმუშავებს მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმას (SEAP). აღსანიშნავია, რომ ეს გეგმა ჯერ მხოლოდ ოთხ ქალაქს აქვს (თბილისი, ბათუმი, გორი, რუსთავი) რადგან არ არის განსაზღვრული დაფინანსების წყაროები და, შეზღუდული ბიუჯეტების პირობებში, ძირითად წყაროდ დონორული დაფინანსება განიხილება.

საქართველოში, პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებენ კვალიფიციური ენერგომომსახურების კომპანიები, არ არსებობს მათი ხელშეწყობის ფინანსური და სხვა მექანიზმები. არ არსებობს, ასევე, ენერგოაუდიტის სისტემა და არ არის შემუშავებული ფორმალური დოკუმენტი, რომელიც შენობებში ენერგოაუდიტის პროცედურებს დაარეგულირებდა.

ენერგოეფექტურობის დანერგვა, ძირითადად, სტიქიურად, მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით ხორციელდება. პრაქტიკაში შემოდის შენობების დათბუნება, ენერგოეფექტური ნათურების და სხვა საყოფაცხოვრებო მოწყობილობების გამოყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის და სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე ეს პროცესი ძალიან ნელა ვითარდება.

ელექტროენერგიის მომხმარებლების ინდივიდუალური გამრიცხველიანება წლებია მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელია. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ინდივიდუალური მრიცხველის არმქონე აბონენტების სტატისტიკა შემდეგია: სს „თელასი“ – 8,9%; სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ – 8,8%; სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ – 18%.

ენერგოეფექტურობის წამახალისებლად შეიძლება ჩავთვალოთ ასევე 2006 წელს ელექტროენერგიაზე საფეხურებრივი ტარიფის შემოღება, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ტარიფის რეალური ღირებულება თითქმის განახევრდა და ენერგოეფექტურობის წახალისების მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ

³⁴ თბილისი(2010), ბათუმი(2011), რუსთავი(2011), ქუთაისი(2011), გორი(2012), ფოთი(2012), ზუგდიდი(2013) და თელავი(2014) - www.eumayors.eu

³⁵ მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე.

მოსახლეობის უკიდურესად ღარიბი სეგმენტისათვის. თუ მთავრობა უარს იტყვის ტარიფების სუბსიდირების მავნე პრაქტიკაზე, ენერგომოხმარების და იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში, მოსალოდნელია ელექტროენერგიის ტარიფების მნიშვნელოვანი ზრდაც, რაც შეიძლება მძიმე ეკონომიკურ ტვირთად დააწვეს მოსახლეობას. სწორედ ასეთ დროს იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენერგოეფექტურობის არსებული პოტენციალის ათვისება.

რაც შეეხება შენობების ენერგოეფექტურობის საკითხს, აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებს საქართველოში უნდა არეგულირებდეს კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ, თუმცა მასში არაფერია ნათქვამი ენერგოეფექტურობაზე. საქართველოში ასევე არ არის შენობების სერტიფიცირების ფორმალური მოთხოვნა, სტანდარტი და ინსტიტუტი რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებდა. ამჟამად ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს "საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის" პროექტზე, რომლის წინასწარ ვერსიაში 108-ე და 109-ე მუხლები ეთმობა შენობა-ნაგებობის თბოიზოლირებასა და ენერგოეფექტურობას და განახლებადი ენერგიის გამოყენებას.

რეკომენდაციები

საქართველოში ენერგოეფექტურობის სახელმწიფო ხედვის და პოლიტიკის არარსებობის გამო, ვერ ხერხდება ენერგოეფექტურობის ენერგეტიკული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური სარგებლის მიღება. აღნიშნული გარემოება ასევე ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციის ინტერესებს.

ენერგოეფექტურობის დანერგვის ძირითად დაბრკოლებას საქართველოში წარმოადგენს ენერგოეფექტურობის მნიშვნელობის სამთავრობო ხედვის არარსებობა, რაც რეგიონში და მეტნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გამოწვევის წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შექმნას კანონები, ქმედითი ინსტიტუტები, ფინანსური მექანიზმები, სამოქმედო გეგმა და მისი მონიტორინგის სისტემა, უზრუნველყოს თავისუფალი საბაზრო გარემო ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის. უპირველესად, კი - შეიმუშაოს ენერგოეფექტურობის სახელმწიფო პოლიტიკა რომელიც ზოგად ჩარჩოს დასახავს ყველა ამ ღონისძიების დაგეგმვისათვის. ამ საქმეში ეფექტურად

უნდა იქნას გამოყენებული მიმდინარე და მომავალი დონორული პროექტები და საერთაშორისო დახმარება რაც შეიძლება მიღებულ იქნას კლიმატის ფონდის მეშვეობით.

პროცესის დადებითად წარმართვისათვის ხელის შემწყობი იქნებოდა ასევე ტრენინგებისა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება ენერგოაუდიტორების, მენეჯერების, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებისა თუ სერვისის პროვაიდერებისათვის. აუცილებელია, ასევე, საინფორმაციო კამპანიების წარმართვა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებისთვის ენერგოეფექტური ტექნოლოგიების არსებობისა და ენერგიის დაზოგვის ღონისძიებების შესახებ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგოეფექტურობის დანერგვა აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას.

ენერგიის მოხმარების თავისებურებები და ენერგეტიკული დაგეგმვა საქართველოში



შინამეურნეობათა მიერ ენერგიის მოხმარების კვლევა საქართველოში

*გიორგი ჩიქოვანი, დელოიტი G4G პროგრამა
27 ივნისი 2014*

2014 წელს USAID-ის დაფინანსებით, Deloitte-ის მიერ განხორციელებული HPEP პროექტის ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაციის (AYPEG) მიერ საქართველოში შინამეურნეობათა მიერ ენერგიის მოხმარების კვლევა ჩატარდა.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ენერგეტიკული სექტორის განვითარების მხარდაჭერა და ხარისხიანი ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავების ხელშეწყობა, რისი ერთერთი აუცილებელი პირობაც არის სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების არსებობა.

კვლევის დიზაინი (აღწერა ან მეთოდოლოგია)

კვლევა დაიწყო 2014 წლის თებერვალში და 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საქართველოს ტერიტორია დაიყო ორ დამოუკიდებელ სტრატად ქალაქის და სოფლის დასახლებებისათვის; თითოეული სტრატა ასევე დაიყო ქვესტრატებად გეოგრაფიული რეგიონების საფუძველზე („კვადრანტებად“). სულ შეირჩა 1288 ოჯახი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (582 ოჯახი სოფლად, ხოლო 706 ოჯახი ქალაქში) შერჩევისთვის გამოყენებულ-იქნა 3605 საარჩევნო უბანი საქართველოს მასშტაბით და ამ უბნებზე არსებული ამომრჩეველთა სია. მიღებული მონაცემების კოდირების საშუალებით შეიქმნა Excel-ის, SPSS-ის და Stata-ს მონაცემთა ბაზები. კვლევა არის რეპრეზენტატული და მისი შედეგები განზოგადდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ცდომილების ზღვარი შეადგენს - 2%-ს.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ოჯახების - 57% იყენებდა შეშას გათბობის, წყლის გაცხელებისა თუ საკვების მომზადებისთვის, ხოლო ცალკე სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის ეს მაჩვენებელი 97%-ს აღწევს.


კვლევის მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ოჯახების იმ 43%-დან - ვინც ამჟამად არ იყენებს შეშას გათბობის, წყლის გაცხელებისა თუ საჭმლის მომზადებისთვის, 20% მოიხმარდა შეშას იგივე მიზნებით ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ერთი ოჯახის მიერ მოხმარებული შეშის მოცულობა ქალაქში და სოფლად თითქმის ერთნაირია და წარმოადგენს საშუალოდ 6,9 მ³-ს ქალაქში, ხოლო 6,99 მ³ - სოფლად. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად შეშის მოხმარების მაღალი ინტენსივობისა, მოხმარებული შეშის ენერგეტიკული ღირებულება დაბალია, რადგან ოჯახების 46% მოიხმარს ნედლ შეშას, რაც იმას

ნიშნავს, რომ შეშის რესურსი გამოიყენება არაეფექტურად. ნედლი შეშა 40%-ით ნაკლებ სითბოს გამოყოფს ვიდრე გამომშრალი.

გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა იყენებს სხვადასხვა ენერგორესურსს განსხვავებული მიზნებისათვის. ქვეყნის მასშტაბით სახლის გასათბობად ყველაზე ხშირად გამოიყენება შეშა, მეორე ადგილზე არის ბუნებრივი გაზი და გაცილებით მცირე რაოდენობით მოიხმარება ელექტროენერგია. წყლის გასაცხელებლად გამოყენებულ ენერგო რესურსებში კი პირიქით - პირველი ადგილი უჭირავს ბუნებრივ გაზს, შემდეგ მოდის შეშა. თუმცა, სოფლებში ორივე მიზნისთვის შეშა უფრო გამოიყენება ხოლო ქალაქებში გაზი. აღსანიშნავია რომ, ოჯახები, საშუალოდ, საცხოვრებლის 45%-ს ათბობენ და მხოლოდ 4.2%-ს აქვს დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც გაზზე მუშაობს.

სურ. 1



ტრანსპორტის სექტორი

რაც შეეხება ტრანსპორტირებას, კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალოდ, თვეში ოჯახი ხარჯავს 151 ლარს საწვავზე და საშუალოდ დატვირთვის ფაქტორი თითო მანქანაზე არის 1.99 ადამიანი. ამასთან, მოსახლეობა ტრანსპორტის საწვავად ბენზინის გამოყენებას ბუნებრივი გაზის გამოყენებით ანაცვლებს, კვლევის შედეგების მიხედვით, მანქანების 20% საწვავად იყენებ გაზს.

საქალაქთაშორისო ტრანსპორტირების ძირითადი წყარო არის მიკროავტობუსი (იყენებს მოსახლეობის 79%); ქალაქის მასშტაბითაც მოსახლეობა ძირითადად მიკროავტობუსით მგზავრობს (63%), გაცილებით მცირე ნაწილი გადაადგილდება ავტობუსით, მეტროთი და ტაქსით.

გამოკითხვის ბოლო ნაწილში რესპოდენტებმა უპასუხეს რამდენიმე ზოგად შეკითხვას ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ სოფლად მცხოვრები ოჯახების 72%-მა და ქალაქში მცხოვრები ოჯახების 64%-მა არ იცოდა ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა. გამოკითხულთა იმ ნაწილის რაოდენობა, რომლებმაც იცოდნენ რას ნიშნავს ენერგოეფექტურობა (25%) თითქმის ემთხვევა იმ მოსახლეობის პროცენტულ წილს, რომლებიც იყენებენ ენერგოეფექტურ ნათურებს (27%). რესპოდენტებს, რომლებმაც არ იცოდნენ ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა ინტერვიუებმა აუხსნეს მისი ძირითადი კონცეფცია, გააცნეს რა არის ცენტრალური გათბობის სისტემა; რითია კარგი ენერგოეფექტური ტექნოლოგიები; როგორ შეიძლება მზის ენერგიის გამოყენება; როგორ შეიძლება კედლების და ფანჯრების თერმოიზოლაცია; უმეტესობამ გამოთქვა ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟების სურვლი თუმცა, ენერგოეფექტურობის მსგავსი ღონისძიებების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად ფინანსური რესურსების ნაკლებობა დასახელდა.

**ტყეების მართვის და შეშით მოსახლეობის მომარაგების პრობლემები და
მათი გადაჭრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მექანიზმები**

*რევაზ გეთიაშვილი, CENN
27 ივნისი, 2014*

საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის დიდი ნაწილი (75-91%) გასათბობად შეშას იყენებს. შეშის მოპოვება ადგილობრივებისთვის თვითდასაქმების ძირითადი სახეა, რაც გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. ხეები იჩეხება დაუგეგმავად, რაც საფრთხეს უქმნის ტყეებს. არსებული მონაცემებით, ტყის არასწორი მართვით გამოწვეული ზარალი წელიწადში 200-250 მილიონ ლარს შეადგენს. ტყეების მართვის სფეროში არსებული პრობლემები რამდენიმე ძირითად კომპონენტად შეიძლება დაიყოს.

მოუწესრიგებელი სატყეო ინფრასტრუქტურა:

გზებით უზრუნველყოფილი ტყეები დეგრადირებულია, ამიტომ ტყეკაფები სოფლებიდან მოშორებით, მიუვალ ადგილებში გამოიყოფა. ამას ერთვის სოფლებში სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე და ტყის მცველების არასაკმარისი რაოდენობა. ეს ფაქტორები საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მოსახლეობის მიერ ადვილად მისადგომი, უკვე დეგრადირებული ტყეების გაჩეხვას. ბრაკონიერული მეთოდებით მერქნული რესურსის მოპოვებისას, ძირითადად, მაღალი ხარისხის სორტიმენტები მიაქვთ, მოჭრილი ხე-ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ადგილზე რჩება და იქმნება ჩახერგილობა, რაც აფერხებს აღმონაცენ-მოზარდის ზრდა-განვითარებას, ქმნის ხანძრისა და მავნებელ დაავადებათა გაჩენის საფრთხეს. ასეთი დაზიანებული კორომების სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა მისული, ვითარდება ეროზიული პროცესები. არასათანადოდ მოწესრიგებული სატყეო ინფრასტრუქტურა ხშირად ბუნებრივი კატასტროფების მიზეზი ხდება.

უკანონო ჭრა

გასული წლის ბოლოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, კომლზე გასაცემ საშეშე მერქანზე 7 მ³ ლიმიტი დაწესდა. სოციოლოგიური გამოკითხვებით კი საშუალო ოჯახი წელიწადში 8-13 მ³ შეშას მოიხმარს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახისთვის საკმარისი შეშის კანონიერი გზით მოპოვება შეუძლებელია. უფრო მეტიც, საქართველოს ტყეებში არ არსებობს ხელმისაწვდომი მარაგები, რაც რეგიონებში მცხოვრებ თითოეულ ოჯახზე 7 მ³ მოცულობის შეშის დამზადებას უზრუნველყოფს.

შესაბამისად, შეშის მოხმარება მომავალში უნდა შემცირდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია რაციონალური ტყითსარგებლობის, ენერგოეფექტიანობისა და ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარებით, რაც ხელისუფლების სხვადასხვა დონისა და უწყებების ჩართვას მოითხოვს.

შეშის დამატებითი მოცულობები – თანამშრომლობა კერძო სექტორთან

შეშის მოხმარების შემცირების პარალელურად შესაძლებელია ქრის მოცულობის შემცირება დამატებითი შეშის მოპოვების გზით, ამისათვის საჭიროა:

ა) ტყეების გაწმენდა - ლიცენზირებულ ჭრაგავლილ ტყეებში დიდი რაოდენობით დატოვებული მერქანი ლიცენზიანტებთან შეთანხმებით შესაძლებელია უფასოდ გადაეცეს მოსახლეობას.

ბ) მოვლითი ჭრების ორგანიზება - ჭრაგავლილ ტყეებში დატოვებული დაავადებული, ხმელი და ფაუტი ხეები შეიძლება გამოიხშიროს და მისგან დამზადდეს შეშა.

გ) მსხვილი სამრეწველო ობიექტების მიერ, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, მოჭრილი მერქნის მოსახლეობისათვის გადაცემა.

დ) კერძო სექტორის წახალისება ნახერხის ბრიკეტების წარმოებისთვის - მეწარმეებს ძალიან შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ ნარჩენების კანონიერი განთავსებისთვის, მუნიციპალური ნაგავსაყრელები ამისთვის არ გამოდგება, სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა კი ძვირი ჯდება, ამიტომ, თუ სახელმწიფოსგან წახალისება იქნება მეწარმეები ნარჩენების მეორად გადამუშავებაზე იფიქრებენ.

ე) ენერგოეფექტური ტექნოლოგიების კვლევა და პოპულარიზაცია - OECI-ის მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ მოსახლეობა სულ უფრო აქტიურად იყენებს ენერგოეფექტურ ღუმელებს, ასევე თხილის ნაჭუქს გასათბობად. საჭიროა მთავრობისგან ასეთი ინიციატივების მხარდაჭერა.

შეზღუდვები ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით

CENN-ისა და OECI-ის მიერ საშუალო მერქნის მოპოვების პროცესზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ფუნქციონალური დანიშნულების ტყეების ძლიერი დეგრადაცია დაფიქსირდა. საკანონმდებლო ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც ჭრაგავლილი ტყეების მინიმალური სიხშირე ³⁶0.4-მდე შემცირდა საკურორტო ტყეების დეგრადაცია გამოიწვია.

³⁶ *სიხშირის ჯგუფი - ტყეები* იყოფა მეჩხერი (0,1-0,2), დაბალი (0,3-0,4), საშუალო (0,5-0,6) და მაღალი (0,7 და მეტი) სიხშირის კორუმბად, გამოითვლება აზომვებით მიღებული ფართობების ჯამის შეფარდებით სტანდარტული ცხრილის შესაბამის მაჩვენებელთან. კორუმის ფარდობითი სიხშირე მიიღება შემადგენელი მერქნიანი სახეობების სიხშირეების ჯამით. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/73366>

შედეგად, საქართველოს ცნობილ კურორტებს განვითარების პერსპექტივის დაკარგვის საფრთხე შეექმნა, რაც სახელმწიფო ეკონომიკას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს და მძიმე სოციალურ პრობლემებს გამოიწვევს.

მწვავე პრობლემები დაფიქსირდა ჭალის ტყეებშიც, სადაც, საშუალო მერქნის უკანონო მოპოვების გამო, ტყის სიხშირე 0.1–0.2-მდე შემცირდა. სოციალური ტყეკაფები გამოიყოფა ტყის ისეთ ტერიტორიებზეც, რომლებიც ასრულებენ განსაკუთრებულ დაცვით ფუნქციებს.

დაცული ტერიტორიების ახლოს მცხოვრები მოსახლეობა მერქანს ერთსა და იმავე ადგილას მოიპოვებს, რის გამოც დაცული ტერიტორიის ეს უბნები ძლიერ დეგრადირებულია და როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალური პრობლემები წლიდან წლამდე მწვავედება.

პლანტაციური მეურნეობების მხარდაჭერა

OECD-ის ინფორმაციით ზუგდიდისა და სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო პლანტაციების გაშენება საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. ე.წ. „კერძო ტყეები“ მათი შემოსავლის წყაროდ იქცა და რეკრეაციული და საკონსერვაციო ფუნქციებიც შეიძინა. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ასეთ სოფლებში პლანტაციური მეურნეობის გაშენება–გაფართოვების წახალისება შედეგიანი იქნება.

განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება სწრაფმოზარდი სახეობების გაშენება უტყეო მუნიციპალიტეტების სოფლებში, სადაც გაზიფიცირება არ არის და არც იგეგმება.

საშუალო მასალის დამზადების ოპტიმალური ვადების განსაზღვრა

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსახლეობა საშუალო მასალაზე ზრუნვას ზამთრის მოახლოებისას იწყებს. ამის გამო იქმნება გარკვეული პრობლემები.

პირველი: ამინდის გაუარესების გამო რთულია ტყეკაფებიდან შეშის გამოტანა, ამიტომ ზეწოლა ძლიერდება ადვილად მისადგომ, დეგრადირებულ ტყეებზე, ზოგჯერ კი მოსახლეობა საერთოდ შეშის გარეშე რჩება.

მეორე: საშუალოდ გამოიყენება ნედლი მასალა, რისი სათბობი ენერგიაც 30-40%-ით ნაკლებია გამომშრალ შემასთან შედარებით.

ევროპაში გავრცელებული პრაქტიკით, საშეშე მასალა 2 წლით ადრე მზადდება, რაც უზრუნველყოფს შეშის მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას. შესაბამისად, საჭიროა მოსახლეობის შეშით მომარაგების მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება და საშეშე მასალის ორწლიანი მარაგის უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ინფორმირება ცვლილებების შესახებ

უკანონო ჭრების მოცულობების შემცირება შესაძლებელია შეშის დამზადებისა და ტრანსპორტირების წესების გამკაცრებით და ეფექტიანი კონტროლის განხორციელებით. ამავდროულად აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება ამ წესების შესახებ და ტყის მცველებისა და ზედამხედველობის სამსახურების შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება. მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ხეტყის დამზადების ბილეთთან ერთად მოსახლეობას დაურიგდეს ანოტაცია შეშის დამზადებისა და ტრანსპორტირების წესების შესახებ.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი

სოციოლოგიური კვლევის შედეგებით, ხშირ შემთხვევაში საშეშე მერქნისთვის საქართველოს წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიც გამოიყენება. აღნიშნული მოქმედებების აღსაკვეთად საჭიროა, როგორც უკანონო ჭრებზე მონიტორინგის გამკაცრება, ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისთვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

MARKAL გრძელვადიანი დაგეგმვის მოდელი და მისი შესაძლებლობები

ნატალია შათირიშვილი, WEG

4 ივლისი 2014

MARKAL არის ენერგეტიკული სისტემის გრძელვადიანი დაგეგმვისა და ოპტიმიზაციის მოქნილი მოდელი რომელიც ოპტიმიზაციის რთული პროცესის შედეგად, განსაზღვრავს ტექნოლოგიებისა და საწვავის კონფიგურაციას იმდაგვარად, რომ პროგნოზირებულ პერიოდში (20-25 წლამდე) ენერგიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებული იყოს ყველაზე იაფი წყაროები. MARKAL შეიცავს ყველა ტიპის საწვავს (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ქვანახშირი, ხე და ა.შ.) და მიწოდების ტექნოლოგიას (წარმოება, იმპორტი, გადაცემა და ა.შ.). მოთხოვნის მხარე მოდელში წარმოდგენილია ეკონომიკის 6 სექტორის (კომერციული, ინდუსტრია თავისი 7 ქვესექტორით, სოფლის მეურნეობა, საყოფაცხოვრებო სექტორი, TED³⁷ და ტრანსპორტი) და ყველა ტიპის საბოლოო მოხმარების გათვალისწინებით (გათბობა, გაგრილება, ცხელი წყალი, განათება ა.შ.).

მოდელს გააჩნია იმდაგვარი მოქნილობა, რომ სხვადასხვა ენერგიის წყაროდან შეარჩიოს არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის შესაფერისი წყაროები და გაითვალისწინოს საწვავის შეცვლის შესაძლებლობაც. მოდელს ასევე გააჩნია პოლიტიკის ანალიზის შესაძლებლობა. ის ეხმარება პოლიტიკის შემმუშავებლებს, შეაფასონ სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტი და გააანალიზონ პოლიტიკის ცვლილების ხარჯ-სარგებლიანობა. MARKAL ტექნოლოგიურად საკმაოდ მდიდარი მოდელია და ასახავს ენერგეტიკის რთული სისტემის - მიწოდების, მოთხოვნის და ყველა შესაბამისი განზომილების პარამეტრებს (იხილეთ ნახაზი 1 და 2).

³⁷ TED წარმოადგენს აფხაზეთის ენერგეტიკულ მოხმარებას.

საქართველოში, ბოლო ხანებში, MARKAL რამდენიმე პროექტში იქნა გამოყენებული. მაგალითად: რეგიონული EC-LEDS-DWG-სა და WEG-ის პროექტი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებას და MARKAL-ის წინასწარ კონფიგურაციასა და ძირითადი მონაცემების დამუშავებას; HPEP/Deloitte-და WEG-ის ერთობლივი პროექტი, რომელიც მოიცავდა მოდელის შემდგომ დახვეწას და ენერგეტიკის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლების ტრეინინგს, ისევე როგორც HPEP/Deloitte/AYPEG-ის შინამეურნეობათა ენერგეტიკული მოხმარების კვლევის შედეგების მონაცემების შეყვანას მოდელში; EC-LEDS/Winrock/Remissia/DWG პროექტი, რომელიც გულისხმობდა სათბური გაზების ემისიების დათვლას, მათ მოდელში შეტანას და საბაზისო სცენარის განვითარებას.


პირველი - საბაზისო სცენარი, რომელიც მოდელის მეშვეობით შემუშავდა გულისხმობს ეკონომიკისა და ენერგეტიკის სექტორის გეგმიურ განვითარებას კარდინალური ცვლილებების გარეშე. განვითარების ძირითადი მამოძრავებელია პოპულაციის ზრდა და მშპ რომლებიც უნდა შევიდეს მოდელში. სხვა მამოძრავებელი ფაქტორებია თითოეული სექტორის ელასტიურობა, რომელიც გვიჩვენებს მშპ/პოპულაციის ზრდაში კონკრეტული სექტორების წვლილს.

საბაზისო სცენარი მოითხოვს შემდეგი პარამეტრების შეყვანას:


- ენერგეტიკული ბალანსი;
- მშპ-ს ზრდის პროგნოზი;
- მოსახლეობის ზრდის პროგნოზული მაჩვენებელი;
- ჰესების მონაცემები (არსებული და მშენებარე);
- ფასები ენერგიაზე (იმპორტი, წარმოება, გავრცელება);
- სეზონები და დატვირთვის მრუდები;
- ექსპორტისა და იმპორტის შესაძლებლობა;
- ელექტროენერგიის მომხმარებელი TED;
- ქვეყნის გაზიფიცირება;
- ეკონომიკის ქვესექტორების ზრდის ხარისხის პროგნოზი.

მოდელი ჰიდროლოგიური რეჟიმების შესაბამისად³⁸ ითვალისწინებს 4 სეზონს. საათობრივი დატვირთვის მონაცემების გამოყენებით, მოდელი აგენერირებს დატვირთვის მრუდებს თითოეულ დღეზე თითოეული სეზონისთვის. (იხილეთ სურ. 3, 4).

სურ. 3 დატვირთვის მრუდი ზაფხულში



სურ 4. დატვირთვის მრუდი ზამთარში




ცხრილი 1. მოდელში გათვალისწინებული არსებული და მშენებარე ობიექტები

³⁸ გაზაფხული (აპრილი-ივლისი), ზაფხული (აგვისტო-სექტემბერი), შემოდგომა (ოქტომბერი-ნოემბერი), ზამთარი (დეკემბერი-მარტი).


არსებული		მშენებარე	
სადგური	MW	სადგური	MW
ენგური და ვარდნილი	1480	ხუდონი	702
სხვა მარეგულირებელი ჰესები	471	ხოზი 1, 2	47, 40
სეზონური ჰესები	629	ნამახვანი	450
მტკვრის თბოელექტროსადგური	300	ონის კასკადი	270
G-Power თბოელექტროსადგური	110	ფარავანი	85
თბილსრესი	270	მტკვარი	46
ახალი		ნენსკრა	210
გარდაბანი	230	დარიალი	108
ქვანახშირის ელექტროსადგური	160	პატარა ჰესები (15 MW-ზე ნაკლები სიმძლავრის)	1460
ახალი ჰესები, რომლებიც ამოქმედდება -2013-2015 წელს	164	პატარა ჰესები (15 MW-ზე ნაკლები სიმძლავრის)	410

მოდელის მიერ შემუშავებული შედეგები ნაჩვენებია სურათებზე (5, 6).

სურ. 5. ელექტროენერგიის მოხმარება



სურ. 6. ენერგიის საბოლოო მოხმარება საწვავის სახეების მიხედვით.



შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ MARKAL მოდელი იძლევა არა მხოლოდ გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობას, არამედ აჩვენებს არსებული სიტუაციის ნათელ სურათს ეკონომიკური და ენერგეტიკული სექტორებისთვის. ის თავს უყრის მონაცემებს დეტალური ენერგეტიკული ბალანსის შესახებ და ასახავს მთელ ჯაჭვს ენერგიის წარმოებიდან საბოლოო მოხმარებამდე. უფრო მეტიც, მოდელს გააჩნია პოლიტიკის ანალიზის შესაძლებლობა, რადგან ის შეიძლება გამოყენებული იქნას კონკრეტული პოლიტიკის ცვლილების ეფექტების შესაფასებლად ეკონომიკის და ენერგეტიკის დარგში.

ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირება - მეთოდები და შედეგები

გიორგი მუხიგულიშვილი, WEG

4 ივლისი, 2014

სტატიის მთავარი მიზანია ენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირების მნიშვნელობის ახსნა³⁹, პროგნოზირების მეთოდების მიმოხილვა და საბოლოოდ, WEG-ის შეფასებებზე დაყრდნობით საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის განსაზღვრა 2014-2030 წლებისთვის.

ენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირება რამდენიმე მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამყიდველს შეუძლია დაგეგმოს და განავითაროს საჭირო სიმძლავრე, მთავრობას კი - განსაზღვროს ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი მიმართულებები, სტრატეგიული პროექტები და ფინანსური ინსტიტუტები და, შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე მოახდინოს განსახორციელებელი პროექტების შერჩევა.

ენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირებისთვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, მათ შორის: ისტორიული ტრენდის, მრავალცვლადიანი დროითი მწკრივების, ეკონომეტრიკული მოდელები, ოპტიმიზაციის მოდელები და სხვა. პროგნოზირებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და დიდი ხნის განმავლობაში აპრობირებული მეთოდია - ისტორიული ტრენდი, ანუ ზრდის ტემპი. ასეთი მეთოდის გამოყენებისას, თუ ენერგიაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდებოდა - 2%-ით, ვუშვებთ, რომ მოთხოვნა მომავალშიც იგივე ტემპით გააგრძელებს ზრდას. ისტორიული ექსტრაპოლაციის უფრო დახვეწილი მეთოდია მრავალცვლადიანი დროითი მწკრივების ანალიზი. ასეთი ანალიზის შემთხვევაში, ენერგიაზე მოთხოვნის რაოდენობა დღეს, არის წარსულში მოთხოვნის რაოდენობის ფუნქცია, პლუს ცდომილება, რაც წარმოადგენს შემთხვევითი მოვლენების გავლენას ენერგიის მოთხოვნაზე. მრავალცვლადიანი დროითი მწკრივები კარგ შედეგს იძლევა მოკლევადიანი პროგნოზის გაკეთებისას, მაგრამ კარგად ვერ ახდენს გარდამტეხი წერტილების პროგნოზირებას. ამ ორი მეთოდიდან ვერცერთი ვერ იძლევა პოლიტიკის ანალიზის საშუალებას, რადგან ამხსნელ ცვლადად არ არის გამოყენებული პოლიტიკის ინსტრუმენტები, როგორცაა გადასახადები და

³⁹ მნიშვნელოვანია, რომ განვმარტოთ განსხვავება ენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირებასა და პროექტირებას შორის. პროგნოზირება არის მოთხოვნის შეფასება ერთობლივად შეთანხმებული სცენარის განვითარებაზე დაყრდნობით, ხოლო პროექტირება მოიცავს რამდენიმე განვითარების სცენარს პოლიტიკის ანალიზისთვის.

რეგულაციები. მრავალცვლადიანი დროითი მწკრივის მოდელში ჩართულია ისეთი ცვლადები, როგორებიცაა ფასი, შემოსავალი, დემოგრაფიული ტენდენციები და სხვა. ცვლადების უცნობი კოეფიციენტების დასათვლელად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები და ისტორიული მონაცემები. დროითი მწკრივების მეთოდი საუკეთესო შედეგს იძლევა, როცა გვაქვს დროის შესაბამისი პერიოდის ბევრი მონაცემი დიდი ვარიაციებით. სინამდვილეში, ხელმისაწვდომია მწირი მონაცემები დიდი დროის პერიოდის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში უკეთესია ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენება დროითი მწკრივების ნაცვლად. ეკონომეტრიკული ანალიზი გავს დროითი მწკრივების მეთოდს, ოღონდ მეტი ყურედღება ექცევა იმ ცვლადებს, რომლებიც უნდა ჩავრთოთ მოდელში. ოპტიმიზაციის მოდელები, როგორებიცაა MARKAL/TIMES, MESSAGE იყენებს მათემატიკურ წრფივ პროგრამირებას, აკეთებს ხარჯის მინიმიზაციას ეგზოგენური ცვლადებით და ითვლის მოთხოვნას და შესაბამის მიწოდებას.

საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირებისთვის გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდის - ეკონომეტრიკული, დროითი მწკრივების და ისტორიული ტრენდის კომბინაცია. თავდაპირველად მოხმარების ექვსი სექტორი და შესაბამისი მოთხოვნის მთავარი განმსაზღვრელები⁴⁰ გამოიყო (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1. მოხმარების ექვსი სექტორი

ენერგიის მომხმარებელი სექტორი	მოთხოვნის წამყვანი, განმსაზღვრელი
საყოფაცხოვრებო(შინამეურნეობები)	მოსახლეობის ზრდა • სოციალური კეთილდღეობა(რეალური მშპ/მოსახლეზე)
მრეწველობა	• წარმოება (ლარი) • მრეწველობის ენერგო-ინტენსიობის ფაქტორი
კომერციული/საზოგადოებრივი სექტორი	წარმოება (ლარი)
სოფლის მეურნეობა	წარმოება (ლარი)

⁴⁰ მოთხოვნის განმსაზღვრელები - ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრევენ/იწვევენ ენერგიის მოხმარებას.

ტრანსპორტი	ისტორიული ტრენდი (წინა წლების საშუალო)
აფხაზეთის რეგიონი	ისტორიული ტრენდი (წინა წლების საშუალო)

ენერგიაზე მოთხოვნის შეფასებისას გათვალისწინებულია ქსელში ენერგიის დანაკარგები⁴¹ და ავტო ენერგოეფექტურობა⁴² მოხმარების სექტორებში. მოთხოვნის განმსაზღვრელები უკავშირდება შესაბამის სექტორს ელასტიურობის ან ინტენსიურობის კოეფიციენტით.⁴³

ცხრილი 2. სექტორი და შესაბამისი მოხმარების ფორმულა

სექტორი	მოხმარების ფორმულა
საყოფაცხოვრებო სექტორი	$\ln(HH_E/cap) = \beta_0 + \beta_1 * \ln(GDP/capita) + \varepsilon$
ინდუსტრია	$E_t = I_{GDP_t} * Intensity * \lambda_t$
კომერციული სექტორი	$E_t = C_{GDP_t} * Intensity$
სოფლის მეურნეობის სექტორი	$E_t = A_{GDP_t} * Intensity$
ტრანსპორტის სექტორი	$E_t = E_{t-1} * (1 + G_t)$
აფხაზეთის მოხმარება	$E_t = E_{t-1} * (1 + G_t)$

⁴¹ ქსელში ენერგიის დანაკარგების წილი - 7,5%, აღებულია სემეკის წლიური ანგარიშიდან (2013).

⁴² ავტო ენერგოეფექტურობა, მოხმარების პროცენტული შემცირებით, ითვალისწინებს ტექნოლოგიების განვითარებას და ენერგიის კონსერვაციის ზომებს რაცბუნებრივად ხდება ღონისძიებების გარეშე.

⁴³ ელასტიურობა - არის იმის საზომი, თუ როგორ რეაგირებს ეკონომიკური ცვლადი სხვა ცვლადის ცვლილებაზე. ინტენსიურობა - მოხმარებული ენერგიის რაოდენობა ერთეული პროდუქტის წარმოებისას.

მოთხოვნის ელასტიურობის ანალიზისას ძირითადი პრობლემებს წარმოადგენდა: მონაცემების ხელმისაწვდომობა, მოკლე ისტორიული მონაცემები და მოთხოვნის კატეგორიების მიხედვით მომწოდებელთა შორის არაჰარმონიზებული საგადასახადო სისტემა.

ელექტროენერგიის განმსაზღვრელების ზრდის ტემპთან დაკავშირებით WEG-ის ექსპერტების მიერ შემდეგი დაშვებები გაკეთდა: (ცხრილი 3)

ცხრილი 3. დაშვებები


	2013	2015	2018	2021	2024	2027	2030
რეალური მშპ ზრდა (%)	4.1%	5%	6%	5%	5%	4%	4%
მშპ/სულზე ზრდა (%)	1%	3%	5%	4%	4%	3%	3%
მოსახლეობის ზრდა (%)	0.13%	0.5%	0.5%	0.5%	0.5%	0.25%	0.25%
ინდუსტრიის გამოშვების ზრდა (%)	1%	3%	5%	4%	4.0%	3.0%	3.0%
კომერციული სექტ. გამოშვების ზრდა (%)	4.3%	5%	6%	6%	5.0%	4.0%	4.0%
სოფლის მეურნეობის გამოშვების ზრდა(%)	9.8%	8%	6%	5%	5.0%	5.0%	4.0%
ტრანსპორტის მოხმარების ზრდა (%)	2%	2%	4%	2%	2.0%	2.0%	2.0%
აფხაზეთის მოხმარების ზრდა (%)	4.7%	4%	4%	3%	3.0%	2.7%	2.0%
ქსელში დანაკარგები (%)	7.5%	7.5%	7.5%	7.5%	7.5%	7.5%	7.5%

ცხრილი 4. შეფასებები

	2013	2020	2030	2020-2013	2030-2013
რეალური მშპ (2003 მლრდ.ლარი)	14	21	32	45%	119%
რეალური მშპ/სულზე (2003 ლარი)	3,211	4,483	6,556	40%	104%
მოსახლეობა (მლნ.)	4.5	4.7	4.8	4%	7%
ელ.მოხმარება/სულზე (კვტ.სთ)	2,167	2,729	3,506	26%	62%
ინდუსტრიის გამოშვება (2003 მლრდ.ლარი)	3.1	4.2	5.9	35%	89%
კომერციული სექტორის გამოშვება (2003 მლრდ.ლარი)	9.8	14.4	22.1	46%	125%
სოფლის მეურნეობის გამოშვება (2003 ლარი)	1.5	2.3	3.7	53%	142%

სურ. 1 ელექტროენერგიის მოხმარების პროექცია


ელექტროენერგიის მოხმარების პროექცია 2013–2030




საბაზისო სცენარის მიხედვით 2013-2030 წლების განმავლობაში ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება 10-დან 17 ტვ/სთ-მდე. ამასთან, საბაზისო სცენართან ერთად, ორი განსხვავებული სცენართაც (ძლიერი და ზომიერი ზრდით) მოხდა შეფასება. პირველ სცენართან შედარებით, ძლიერი ზრდის სცენარი უშვებს ენერგოინტენსიური სექტორის უფრო მეტ განვითარებას, ხოლო ზომიერი ზრდის სცენარი უშვებს კომერციული სექტორის პროდუქციის უფრო მაღალ ზრდას.

სურ. 2 ელექტროენერგიის მოხმარების ძლიერი ზრდა

ელექტროენერგიის მოხმარების ძლიერი ზრდა



სურ. 3 ელექტროენერგიის მოხმარების საშუალო ზრდა



ძლიერი და ზომიერი ზრდის სცენარების მიხედვით, ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება 10-დან შესაბამისად 20 და 27 ტვ/სთ-მდე.

ელექტროენერგიაზე მოთხოვნის უფრო სიღრმისეული პროგნოზის გასაკეთებლად, საჭიროა მონაცემების სისტემატიზაცია, მოთხოვნის განმსაზღვრელების ოფიციალურად ცნობილი გრძელვადიანი პროგნოზები და მთავრობის ინსტიტუტებს შორის უკეთესი კოორდინაცია.